# „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“

# სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში

2014

# სარჩევი


1. ძირითადი დებულებები ..... 3
2. მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებების დაცვა ..... 4
3. საჯარო სამსახურის რეფორმა ..... 11
4. რეფორმები სასჯელაღსრულების სისტემაში ..... 12
5. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა ..... 15
6. თავდაცვა და უსაფრთხოება ..... 20
7. საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები ..... 28
8. საქართველო-ნატოს ურთიერთოები და ქვეყნის ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ..... 32
9. კონფლიქტები და სამოქალაქო ინტეგრაცია ..... 38
10. დიასპორაზე ზრუნვა ..... 42
11. ფისკალური პოლიტიკა ..... 45
12. ეკონომიკური პოლიტიკა ..... 50
13. სოფლის მეურნეობა ..... 67
14. რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა ..... 83
15. ენერგეტიკა ..... 87
16. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა ..... 90
17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პოლიტიკა ..... 101
18. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა დახმარება ..... 109
19. განათლება და მეცნიერება ..... 113
20. კულტურა ..... 121
21. სპორტი და ახალგაზრდობა ..... 130

## 1. <u>ძირითადი დებულებები</u>

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით საქართველოს მოსახლეობამ მკაფიო ნება გამოხატა და მხარი დაუჭირა ქვეყანაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას.

საქართველოს ახალარჩეულმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით.

განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტების მშენებლობის, მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ხელშეუხებლობის, დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობისა და პოლიტიკური ნიშნით დევნის დაუშვებლობის მიმართულებით.

წარიმართა მუშაობა ქვეყნის უსაფრთხოებისა და რეგიონალური პოზიციების გამყარების მიმართულებით, გაღრმავდა ინტეგრაციის პროცესი ევროკავშირსა და ნატოსთან. მიმდინარეობდა ქვეყნის გამთლიანების პროცესისთვის გზების ძიება აფხაზებსა და ოსებთან დიალოგისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით რუსეთთან მოლაპარაკებებში კონკრეტული შედეგების მისაღწევად.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა დაეფუძნა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით. განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც განავითარებს წვრილ და საშუალო ბიზნესს და სოფლის მეურნეობას, დაიცავს კერძო საკუთრებას და შრომით უფლებებს, უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირებას; შრომისუუნარო მოქალაქეებს შეუქმნის ცხოვრების ღირსეულ პირობებს, რისთვისაც დაამკვიდრებს უსაფრთხო სოციალურ გარემოს და განავითარებს სოციალური სოლიდარობის სისტემას; იზრუნებს ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკურ მოდერნიზაციას.

## 2. <u>მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებების დაცვა</u>

### სასამართლო ხელისუფლების რეფორმა

საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად. მართლმსაჯულების რეფორმა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება.

2013 წლის მაისში დასრულდა მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციონალური რეფორმის პირველი ეტაპი. საქართველოს პარლამენტის მიერ კანონმდებლობაში შეტანილი მთელი რიგი ცვლილებების შედეგად, რომლებიც მოიწონა ვენეციის კომისიამ, განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული დეპოლიტიზაცია; იგი გახდა უფრო დემოკრატიული და ტრანსპარანტული; გაიზარდა მოსამართლეთა ჩართულობა საბჭოს მოსამართლე წევრთა არჩევის პროცესში; პოლიტიკოსების ნაცვლად საბჭოს არასამოსამართლე წევრებად სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები აირჩევიან; ერთმანეთს გაემიჯნა მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის უფლებამოსილების მქონე და დისციპლინური საქმის განმხილველი ორგანოები; სასამართლოში სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სასამართლო დარბაზებში ისევ დაშვებულია ფოტო- და ვიდეოგადაღება.

2014 წელს დასრულდა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მეორე ეტაპი. მეორე ეტაპის ფარგლებში ამოქმედებული კონსტიტუციური ცვლილების თანახმად, ორგანული კანონით დადგენილ იქნა თანამდებობაზე მოსამართლის უვადო განწესების პრინციპი და უვადოდ განწესებამდე მოსამართლე თანამდებობაზე განწესება 3 წლის ვადით (ე.წ. „გამოსაცდელი ვადა“).

2014 წლის ზაფხულში საქართველოს პარლამენტმა მიიღო იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეფორმის პაკეტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ; დადგენილ იქნა გამოსაცდელ პერიოდში მოსამართლის შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური კრიტერიუმები და პროცედურები. მოსამართლეთა შეფასება განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 6 სხვადასხვა წევრის მიერ ორი ძირითადი კრიტერიუმის - კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის შესაბამისად. საბოლოო სიტყვა ეკუთვნის იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების ან განწესებაზე უარის შესახებ.

2014 წლის განმავლობაში მომზადდა და ვენეციის კომისიას დასკვნის მოსამზადებლად გადაეგზავნა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ეტაპის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. რეფორმის მესამე ეტაპზე ყურადღება გამახვილდება თითოეული

მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიების უზრუნველყოფასა და სასამართლოების ხელმძღვანელობის პროცესში მის ჩართულობაზე. ასევე უფრო მკაფიო და გამჭვირვალე გახდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები, რაც ამ უწყებას უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

საქართველოს მთავრობის მიერ მართლმსაჯულების სისტემაში განხოციელებული რეფორმები სათანადოდ შეფასდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენებაში". საქართველოს პოზიცია სასამართლო დამოუკიდებლობის კომპონენტში 2012-2013 წლებთან შედარებით გაუმჯობესდა 30 პუნქტით; დავების სამართლებრივი გზით მოგვარების ეფექტიანობა - 21 პუნქტით, ხოლო კანონმდებლობის ეფექტიანობა - 22 პუნქტით.

## სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა

### სისხლის სამართლის კოდექსი

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის, მოდერნიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილი ექსპერტთა სამუშაო ჯგუფების ინტენსიური შეხვედრებისა და მუშაობის შედეგად, ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის მხარდაჭერით, აგრეთვე აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების ჩართულობით, მომზადდა ფართომასშტაბიანი ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსის როგორც ზოგად, ისე კერძო ნაწილებში.

სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის პროცესში შეიცვალა მიდგომები ისეთ კონცეპტუალურ საკითხებზე, როგორიცაა, სასჯელის დანიშვნის პრინციპები, სასჯელის სახეები, პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა და სხვ. ასევე გადაიხედა კონკრეტულ დანაშაულობათა შემადგენლობები, დამამძიმებელი გარემოებები, სანქციები და სხვა პირობები. სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილების პროექტი, მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, 2014 წლის ივლისში გაეგზავნა ევროსაბჭოს ექსპერტს. პროექტის პარლამენტისათვის წარდგენა 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება.

### სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

2014 წელს ამოქმედდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები საპროცესო შეთანხმებისა და დაზარალებულის ინსტიტუტის რეფორმის მიზნით. ცვლილებების ძირითადი არსია  სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაუქმება, საპროცესო შეთანხმების ოქმის წარმოების საკანონმდებლო რეგულირება, საპროცესო შეთანხმების პროცესში მოსამართლის უფლებამოსილების გაზრდა, საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საფუძვლების გაფართოება და სხვ.

ცვლილებები დაზარალებულის უფლებების შესახებ ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას, მიიღოს შეტყობინება და ინფორმაცია დანაშაულისა და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ; გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს; გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები მოსამართლის წინაშე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიუხედავად; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში სასამართლოში გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება; მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობის/ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ და სხვ.

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი**

გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით, შემუშავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თავდაპირველი პროექტი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით გაიგზავნა საერთაშორისო ექსპერტიზაზე და საქართველოს პარლამენტს წარედგინება 2014 წლის საშემოდგომო სესიაზე. პროექტი ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფი, მოწმე და დაზარალებულ არასრულწლოვანთა უფლებებისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის დამატებით გარანტიებს, მოსამართლის უფლებამოსილების გაფართოებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, სასჯელთა მრავალფეროვან სპექტრს და სხვ.

**ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მიმდინარე დავების მორიგებით დასრულების სტრატეგიის იმპლემენტაცია**

2012 წლის ოქტომბერში გაცხადდა მთავრობის ახალი სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში შექმნილი ვითარების გამოსწორებას და ქვეყნის შიგნით დავის მოგვარებას. აქედან გამომდინარე, მთავრობამ დაიწყო მუშაობა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მიმდინარე დავების მორიგების დასრულების მიზნით.

მხარეთა შორის მიღწეული მორიგების შედეგად და მთავრობის მიერ წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, ევროპის სასამართლოს საქართველოსთან მიმართებით გამოტანილი აქვს 54 განჩინება დავის დასრულების შესახებ. მიმდინარეობს მუშაობა დამატებით დავებზე მათი მორიგებით დასრულების მიზნით.

**ადმინისტრაციული სამართალი**

**ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა**

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მთავრობის წარდგინებით მიიღო კანონპროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

კანონპროექტი განხილულ იქნა სამინისტროებთან, დიპლომატიურ კორპუსთან, მედიის წარმომადგენლებთან, ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე არასამთავრობო

ორგანიზაციებთან, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, გენდერულ საკითხებსა და ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან.

კანონპროექტმა გაიარა ასევე საერთაშორისო ექსპერტიზა. რეკომენდაციები და შენიშვნები წარმოადგინეს ისეთმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა ევროპის კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ოფისი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებებისთვის (ODIHR) და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR).

კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

დისკრიმინაციის აკრძალვა ხდება როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში. კანონით დისკრიმინაციის აღმოფხვრა და თანასწორობის უზრუნველყოფა დაევალა დამოუკიდებელ ორგანოს - საქართველოს სახალხო დამცველს.

**კერძო სამართალი**

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით 2013 წლიდან შექმნილია და ფუნქციონირებს კერძო სამართლის რეფორმის საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც, სხვა საკოორდინაციო და საკონსულტაციო საბჭოების ანალოგიურად, აქტიურად არიან ჩაბმული დარგის სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები და ინდივიდუალური ექსპერტები. ამ საბჭოს ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

**იპოთეკური სესხები**

გადაისინჯა იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებული წესები, რომელთა თანახმადაც უფრო სამართლიანი გახდა როგორც სააღსრულებო მექანიზმები, ისე გარკვეული მატერიალურ-სამართლებრივი ინსტიტუტები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების მოწესრიგებითა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით შეიქმნა მოვალის სამართლებრივი დაცვის დამატებითი მექანიზმები; იპოთეკის ხელშეკრულება სავალდებულო სანოტარო დამოწმებას დაექვემდებარა, ამასთან ნოტარიუსს დაეკისრა ვალდებულება გააფრთხილოს მხარეები შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ; გადაიჭრა იძულებითი აუქციონის წესით ქონების რეალიზაციისას წარმოშობილი პრობლემები; იძულებითი აუქციონის გზით ქონების რეალიზაცია შესაძლებელი გახდა პირველი და ორი განმეორებითი აუქციონის ჩატარებით, რაც ანელებს აუქციონზე გატანილი ქონების საწყისი ფასის ვარდნის პროცესს და ქმნის მის რეალურ საბაზრო ღირებულებასთან მიახლოებული ღირებულებით რეალიზაციის მეტ საშუალებას; შესაძლებელი გახდა ქონების იძულებითი მართვის მექანიზმის გამოყენება

აღსრულების ეროვნული ბიუროს  მიერ; დეტალურად გაიწერა სეკვესტრის გამოყენების წესი და პირობები, ქონების მმართველის დანიშვნისა და მასზე ზედამხედველობის განხორციელების  პროცედურა.

**ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები**

**მონიტორინგის განმახორციელებელ პირთა წრის გაფართოება**

ცვლილებები შევიდა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ და ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონებში, რომლებიც განაპირობა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებითა და ევროკავშირის მესამე (2005/60/EC) დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობაში შემდგომი იმპლემენტაციის საჭიროებამ. ამ მიზნით, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ჩამონათვალს დაემატა ადვოკატი და განისაზღვრა ადვოკატის მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების ჩამონათვალი.

**ტერორისტული დანაშაულების კრიმინალიზაცია**

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებებისა და MONEYVAL-ის რეკომენდაციების შესაბამისად, „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით განხორციელდა ტერორისტული დანაშაულების სრულად კრიმინალიზაცია, რითაც საქართველოს კანონმდებლობა მთლიანად გახდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.

**„სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება და მასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია**

საქართველომ მოახდინა „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2007 წლის კონვენციის რატიფიცირება, რაც საქართველო-ევროკავშირს შორის ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო. სისხლის სამართლის კოდექსსა და მის თანამდევ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მიზანი იყო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნებთან.

**„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ახალი ორგანული კანონი**

„საქართველოს  მოქალაქეობის  შესახებ“ საქართველოს ახალი ორგანული კანონით მოქალაქეობის სფეროში მოქმედი რეგულირებები გახდა „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაეროს 1961 წლის და „მოქალაქეობის შესახებ“ 1997 წლის ევროპული კონვენციების შესაბამისი.

ცვლილებები შეეხო საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების, დადგენის, აღდგენისა და შეწყვეტის წესებს. კანონით განისაზღვრა მოქალაქეობის არმქონე პირების არსებობის პრევენციისა და შემცირების მექანიზმები, რითაც იგი გახდა „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაეროს 1961 წლის კონვენციის მოთხოვნების სრულად შესაბამისი.

**უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო პაკეტი**

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელ საკანონომდებლო ბაზაში ცვლილებების განხორციელების მიზანი იყო საქართველოში უცხოელთა ყოფნის საფუძვლებისა (ვიზა და/ან ბინადრობის ნებართვა) და პროცედურების განსაზღვრა თანამედროვე რეალობისა და გამოწვევების შესაბამისად, ასევე საქართველოდან უცხოელთა გაძევების საფუძვლებისა და პროცედურების, გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესისა და ვადების დადგენა.

ცვლილებები ხელს უწყობს ქვეყანაში იმიგრაციული პროცესების დასარეგულირებლად მკაფიო სავიზო პოლიტიკის ჩამოყალიბებას და განსაზღვრავს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც განახორციელებს ქვეყანაში უცხოელთა ლეგალურად შემოსვლისა და ყოფნის კონტროლს.

**პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და სამოქალაქო აქტები**

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად ცვლილებები შევიდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონში.

**საარჩევნო სიების დაზუსტება**

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისათვის ცესკოსათვის გადაცემული სიები სიზუსტით ყველა სხვა საარჩევნო სიებისაგან გამოირჩეოდა. 15 ივნისის არჩევნებზე საქართველოს პირველად ჰქონდა საარჩევნო უბნებზე ფოტოსურათიანი სიები, რაც მონაცემების გაორების აღმოფხვრის საშუალებას იძლეოდა. სამოქალაქო რეესტრის ელექტრონულ ბაზებში გამოვლინდა და გასწორდა რეგისტრაციის ხარვეზები.

**სერვისების ხელმისაწვდომობა**

მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისების მიწოდების მაღალი სტანდარტი საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია.

წელს გაიხსნა ზუგდიდის იუსტიციის სახლი, მომავალი წლიდან იუსტიციის სახლები ფუნქციონირებას დაიწყებს მცხეთაში, ფოთში, თიანეთში, ბორჯომსა და ლაგოდეხში.

სოფლის მოსახლეობას სოფლიდან გაუსვლელად 200-ზე მეტი სერვისის მიღება შეეძლება საზოგადეობრივ ცენტრებში, რომელიც არა მხოლოდ სერვისებს მიწოდების, არამედ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის თავშეყრისა და კონკრეტული პროექტების რეალიზაციის ადგილია. წელს საქართველოს მასშტაბით გაიხსნება კიდევ ოთხი, 2015 წელს კი - ექვსი საზოგადოებრივი ცენტრი. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ასევე ხელმისაწვდომია თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა, უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეოკონფერენციის აპარატურა, ბანკომატები და სწრაფი გადახდის აპარატები. საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით დაინერგა ინგლისური ენისა და ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსები.

## ადამიანის უფლებების დაცვა

ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია. სხვადასხვა სექტორში მიმდინარე წარმატებული საქმიანობის კოორდინირებისა და ეფექტიანობის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის ივლისში დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელიც ორ წელიწადზე გაწერილი, მუდმივად განახლებადი დოკუმენტია და მოიცავს იმ ძირითად გამოწვევებს, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თომას ჰამარბერგის რეკომენდაციები.

„ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“ არის საქართველოს პარლამენტის მიერ ა.წ. აპრილში დამტკიცებული „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2014-2020“ შესრულების მექანიზმი. სტრატეგიაში დეტალურად არის გაწერილი სახელმწიფოს გრძელვადიანი ხედვა და პრიორიტეტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, მათ შორის, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის, კანონის უზენაესობის პრინციპების განმტკიცების, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის, უმცირესობისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის კუთხით.

სამოქმედო გეგმის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით შეიქმნა ადამიანის უფლებათა საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. საბჭო ყოველი წლის მარტში პარლამენტს წარუდგენს სტრატეგიის შესრულების ანგარიშს.

მთავრობის ადმინისტრაციაში მოქმედი ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო უზრუნველყოფს უწყებებს შორის ეფექტიან კოორდინაციასა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს.

## 3. <u>საჯარო სამსახურის რეფორმა</u>

საქართველოს მთავრობის ინიციატივით  შემუშავდა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, რომლის შინაარსიც დაფუძნებულია პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტის დანერგვაზე და გულისხმობს ისეთი რეგულაციების შემოღებას, რომლის მიზანიც არის პოლიტიკური გავლენისაგან საჯარო სამსახურის გათავისუფლება, კარიერაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის სისტემის შექმნა, სამართლიანი დაწინაურების სისტემის ფორმირება და სხვ.

კონცეფციით გათვალისწინებული რეფორმის წარმატებით იმპლემენტაციის მიზნით, მიმდინარე წელს განხორციელდა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს რეორგანიზაცია - იგი დაექვემდებარა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი დანიშნულება საჯარო სამსახურის სფეროში, რაც აისახა ბიუროს როლის გაძლიერებაში როგორც საჯარო კონკურსებისა და ატესტაციების მიმდინარეობისას, ისე სახელმწიფოს ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების კუთხით.

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესები. განისაზღვრა ბიუროს როლი როგორც მიმდინარე კონკურსების ჩატარებისას, ისე შედეგების მონიტორინგის მხრივ და გაიწერა მთელი რიგი ახალი რეგულაციები კონკურსისა და ატესტაციის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესაბამისად და საჯარო სამსახურის სფეროში გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების მიზნით ცვლილებები შევიდა  „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში. გაფართოვდა ქონებრივი დეკლარაციის წარმდგენ თანამდებობის პირთა წრე და მათზე გავრცელდა კანონით დადგენილი შეზღუდვები და ვალდებულებები, მათ შორისაა, ის ვალდებულებებიც, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკური ინტერესების გაცხადებას და ამ მიზნით თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებას.

ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა თანამშრომლებისათვის ჩატარდა მამხილებელთა დაცვის თაობაზე ცნობიერების ამაღლების ტრენინგები, რაც ასევე ანტიკორუფციული პოლიტიკის ნაწილია. საჯარო სექტორში სამართლიანი ანაზღაურების პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დამტკიცდა საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესი, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის საჯარო მოხელისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობის მიცემას.

## 4. <u>რეფორმები სასჯელაღსრულების სისტემაში</u>

### მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა უფლებების გაუმჯობესება

2014 წელს საქართველოს პატიმრობის კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლებიც მაქსიმალურად აახლოებს საქართველოს სტანდარტებს საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ, გაუმჯობესდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულების სასჯელის მოხდის პირობები, გაიზარდა ხანმოკლე პაემნების რაოდენობა, სატელეფონო საუბრები, პაემნების ხანგრძლივობა; გაფართოვდა ხანმოკლე პაემანზე დასაშვებ პირთა ნუსხა; პატიმარს უფლება მიეცა დროებით დატოვოს დაწესებულება არა მხოლოდ ახლო ნათესავის საშიში ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში, არამედ სხვა განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, მათ შორის, სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად; გაიზარდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ფართობის ნორმა.

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში განისაზღვრა ახალი ტიპის დაწესებულებები, კერძოდ, დაბალი და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, მისივე წერილობითი თანხმობით, დაეკისრება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დადგენილი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, ისწავლოს ან/და იმუშაოს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო აქტივობებში. მულტიდისციპლინარული ჯგუფი შეაფასებს პატიმართა რისკებს და მოხდება მათი შემდგომი განთავსება სხვადასხვა რისკის დაწესებულებებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება უცხოელი ექსპერტების დახმარებით.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ 2014 წელს განაახლა და გააუმჯობესა 2013 წელს შემუშავებული პატიმართა კვების სტანდარტი. ამჟამად სტანდარტში მოცემულია 12 სხვადასხვა ტიპის რაციონი, რომელიც ითვალისწინებს როგორც პატიმართა კატეგორიებს, ისე მათ ფიზიკურ აქტივობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას.

2014 წელს პირობით მსჯავრდებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიზნით, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც, პრობაციონერთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ყველა რეგიონში ნერგავს ფსიქოსოციალურ სერვისებს, რაც ხელს შეუწყობს პრობაციონერთა სრულ რეაბილიტაციასა და შეამცირებს რეციდივის რისკებს.

2014 წლის 30 აპრილს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები, რითაც აღმოიფხვრა სისტემაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზი.

ქალ და არასრულწლოვან პატიმართა სპეციფიკური საბაზისო საჭიროებები პენიტენციარული ჯანდაცვის სტანდარტში 2014 წლიდან არის გათვალისწინებული. 2014-2017 წლების პენიტენციარული ჯანდაცვის განვითარების სტრატეგიაში აღნიშნული მიმართულებები გამოყოფილია პრიორიტეტებად და იგეგმება პროგრამული კომპონენტების დამატება: ქალი პატიმრებისათვის ზოგიერთი ონკოლოგიური დაავადების სკრინინგი, ნარკოდამოკიდებულების მკურნალობა-რეაბილიტაციის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და სხვ. არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობისას მეტი ყურადღება ეთმობა ფსიქიკური ჯანმრთელობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობას და კანის ჰიგიენის საკითხებს.

2014 წლიდან C ჰეპატიტის მკურნალობა პატიმრებისთვის გახდა უფასო. დღემდე, პროგრამაში ჩაერთო 201 პაციენტი. ამჟამად ვირუსისგან სრულად განკურნებულია 96 პაციენტი. წინასწარი მონაცემებით, დანარჩენები წარმატებით ასრულებენ მკურნალობას. სექტემბერში პროგრამაში ჩაერთვება დამატებით 150-მდე, ხოლო წლის ბოლომდე - ჯამში 500 პაციენტი. პირველ საკონტროლო ჯგუფში განკურნების მაჩვენებელი 80%-ზე მაღალია.

2014-2017 წლების პენიტენციარული ჯანდაცვის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანაა სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში პენიტენციარული ჯანდაცვის ინტეგრაციის გეგმის განხილვა და მომზადება. აღნიშნულ ამოცანაზე მუშაობას დაეთმობა 2015-2017 წლების პერიოდი.

**მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია - რესოციალიზაცია**

**თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება**

2014 წელს ფუნქციონირება დაიწყო თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებამ, რომელიც 75–100 მსჯავრდებულისთვისაა გათვალისწინებული. ტერიტორიაზე განთავსებულია საცხოვრებელი კომპლექსი, სარეაბილიტაციო ცენტრი, მრავალპროფილიანი საწარმოო შენობა, სპორტული მოედნები, სპორტული დარბაზი, ღია ეზო, შეხვედრების ოთახი, სასადილო, საკონფერენციო დარბაზი, მაღაზია, კომპიუტერული კლასი, სამედიცინო ცენტრი, მოსასვენებელი ოთახი და ბიბლიოთეკა.

დაწესებულებაში განთავსებულ პირებს შეზღუდული არა აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობისა და ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, თავისუფლებაშეზღუდულ პირებს შეუძლიათ შაბათ-კვირას დატოვონ დაწესებულების ტერიტორია და წავიდნენ ოჯახებში. თავისუფლებაშეზღუდულ პირებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ და შესაბამისი ანაზღაურება მიიღონ ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა პროფილის საწარმოში. თავისუფლებაშეზღუდულ პირებს შეუძლიათ მრავალპროფილიან სასწავლებელში შეისწავლონ სხვადასხვა პროფესია. ამასთან, თავისუფლებაშეზღუდული პირები სარგებლობენ პაემნის უფლებით.

## დასაქმება და სხვადასხვა პროგრამებში ჩართულობა

2013 წელს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, დასაქმდა 124 პირობით მსჯავრდებული, 2014 წლის პირველ 6 თვეში ამ მაჩვენებელმა 67 შეადგინა. ფსიქოსარეაბილიტაციო პროგრამა 328 პირობით მსჯავრდებულმა გაიარა. პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამები გაიარა – 187–მა პრობაციონერმა და საზოგადოებრივ–კულტურულ საქმიანობაში ჩაერთო 1169 პრობაციონერი.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტერიტორიაზე მცირე საწარმოების მოსაწყობად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ დაწესებულების ტერიტორიაზე მოაწყო პურპროდუქტების საწარმო, რომელშიც არანაკლებ 42 თავისუფლებაშეზღუდული პირი და პირობით მსჯავრდებული დასაქმდა და შესაბამის ანაზღაურებას მიიღებს. ამასთან, კომპანიის სპეციალისტები თავისუფლებაშეზღუდულ პირებს პურპროდუქტების წარმოების სფეროში გადაამზადებენ, რაც მათთვის, სასჯელის მოხდის შემდეგ, სამუშაოს პოვნის შესაძლებლობას გაზრდის.
2014 წელს პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები საერთაშორისო ორგანიზაციასთან „ჰილფსვერკ ავსტრია“ (HWA), იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციასთან „თანხმობა“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“. პირობით მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ და სოციალური მომსახურების სააგენტომ, აგრეთვე სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზამ“ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს.

## 5. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა

ადამიანის უფლებების დაცვა შსს–ს საქმიანობის უმთავრესი პრიორიტეტია. 2014 წლიდან ამოქმედდა „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალ სტანდარტებს და მიზნად ისახავს პოლიციის საქმიანობაში კანონიერების, თანასწორობის, თანაზომიერებისა და პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპების განმტკიცებას.

ტრანსპარანტული გახდა დროებითი მოთავსების იზოლატორების (დმი) საქმიანობა. 2014 წლის მონაცემებით, მონიტორინგის მიზნით, დმი-ებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და უცხოელი უფლებადამცველების მიერ 120-ზე მეტი ვიზიტი განხორციელდა. რეაბილიტირებულ იქნა დმი-ის ინფრასტრუქტურა (თბილისის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონული დმი). დაკავებულ ქალთა უფლებების დაცვის მიზნით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში გაიზარდა ქალ თანამშრომელთა რაოდენობა. დმი-ში უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების დროული და შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა.

შსს–სა და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ერთობლივი ინიციატივით მიღებულ იქნა ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდართვევათა კოდექსში, რომლის შედეგადაც ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 90 დღის ნაცვლად განისაზღვრა 15 დღით.

სამინისტრო აქტიურად მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათთვის ინფორმაციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

სამინისტროს სისტემის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, საჯარო ინფორმაცია უწყვეტ რეჟიმში, პროაქტიურად ქვეყნდება შესაბამისი საინფორმაციო წყაროების მეშვეობით; 2014 წლის აპრილში მომზადდა საჯარო ინფორმაციის ახალი ვებგვერდი.

2014 წლის მაისიდან გასაჯაროვდა ახალი მეთოდოლოგიით გამოთვლილი, უფრო მეტად დეტალიზებული რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები შსს–ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით. ამასთან, ახლო მომავალში დაემატება სტატისტიკური მონაცემები საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების ქვემდებარეობის მიხედვით.

ყურადღება ეთმობა სამინისტროს საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ექსპერტები ჩართული იყვნენ შსს-ს მიერ არაერთი კანონპროექტის შემუშავების პროცესში.

სახელმწიფოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის კონტროლის ქმედითი გარანტიების ჩამოყალიბების მიზნით, 2013-2014 წლებში დამტკიცდა და ამოქმედდა ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, რომელიც ეყრდნობა „პოლიციის სფეროში პერსონალური მონაცემების გამოყენების რეგულირების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას.

გაიზარდა საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის შესაძლებლობები; გაიხსნა პოლიციის ახალი შენობები; მიმდინარეობს შსს–ს სხვადასხვა შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დანაშაულის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ქვეყნის მასშტაბით 30%–ით გაიზარდა საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015წწ. „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ მიხედვით პოლიციის მომსახურება გაუმჯობესდა 9 საფეხურით და 37-ე ადგილიდან 28-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

იზრდება და იხვეწება შსს-ს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის შესაძლებლობები. სამინისტრო აღიჭურვა ექსპერტიზის თანამედროვე ტექნიკით. საექსპერტო კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში წარმოებს 500-მდე სხვადასხვა ტიპის ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების (ე.წ. „ბიო“, „სპაისი“) თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი.

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის ქმედითი მექანიზმის შექმნის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში 2014 წლის აგვისტოში შეიქმნა მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის შიგნით კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა აღმოჩენაზე, დაკავებასა და ქვეყნიდან გაძევებაზე. ასევე შეიქმნა სრულიად ახალი პროგრამული უზრუნველყოფა – სასაზღვრო მიგრაციის მართვისა და მოხსენებების სისტემა. ეს სისტემა უცხოელთა შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებულ ინფორმაციას შეაგროვებს, დაამუშავებს და გამოავლენს იმ პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ ქვეყანაში ყოფნის კანონიერი საფუძველი. პროგრამის გამართული ოპერირებისათვის განახლდა სასაზღვრო გამტარი პუნქტების შესაბამისი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაც. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტების შესაბამისად, აშენდა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა დროებითი განთავსების ცენტრი.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშავა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. 2014 წლის მარტიდან, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო საინფორმაციო კამპანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015წწ. „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ მიხედვით, საქართველოს პოზიცია ორგანიზებული კრიმინალის

ქვეპუნქტით 2012-2013 წლებთან შედარებით გაუმჯობესდა 48 საფეხურით და 75-ე ადგილიდან 27-ე ადგილზე გადმოინაცვლა, მათ შორის, 37 საფეხურით წინსვლა დაფიქსირდა ამ წელს.

გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის წინააღმდეგ. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებარა ზოგიერთი სამკურნალო საშუალება, რომელთაგან მზადდებოდა კუსტარული ნარკოტიკები. 2014 წელს ამოქმედდა „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომლის საფუძველზე დაწესდა პასუხისმგებლობა, არა მხოლოდ ცალკეულ ე.წ. „ბიოებსა“ და „სპაისებზე“, არამედ ქიმიურ ნაერთთა მთელ კლასებზე. კანონის ამოქმედების შემდეგ მინიმუმამდეა შემცირებული ინტერნეტით ამ ნივთიერებების გამოწერა და ფოსტის საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა.

ქვეყანაში ნარკოტიკებისა და პრეკურსორების უკანონო შემოტანის ძირითად მიმართულებებზე კონტროლისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმების გაძლიერების შედეგად, შსს–მ 2013 წელს ამოიღო 116,5 კგ ჰეროინი, ხოლო 2014 წლის ივლისში – 2.79 ტონა თხევადი ჰეროინი. შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს აქტიურ მუშაობას დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის მიმართულებით.

გაძლიერებულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილი მობილური ჯგუფები ახორციელებენ ტრეფიკინგის დანაშაულის რისკის შემცველი ადგილების გამოვლენასა და აღრიცხვას პოტენციურ მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენის მიზნით. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, 2014 წელს საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. ასევე დამტკიცდა ტრეფიკინგის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავი ორგანოებისათვის.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შსს აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მუდმივად ხორციელდება აღნიშნულ სფეროში შსს–ს თანამშრომელთა პროფესიული უნარ–ჩვევების განვითარება.

ქვეყნის საზღვრის დაცვის მიზნით აშენდა სასაზღვრო სექტორები, ბლოკპოსტები და სათვალთვალო კოშკურები. ასევე, მიმდინარეობს ახალი სასაზღვრო სექტორების მშენებლობა. განხორციელდა სახელმწიფო საზღვრის დაცვის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განახლდა სასაზღვრო პოლიციის (ასევე სანაპირო დაცვის) მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. მიმდინარეობს სასაზღვრო პოლიციის დაკვირვების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა და სანაპირო დაცვის მცურავი საშუალებების მოდერნიზაცია.

2014 წელს გაიხსნა საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი, რომელიც საზღვაო ოპერაციების მაკოორდინირებელი ორგანოა და აღჭურვილია ერთობლივი მართვის, კონტროლის, კომუნიკაციების, საზღვაო დაკვირვების ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით. გაუმჯობესდა სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა სამუშაო პირობები, გაიზარდა მათი თანამდებობრივი სარგო.

უმჯობესდება საგანგებო სიტუაციების მართვის შესაძლებლობები. განხორციელდა დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განახლდა მისი აღჭურვილობა.

შემუშავდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია, რომელიც 2014 წლის თებერვალში დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. დასკვნით ფაზაშია სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. 2014 წლის ივნისში საქართველოში პირველად გაიმართა „ქბრბ მეცნიერებისა და შედეგების მართვის მსოფლიო კონგრესი“.

შსს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარი სერვისების განვითარებას. 2014 წელს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო გაწევრიანდა მძღოლთა ტესტირების საერთაშორისო კომისიაში - CIECA, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდების წესებზე დაკვირვებას და უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის დამკვირვებელთა (გამომცდელთა) თანამედროვე სტანდარტებით გადამზადებას. 2014 წლიდან მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა ინოვაციურ პროექტზე, მათ შორის, მართვის მოწმობის მისაღები გამოცდის ჩაბარების დახვეწისა და სკოლებში საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის წესების სწავლების დანერგვის მიზნით სასწავლო პროგრამის შემუშავებაზე, აგრეთვე იმაზე, რომ მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება, ნაცვლად სპეციალური მოედნებისა, მოხდეს ქალაქის რეალურ მოძრაობაში. 2014 წლის ივნისში 112-მა დანერგა ევაკუატორებით მომსახურების, მხუთავი აირისა და ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორების სერვისები. ასევე შეიქმნა რეგიონალური სასწრაფოს ვებსერვისი. 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყო ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების გაცემა, რომლებიც თავისი ფორმით, შრიფტითა და დამცავი მექანიზმებით შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

შსს-ს აკადემიაში შემუშავდა ახალი პროგრამები. გადამუშავდა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო და თანამშრომლების გადამზადების პროგრამები და გაიზარდა მათი ხანგრძლივობა. 2014 წელს აკადემიამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიიღო, შეიმუშავა „საპოლიციო რეგულირების სამაგისტრო პროგრამა“ და მიიღო მსმენელები. 2013-2014 წლებში შსს–ს აკადემიამ მოამზადა და გადაამზადა 1451 მსმენელი.

მომზადდა და ცვლილებები შევიდა არაერთ საკანონმდებლო აქტში, კერძოდ ესენია: „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონი, „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონი, „უხცოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონი, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონი, „საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსი“, ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, ,,საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ კანონი, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონები, „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონი.

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ 19 ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება გააფორმა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, პოლიციის, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის, საგანგებო სიტუაციების, რეადმისიისა და მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროებში. ბრიუსელში, ნატო–საქართველოს კომისიის ფარგლებში, დამტკიცდა PARP-ის ახალი დოკუმენტი. შსს–ს მიერ აღებული ვალდებულებების საფუძველზე, შემუშავდება სასაზღვრო პოლიციის მოდერნიზაციის, სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის 5-წლიანი პროგრამა. 2014 წელს მიმდინარეობს რიგით მეექვსე წლიური სამოქმედო პროგრამის (ANP) შესრულება. 2014 წლის აგვისტოში დაიწყო ევროპოლთან სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების ინიციირების პროცესი.

## 6. <u>თავდაცვა და უსაფრთხოება</u>

### გამჭვირვალობის მაღალი დონის შენარჩუნება და კორუფციის პრევენცია

ნატოს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა საბოლოო ანგარიში (Peer Review Document). დოკუმენტში ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც სამინისტრომ უკვე გადადგა გამჭვირვალობის გაზრდისა და კორუფციის რისკების შემცირების მიზნით. ასევე გამოიყო ის საკითხები, რომლებიც დამატებით საჭიროებს გაუმჯობესებას.

2014 წლის იანვარში შეიქმნა შიდა აუდიტის დეპარტამენტი. სრულად ახალ ფაზაში გადადის სამხედრო პოლიცია და მომავალში გამიზნულია მისი შემადგენლობის გასამხედროება.

გენერალური ინსპექციის საქმიანობის დახვეწისა და თავდაცვის სამინისტროში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობის მიზნით დაიწყო მუშაობა გენერალური ინსპექციის საქმიანობის ახალ კონცეპტუალურ მონახაზზე.

მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა და გამოცდილების გაზიარება.

### გენდერული თანასწორობა

თავდაცვის სისტემაში გენდერული თანასწორობის დაცვის ხელშესაწყობად 2014 წელს თავდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა „გენდერული თანასწორობის პოლიტიკის“ დოკუმენტი. მისი მთავარი მიზანია თავდაცვის სისტემაში ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია, აღმოფხვრა და გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა.

თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში დღევანდელი მდგომარეობით ხელმძღვანელი თანამდებობის 46%-ს ქალები იკავებენ. თანამშრომლებს შორის 50%-ზე მეტი ქალია. შეიარაღებულ ძალებში ქალთა რაოდენობა 6%-ს აღემატება.

### საზოგადოებასთან ურთიერთობა და თავდაცვის დიპლომატია

შემუშავდა თავდაცვის სამინისტროს „თეთრი წიგნი,“ რომელიც ასახავს საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებულ მდგომარეობას და სამინისტროს ძირითად პრიორიტეტებს.

საჯარო ინფორმაციის გაცემის მექანიზმის დასახვეწად განისაზღვრა საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის უფლებამოსილი კონკრეტული თანამდებობის პირები. ამასთან, მომზადდა საზოგადოებასთან ურთიერთობის 2014 წლის გეგმა.

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან შექმნილი სამუშაო ჯგუფების ფორმატში (გამჭვირვალობა და ადამიანის უფლებები, თავდაცვის ტრანსფორმაცია, ნატოში ინტეგრაცია და საერთაშორისო ოპერაციები).

თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა მოქალაქეთა მისაღები, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია და შეხვდნენ თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეებს.

მიმდინარე წლის 26-28 ივნისს ბათუმში გაიმართა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების რიგით მე-9 კონფერენცია (GDSC). აღნიშნული ღონისძიება აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, რომლებიც განიხილავენ უსაფრთხოების სფეროში არსებულ ტენდენციებს, გამოწვევებსა და მათი დაძლევის გზებს.

**ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემების გაუმჯობესება**

შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელოვანი კონცეპტუალური დოკუმენტები: ,,სამოქალაქო პერსონალის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების სტრატეგია“, „სამხედრო პირადი შემადგენლობის მართვის სისტემების განვითარების სტრატეგია“. ამ დოკუმენტებში აღწერილია ის პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე დასავლური ტიპის პერსონალის მენეჯმენტის სისტემა და დაინერგოს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. აღნიშნული უზრუნველყოფს ნატოსთან თავსებადობის ხარისხის გაზრდას და შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას.

შემუშვების პროცესშია და უნდა დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალის სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის სისტემა.

შემუშავებულია დაწინაურების ახალი სისტემის კონცეფციის პირველადი დოკუმენტი. აღნიშნული სისტემა წარმოადგენს დასავლეთის წამყვანი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ანალოგს. იგი უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეთა დაწინაურებას მაქსიმალურად ობიექტურ და კონკურენტულ გარემოში.

**თავდაცვის სისტემის მდგრადი განვითარება**

„თავდაცვის დაგეგმვის დოკუმენტის“ ფარგლებში შემუშავდა 2015 წლის პროგრამული სტრუქტურა. ეს სტრუქტურა შემუშავდა მატერიალური რესურსების მართვის სამუშაო ჯგუფის წევრებთან და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების წარმომადგენლებთან აქტიური კოორდინაციით.

2014 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში პირველად შემუშავდა „თავდაცვის ინტეგრირებული პროგრამა“, რომელიც არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2015

წლის პროგრამების ერთობლიობა და  მოიცავს 2016-2018 წლების პროგრამების სავარაუდო გათვლებს. „თავდაცვის ინტეგრირებული პროგრამა“ ეფუძნება „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოში“ განსაზღვრულ პროგრამულ სტრუქტურას 2015-2018 წლებისათვის. 2015 წლის პროგრამები ითვალისწინებს საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებული საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნებას და სტრატეგიული და შიდაუწყებრივი დოკუმენტებით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას. თავდაცვის სამინისტოში ეს მიმართულებები დაიყო პრიორიტეტების მიხედვით და გაიწერა განსაზღვრული პროგრამების იმპლემენტაციის გეგმა 2015-2018 წლებისათვის.

დამტკიცდა „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია“. დოკუმენტი არსებულ მდგომარეობაზე დაყრდნობით, აყალიბებს სშმ-ის სამხედრო მიზნებსა და ამოცანებს, თავდაცვის პრინციპებსა და საჭირო სამხედრო შესაძლებლობებს.

მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სტრუქტურული ერთეულების როლისა და ფუნქციების განსაზღვრა. შემუშავდა საომარი მდგომარეობის დროს სამოქალაქო ოფისის როლისა და ფუნქციების განმსაზღვრელი კონცეფციის პროექტი.

მომზადდა თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის ანგარიში ქბრბ (ქიმიური, ბიოლოგიური და რადიაციულ-ბირთვული) მიმართულებით.

**შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება,  სპეციალური ოპერაციების ძალების გაძლიერება**

სპეციალური ოპერაციების ძალების გაძლიერების მიზნით შემუშავდა „სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარების სტრატეგიის 2014-2016“ პროექტი.

ესტონეთის სპეციალური ოპერაციების ძალების წარმომადგენლებთან ერთად დაიგეგმა გაცვლითი ერთობლივი სპეციალური დანიშნულების საველე სწავლების ჩატარება.

დაიგეგმა  ერთობლივი გაცვლითი სწავლების ჩატარება ლიტვასთან, შესაბამისად ხელი მოეწერება ორი ქვეყნის სპეციალური დანიშნულების ძალების თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულებას. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პოლონეთის სპეციალური ოპერაციების ძალებმა  ნატოს  სტანდარტებით მოამზადონ საქართველოს სპეციალური ოპერაციების ძალები. დამატებით, დაიგეგმა გაცნობითი და თანამშრომლობის დამყარების ღონისძიებები ნიდერლანდების სპეციალური ოპერაციების ძალებთან.

**საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება**

შემუშავდა საჰაერო სივრცის კონტროლისა და საჰაერო თავდაცვის განვითარების გეგმების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს არსებული შეიარაღებისა და ტექნიკის მოდერნიზებას, ახალი ტექნიკისა და შეიარაღების შეძენა/შესყიდვას და შესყიდული

ტექნიკისა და შეიარაღების გამოყენების მიზნით პირადი შემადგენლობის მომზადება/გადამზადებას. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ფრანგულ მხარესთან.

**ლოგისტიკური უზრუნველყოფის და ინფორმაციული/კავშირგაბმულობის შესაძლებლობების განვითარება**

შემუშავდა 2015 წლის ლოგისტიკური მოთხოვნები 2018 წლამდე სავარაუდო გათვლით. მიმდინარეობს ლოგისტიკური პროცესების, სამუშაო სპეციფიკისა და პროცედურების სრულყოფა. დამტკიცდა ყოველწლიური შესყიდვების გეგმის შემუშავებისა და ცვლილებების წესები. შემუშავდა შესყიდვებისა და საწყობების მართვის ელექტრონული პროგრამის საპილოტე ვერსია, 2014 წლის ბოლოს რეალურ რეჟიმში ამუშავდება შესყიდვებისა და საწყობების მართვის ელექტრონული მოდული.

**სადაზვერვო შესაძლებლობების გაძლიერება**

შემუშავდა და დამტკიცდა სამხედრო დაზვერვის კონცეფცია, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სამხედრო დაზვერვის განვითარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების გეგმა. შემუშავდა დაზვერვის ძირითადი ფორმალიზებული დოკუმენტები.

გაანალიზდა 2013 წლის საბრძოლო მომზადების შედეგები (საბრძოლო მზადყოფნის სტატუსები) და გამოვლინდა არსებული დაგეგმვისა და აღსრულების პროცესების ნაკლოვანებები. მიმდინარეობს სადაზვერვო დანაყოფების სტანდარტული, ამოცანაზე ორიენტირებული საბრძოლო მომზადების პროგრამის შემუშავება.

**რეზერვისა და მობილიზაციის ეფექტიანი სისტემის შექმნა**

2013 წლის ნოემბრიდან საქართველო გახდა ნატოს ეროვნული სარეზერვო ძალების კომიტეტის (National Reserve Force Committee) დამკვირვებელი წევრი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების შესახებ მნიშვნელოვანი მასალების მოპოვება, ასევე მათი ექსპერტების მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალების რეზერვისა და მობილიზაციის ტრანსფორმაციის კონცეფციის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მიღება. შემუშავდა რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის ტრანსფორმაციის კონცეფციის მიმოხილვის დოკუმენტის პროექტი (მწვანე წიგნი). გეოინფორმაციული სისტემების (GIS) ტექნოლოგიების გამოყენებით, ციფრულ რუკაზე დატანილ იქნა არსებული რეზერვის პირადი შემადგენლობის მონაცემები ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან ერთად დაიწყო სავალდებულო რეზერვის პირადი შემადგენლობის სიების გადამოწმება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მონაცემთა ბაზის განახლება. ასევე მომზადდა არსებული რეზერვის რეორგანიზაციისა და დაკომპლექტების გეგმა.

**კიბერუსაფრთხოების ბიურო**

შეიქმნა კიბერუსაფრთხოების ბიურო, რომელმაც უნდა შეიმუშოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და სტრატეგია.

შემუშავდა „კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ეფექტიანად დანერგვისა და უსაფრთხოდ განვითარების ხედვას.

შეიქმნა „კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების სამსახურის პოლიტიკის“ დოკუმენტი.

**ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელება**

სამხედრო მოსამსახურეებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად ღირსეული და სათანადო პირობების შექმნის მიზნით, შემუშავდა სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარების 2014-2015 წლების გეგმა, რომლითაც განისაზღვრა ინფრასტრუქტურული პროექტების ძირითადი მიმართულებები. აღნიშნული გეგმის გათვალისწინებით, 2014 წლის განვლილ პერიოდში გაფორმდა სულ 72 კონტრაქტი, აქედან დასრულდა სამუშაოები 47 კონტრაქტზე - ჯამური ღირებულებით 3 282 930 ლარი. მიმდინარეობს სამუშაოები 25 კონტრაქტზე - ჯამური ღირებულებით 9 600 486 ლარი. კონტრაქტები ძირითადად მოიცავს ყაზარმებისა და სასადილოების მშენებლობას, სამხედრო ნაწილების ტერიტორიის კეთილმოწყობას, წყალშემკრები ნაგებობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს და სხვ.

**წვრთნებისა და განათლების სისტემის შემდგომი რეფორმა: სამხედრო მოსამსახურეთა განათლება და სასწავლო პროცესების დახვეწა**

2014 წელს დამტკიცდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების განათლებისა და საბრძოლო მომზადების კონცეფცია“, „შეიარაღებული ძალების განათლებისა და საბრძოლო მომზადების სტრატეგია“ და „ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფცია“.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში შემუშავდა მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სასწავლო გეგმები. მიმდინარეობს სასწავლო დისციპლინების სილაბუსების დახვეწა თანამედროვე ლიტერატურისა და მსოფლიო წამყვანი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილების გათვალისწინებით.

ამერიკელ მრჩეველთა ჯგუფის მონაწილეობით ჩატარდა სასწავლო პროცესისა და საველე გასვლების მონიტორინგი. განხორციელდა ინსტრუქტორების გადამზადება. ქართველმა ჯარისკაცებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ერთობლივ სწავლებებსა და შეკრებებში (“Viking-2014”, “Combined Resolve II”, “CALLFAX”, “AGILE SPIRIT 2014”).

## სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური, სამედიცინო უზრუნველყოფა და მათი უფლებების დაცვა

2015 წლიდან ამოქმედდება თავდაცვის სამინისტროში დასაქმებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის დანამატი მრავალშვილიანობაზე. ყოველთვიური დანამატი ითვალისწინებს დახმარებას ოთხი ან მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში, ხოლო დანამატის ოდენობა თითოეული ოჯახისთვის განისაზღვრა 250 დან 700 ლარამდე.

ნატო-საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში 2014 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა „წლიური ეროვნული გეგმით“ (ANP) აღებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულება, რაც ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურეთა თანამდებობრივი ანაზღაურების სისტემიდან წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლას. წოდებრივი ანაზღაურება წარმოადგენს თანამედროვე დასავლური სტანდარტების შესაბამისი სამხედრო პერსონალის მართვის სისტემების ჩამოყალიბების საფუძველს.

მიმდინარეობს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების რეაბილიტაციისა და პროთეზირების პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა.

თავდაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნილი სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების საკითხების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დახმარება გაეწიათ მოქმედ და დათხოვნილ მოსამსახურეებს, მათი ოჯახის წევრებს. კერძოდ, 2014 აგვისტოს მდგომარეობით დახმარება გაეწია სულ 279 პირს. ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 1,715,051 ლარი. 1 მარტიდან ამოქმედდა სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი გაუმჯობესებული სისტემა.

პრეზიდენტის წეროვანის რეზიდენციაში, რომელიც თავდაცვის სამინისტროს გადმოეცა, გაიხსნა საომარ მოქმედებებში და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის დროს დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის რეაბილიტაციის ცენტრი. შემუშავდა შეიარაღებული ძალების კვების სტანდარტი, რომელიც შემდგომი პროცედურების გასატარებლად გადაეცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მხარდაჭერის ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების რეაბილიტაციას. რეაბილიტაცია გაიარა 26-მა უნარშეზღუდულმა ბავშვმა.

სამხედრო მოსამსახურეთა ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის ფარგლებში გრძელდება სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის შესაძლებლობების განვითარება. მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელდა ჰოსპიტლის უზრუნველყოფა ახალი სამედიცინო ტექნიკითა და დანადგარებით.

## საერთაშორისო თანამშრომლობა

2014 წლის 21 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ოპერაცია EUFOR RCA-ში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეითი ასეულის მონაწილეობის შესახებ. 8 ივნისს ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო მისიაში ერთ ეტაპად გაემგზავრა საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვეითი ასეული (156 სამხედრო მოსამსახურე). თებერვალში საქართველომ ოფიციალური განაცხადი გააკეთა მალიში ევროკავშირის საწრთვნელ მისიაში (EUTM-Mali) მონაწილეობის სურვილის თაობაზე.

ხელი მოეწერა საქართველოსა და ეუთოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს „მცირე და მსუბუქი შეიარაღების დასაწყობების პროგრამის შესახებ“. მემორანდუმი ითვალისწინებს ჭარბი და ვადაგასული წვრილი და კონვენციური შეიარაღების დემილიტარიზაციის პროექტების განხორციელებას, მასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო საკითხების დახვეწასა და ამ კუთხით შესაძლებლობების განვითარებას.

2014 წლის მაისში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს (ICRC) შორის „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ცოდნის გავრცელებისა და ინტეგრაციის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე“.

## ორმხრივი ურთიერთობები

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით თავდაცვის სამინისტრო ინტენსიურად თანამშრომლობს არსებულ პარტნიორ ქვეყნებთან და ავითარებს ორმხრივ ურთიერთობებს ახალ პარტნიორებთან. მიმდინარე წელს საქართველომ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა დაიწყო უნგრეთთან, სლოვაკეთთან, მოლდოვასა და ავღანეთთან (გაფორმდა ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმები). მომავალ წელს იგეგმება ორმხრივი თანამშრომლობა იტალიასთან, ალბანეთთან, ნიდერლანდსა და ესპანეთთან.

თავდაცვის სფეროში გაღრმავებული თანამშრომლობის 6 მიმართულებას დაემატა ორი ახალი სფერო - თანამშრომლობა სპეციალური ოპერაციების ძალებისა და სამხედრო დაზვერვის სფეროებში. თანამშრომლობის ფარგლებში აშშ-ის მხარემ გამართა სემინარები, სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები სპეციალური ოპერაციების ძალებისა და სამხედრო დაზვერვის შესაძლებლობების განვითარების მიზნით.

ყოველწლიურად უფრო ინტენსიური და ყოვლისმომცველი ხდება თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა გერმანიასთან. 2014 წლის დეკემბრიდან ქართული ასეული (134 ს/მ) ავღანეთის მხარდამჭერ მისიაში სწორედ გერმანული კონტიგენტის შემადგენლობაში მიიღებს მონაწილეობას. ასევე აქტიურად დაიწყო ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაქტიული და ბირთვული თავდაცვის სფეროში ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობა, რაც ქართული ქვედანაყოფის გაწვრთნასა და შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

დაიწყო სამმხრივი თანამშრომლობა საქართველოს, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც რეგიონალური თანამშრომლობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას ისახავს მიზნად.

## დაზვერვის სააგენტო

საქართველოს დაზვერვის სააგენტო პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადავიდა. დღეს ეს სფერო საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის საგანია. რეგიონში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით მიმდინარეობს დაზვერვის სამსახურის საქართველოს საგარეო უსაფრთხოების რეალობასთან მორგების პროცესი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს მის ინსტიტუციონალურ დახვეწას. კერძოდ, მიმდინარეობს დაზვერვის სამსახურის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/გაუმჯობესება და ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურით სამსახურის აღჭურვა, დაიწყო ახალი კადრების შერჩევა, რომლებიც სათანადო ცოდნას მიიღებენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ერთიან სადაზვერვო-სასწავლო ცენტრში, რომლის შექმნაშიც აქტიურად მონაწილეობენ უცხოელი პარტნიორები.

## 7. <u>საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები</u>

საანგარიშო პერიოდში წარმატებით მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით, როგორიცაა: ქვეყნის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია; ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება; მეზობელ და რეგიონის სახელმწიფოებთან ურთიერთობების განმტკიცება; რუსეთის ფედერაციასთან დაძაბული ურთიერთობების დეესკალაცია საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე; მეზობელ სახელმწიფოებსა და ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებთან გლობალური პარტნიორობის განვითარება. საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ასევე საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კონტაქტების განმტკიცება.

საქართველოს ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით. გრძელდება ძალისხმევა ქვეყნის დეოკუპაციის პროცესში საერთაშორისო ჩართულობის ამაღლების, წარმატებული არაღიარების პოლიტიკისა და საოკუპაციო ხაზებით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ურთიერთობების გაღრმავების კუთხით. საქართველოს მთავრობა განაგრძობს კონსტრუქციულ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულების მიზნით შეიქმნა, და ძალისხმევას არ იშურებს აღნიშნული ფორმატის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღსაკვეთად. გრძელდება ასევე მუშაობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სრულად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წელს საგარეო უწყების ინტენსიური მუშაობის შედეგად, 7 ახალი ხმით 69-მდე გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს რეზოლუციის მხარდამჭერთა რაოდენობა და 3-ით 13-მდე შემცირდა რეზოლუციის მოწინააღმდეგეთა რიცხვი. წარმატებით ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკა. საანგარიშო პერიოდში 182-მდე გაიზარდა იმ სახელმწიფოთა რაოდენობა, რომლებთანაც დიპლომატიური ურთიერთობები აქვს დამყარებული საქართველოს. ტუვალუ მეორე სახელმწიფოა ვანუატუს შემდგომ, რომელმაც უკან გაიწვია ადრე მიღებული გადაწყვეტილება და მკაფიოდ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. გაიხსნა ორი ახალი საელჩო მალაიზიასა და საუდის არაბეთში. გაიზარდა საქართველოს საელჩოებიდან დიპლომატიური გადაფარვის არეალი. ასევე წარმატებით გრძელდება ძალისხმევა, ოკუპირებული რეგიონების ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო წარმომადგენლების საზღვარგარეთ უკანონო კავშირების დამყარების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით.

კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტის - ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით. 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რომელიც რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის 18 ივლისს. ამ ეტაპზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ მიმდინარეობს შეთანხმების რატიფიცირების პროცესი - მათგან რამდენიმემ *(რუმინეთმა, ლიტვამ, ლატვიამ და ბულგარეთმა)* უკვე მოახდინა დოკუმენტის რატიფიკაცია. 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების დაახლოებით 80%-ის დროებითი გამოყენება. შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისათვის უკვე შეიქმნა შესაბამისი ინსტიტუციონალური მექანიზმები. 2014 წლის 26 ივნისს დამტკიცდა ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც მიზნად ისახავს ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის ხელშეწყობას. იგი მოიცავს ევროკავშირთან ერთობლივად შეთანხმებული პრიორიტეტების ნუსხას 2014-2016 წლებისთვის და წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა, რათა შეუქცევადი გახდეს ის რეფორმები, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაციის თვალსაზრისით.

საქართველო განაგრძობს აქტიურ მუშაობას ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით. პერმანენტულად იმართება ნატო-საქართველოს კომისიის სხდომები. განსაკუთრებულად დინამიკურია ურთიერთობები სამხედრო და თავდაცვით სფეროებში. საანგარიშო პერიოდში მთელი ძალისხმევა მიმართული იყო ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის უელსის სამიტზე სათანადოდ ასახვისაკენ.

საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში და მომავალშიც განაგრძობს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე არსებულ გამოწვევებთან, მათ შორის, საერთაშორისო ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან აქტიურ ბრძოლას, ასევე ენერგეტიკული უსაფრთხოების, შეიარაღებაზე კონტროლისა და გაუვრცელებლობის უზრუნველყოფის სფეროში საკუთარი წვლილის შეტანას. ქართული დანაყოფები მონაწილეობენ ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში. გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო არენაზე საქართველოსა და მისი პოტენციალის, მათ შორის, ქვეყნის რეფორმატორული გამოცდილების გარე სამყაროსათვის ობიექტურად და პოზიტიურად წარმოჩენის მიმართულებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან, ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობების თანახმად. გრძელდება ქარტიის საფუძველზე შექმნილი ოთხი სამუშაო ჯგუფის შეხვედრები და შემაჯამებელი პლენარული სხდომები (ე.წ. „ომნიბუს“ შეხვედრები). განსაკუთრებულად აქტიურია თანამშრომლობა აშშ-ის საკანონმდებლო ხელისუფლებასთან. სერიოზული ძალისხმევაა მიმართული შეერთებულ შტატებთან სავაჭრო და საინვესტიციო სფეროში მაღალი დონის დიალოგის გაღრმავებისაკენ, ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადების ინიციირების

ჩათვლით, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ითვალისწინებს მეზობელ სახელმწიფოებთან - აზერბაიჯანთან, თურქეთსა და სომხეთთან - ისევე, როგორც შავი და კასპიის ზღვების რეგიონისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. გრძელდება ძალისხმევა, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს თანამშრომლობა რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისათვის, რაც რეგიონს ეკონომიკურად უფრო მიმზიდველს გახდის და გაზრდის მის უსაფრთხოებას.

მნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პატივისცემის საფუძველზე რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზაცია, რისი საწინდარიც უნდა გახდეს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაცია და ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმება. გრძელდება არაფორმალური პირდაპირი დიალოგი საქართველოსა და რუსეთის სპეციალურ წარმომადგენლებს შორის. საქართველოს პრაგმატული მიდგომის შედეგად შესაძლებელი გახდა გარკვეული პოზიტიური დინამიკის მიღწევა რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში. თუმცა რუსეთი კვლავ აგრძელებს უკანონო საქმიანობას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეც კი, საოკუპაციო ხაზის მიღმა მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების განთავსების გზით.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, რომელსაც ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მათ შორის, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების - ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, საქართველოს დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობის, მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საანგარიშო პერიოდში დინამიკური ხასიათი ჰქონდა მაღალი და უმაღლესი დონის ორმხრივ ვიზიტებს როგორც თბილისში, ისე ევროპული ქვეყნების დედაქალაქებში.

დიდი ყურადღება ეთმობა ასევე ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, არაბული სამყაროს, აფრიკის, აზიისა და ოკეანეთის რეგიონებთან ურთიერთსასარგებლო ორმხრივი თუ მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარებას გლობალური პარტნიორობის კონტექსტში.

საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათ ფარგლებში არსებულ ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობა, მათ შორის, ქვეყნის შიგნით მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების წარმატების უზრუნველყოფის, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციათა როლის გაზრდის, ომით გაყოფილ საქართველოს მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა

და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების შექმნის მიმართულებებით.

საგარეო უწყება, საქართველოს შესაბამის უწყებებთან ერთად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას და აქტიურად თანამშრომლობს წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ სახელმწიფოებთან, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების, კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობის მიზნით. მნიშვნელოვანი მიმართულებაა ასევე ქვეყნის მდგრადი განვითარება და ეკონომიკური უსაფრთხოება. განსაკუთრებული ძალისხმევაა მიმართული ეკონომიკური დიპლომატიის გააქტიურებაზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების, მათ შორის, უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვისა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კონტაქტების განმტკიცება. დიდი ყურადღება ეთმობა საკონსულო საქმიანობის შემდგომ დახვეწას, ვინაიდან 1 სექტემბრიდან მხოლოდ საკონსულო სამსახურები არიან უფლებამოსილი საქართველოს ვიზის გაცემაზე. ამ პროცესს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა.

## 8. საქართველო-ნატოს ურთიერთოები და ქვეყნის ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

საქართველო განაგრძობს აქტიურ მუშაობას ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით. პერმანენტულად იმართება ნატო-საქართველოს კომისიის სხდომები. განსაკუთრებულად დინამიკურია ურთიერთობები სამხედრო და თავდაცვით სფეროებში. დიდი ძალისხმევა მიმართული იყო ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის უელსის სამიტზე სათანადოდ ასახვისაკენ. მთავრობა აგრძელებს წლიური ეროვნული პროგრამისა (ANP) და ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) გამოყენებას გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხების დროულად მოსაგვარებლად.

### საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობა

2013 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გამართულ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 2013 წლის საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის ნატოს მიერ მომზადებული შეფასების დოკუმენტი. განისაზღვრა 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის პრიორიტეტები და დიდ ბრიტანეთში ნატოს სამიტზე საქართველოსათვის სასურველი შედეგების მიღწევის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოები. 2014 წლის 10 მარტს აღნიშნული კომისიის სხდომაზე დამტკიცდა 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამა.

### ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობა

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომები გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის, ელჩების, ელჩების მოადგილეების, პოლიტიკისა და პარტნიორობის კომიტეტის დონეზე, სამხედრო კომიტეტის შეხვედრა - შტაბის უფროსების დონეზე და სხვ. კომისიის სხდომები იმართებოდა დემოკრატიის, თავდაცვის, უსაფრთხოების, ენერგეტიკისა და სხვა საკითხებზე.

### საქართველოს 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავება და იმპლემენტაცია

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის ფარგლებში შემუშავდა 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის პროექტი, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნების ექსპერტებთან და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად დეტალურად იქნა განხილული. 2014 წლის 14 მარტს ქართულმა მხარემ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე ოფიციალურად წარადგინა 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამა. აღსანიშნავია, რომ ნატომ საქართველოს მიერ შესრულებული 2013 წლის წლიური ეროვნული პროგრამა შეაფასა როგორც საუკეთესო. ამჟამად მიმდინარეობს 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის შემუშვება, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში წარედგინება ნატოს.

## ნატოს შემფასებელი დელეგაციის ვიზიტი

2014 წლის 30 აპრილს ორგანიზებულ იქნა ნატოს შემფასებელი დელეგაციის ვიზიტი. დელეგაცია ეწვია თბილისს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და რეფორმების იმპლემენტაციის პროცესის გასაცნობად. აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა შემფასებელი დელეგაციის ნატოს ასპირანტ ქვეყნებში ვიზიტების ფარგლებში, რომლის მიზანი იყო ნატოს დიდი ბრიტანეთის სამიტის წინ ნატოს ასპირანტი ქვეყნების შეფასება. მისიამ მაღალი შეფასება მისცა საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს და აღებული ვალდებულებების შესრულებას.

## ნატოს მაღალი დონის დელეგაციების ვიზიტები

11-12 თებერვალს საქართველოში განხორციელდა ვიზიტი გენერალ კნუდ ბარტელსის ხელმძღვანელობით. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სამხედრო კომიტეტის სხდომა 28+1 ფორმატში, სადაც განხილულ იქნა საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის ტრანსფორმაციის, ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში საქართველოს წვლილისა და ნატო-საქართველოს სამომავლო სამხედრო თანამშრომლობის საკითხები. სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ ორმხრივი შეხვედრები გამართა საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, თავდაცვის მინისტრთან და გენერალური შტაბის უფროსთან.

2014 წელს საქართველოში შედგა უსაფრთხოების ახალი გამოწვევების საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის სორინ დუკარუს და სახალხო დიპლომატიის საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩის ვიზიტები.

ნატოს სამხედრო უმაღლესმა პირებმა განსაკუთრებით დადებითად შეაფასეს თავდაცვის რეფორმები და ხაზი გაუსვევს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

## მონაწილეობა ნატოს მისიებში და სამხედრო თანამშრომლობა ნატოსთან

საქართველო 2014 წლის ბოლომდე აგრძელებს უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების (ISAF) ოპერაციაში მონაწილეობას და გეგმავს 2014 წლის შემდგომ გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში მონაწილეობას (Resolute Support).

დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP) ფარგლებში განისაზღვრა ნატოსთან 2015-2016 წლების თანამშრომლობის ახალი სფეროები (დაემატა ორი ახალი პარტნიორობის მიზანი: სამხედრო პოლიციისა და სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების განვითარება).

ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა (MC+GEO Work Plan) და განხორციელების გეგმა (IP) - ივნისში „დუმილის პროცედურით“ დამტკიცდა ნატოს სამხედრო კომიტეტის + საქართველოს 2015/16 წლის სამუშაო გეგმა. მიმდინარეობს 2014

წლის განხორციელების გეგმის შესრულება, რომლის შეფასებაც განხორციელდება 2015 წლის პირველ კვარტალში. ნატოს გონივრული თავდაცვის ინიციატივა (NATO Smart Defence Initiative) - საქართველო მონაწილეობას იღებს ხუთ საერთაშორისო პროექტში: მრავალეროვნული სამხედრო-საჰაერო მფრინავების საწვრთნელი ცენტრის პროექტი (თურქეთის ხელმძღვანელობით); მრავალეროვნული საზღვაო ცენტრის პროექტი (თურქეთის ხელმძღვანელობით); ქალი ლიდერები უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში (ბულგარეთის ხელმძღვანელობით); ინდივიდუალური სწავლებისა და განათლების პროგრამის ჩამოყალიბება (გაერთიანებული ტრანსფორმაციის სარდლობის ხელმძღვანელობით); ინფრასტრუქტურის სამხედრო-საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება (რუმინეთის ხელმძღვანელობით).

ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP) ნდობის ფონდის (Trust Fund) პროექტი - მარტში ხელი მოეწერა ნატოს ნდობის ფონდის (NATO/PfP Trust Fund) ფარგლებში საქართველოსა და ნატოს უზრუნველყოფის ორგანიზაციას (NSPO) შორის პროექტ „საქართველოს IV“-ის საიმპლემენტაციო შეთანხმებას. დაწყებულია პროექტის განხორციელება, რომლის ოფიციალური გახსნა დაგეგმილია მ.წ. ოქტომბერში.

ნატოს შეკავშირებული ძალების ინიციატივა (Connected Forces Initiative) / ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები (NATO Response Force) - 2015 წლიდან საქართველოს ერთი ქვეითი ასეული ჩაერთვება ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში. 2014 წლის ზაფხულში აღნიშნულმა ასეულმა წარმატებით გაიარა ნატოს შეფასება და ამ ეტაპზე გადის სერტიფიცირების პროცესს.

**ნატოს უელსის სამიტი**

უელსის სამიტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართული მხარისთვის, ვინაიდან მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად მოხდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების კუთხით, კერძოდ - დემოკრატიის განვითარების, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და თავდაცვის ინსტიტუტების რეფორმების კუთხით ,,მნიშვნელოვანი პროგრესისა" და ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატების აღიარება. ალიანსის შეფასებით ნატოსა და საქართველოს უკვე აქვთ ურთიერთქმედების საჭირო მექანიზმები, რომლებიც ქვეყანას მიიყვანს საბოლოო მიზანთან - ალიანსის წევრობასთან.

ნატომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის ,,არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ შემუშავების შესახებ, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს მომზადება გაწევრიანებისთვის და ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება. ალიანსმა ასევე მიიღო გადაწყვეტილება ,,პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივაში“ და ,,გაძლიერებული შესაძლებლობების ჯგუფში“ საქართველოს მიწვევის შესახებ.

სამიტის დასკვნით კომუნიკეში მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს მხარდაჭერა ღია კარის პოლიტიკისა და კონკრეტულად, ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილების მიმართ, რომ ,,საქართველო გახდება ალიანსის წევრი“; მათ ასევე გამოხატეს მადლიერება ნატოს ოპერაციებში და კონკრეტულად ISAF-ში ქვეყნის მიერ შეტანილი ძალიან ღირებული წვლილისათვის.

უელსის სამიტის ფარგლებში წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ასპირანტი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან 28+4 ფორმატში გამართული შეხვედრით ალიანსმა ხაზი გაუსვა ღია კარის პოლიტიკის აქტუალურობას.

ნატომ მტკიცე და ურყევი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის მიმართ. სამიტის დეკლარაციაში ალიანსის წევრმა სახელმწიფოებმა მოუწოდეს რუსეთის ფედერაციას, რომ გაიყვანოს "შეიარაღებული ძალები საქართველოდან" და აიღოს ძალის არგამოყენების ვალდებულება. მათ ასევე დააფიქსირეს შეშფოთება სხვა ასპექტებთან ერთად რუსეთის მიერ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობით და საქართველოს მიმართ მისი ქმედებებით, რაც საფრთხეს უქმნის ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას და გავლენას ახდენს შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობაზე.

**ნატოს პროგრამის - „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ (SPS) კონფერენცია**

2014 წლის 2 ივლისს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით თბილისში ნატოს პროგრამის - „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ კონფერენცია გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც SPS პროგრამის სპეციალისტები და ექსპერტები ნატოს შტაბბინიდან, ისე საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ქართველი მეცნიერები და ექსპერტები.

**ნატოს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების (Building Integrity) პროგრამა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული საბოლოო ანგარიში (Peer Review Document) ოფიციალურად გადაეცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. ანგარიშს საფუძვლად დაედო 2013 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარი (Self-Assessment Questionnaire) და იმავე წელს, 9-12 დეკემბრის ვიზიტის დროს ნატოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდივიდუალური ინტერვიუებისგან მიღებული ინფორმაცია.

ანგარიშში ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც სამინისტრომ უკვე გადადგა გამჭვირვალობის გაზრდისა და კორუფციის რისკების შემცირების მიზნით, ასევე გამოყოფილია ის პრობლემური საკითხები, რომლებიც დამატებით საჭიროებს მუშაობას. ნატოს ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მზად არის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში არსებული საუკეთესო პრაქტიკა გაუზიაროს პარტნიორ ქვეყნებს, ნატოს და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალის (South-Eastern Europe Defence Ministerial, SEDM) ფორმატების მეშვეობით.

## საზოგადოების ინფორმირება ნატოსა და საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხებზე

2014 წლის დასაწყისში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა და საინფორმაციო ცენტრმა ერთობლივად შეიმუშავეს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საზოგადოების ინფორმირების 2014 წლის სამოქმედო გეგმა. 2014 წლის აპრილში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებითა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით საქართველოში ნატოს კვირეული გაიმართა. ნატოს კვირეულის ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია - „გზა ნატოსკენ: ინტეგრაციისა და გაწევრიანების გამოცდილების გაზიარება“. რეგულარულად იმართება სხვადასხვა ღონისძიება როგორც ალიანსისა და მასში მიმდინარე პროცესებს, ისე საქართველოს ნატოში ინტეგრაციის დინამიკის შესახებ.

## ევროინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა

## საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს, ასევე შეთანხმდა ასოცირების დღის წესრიგი. შემუშავდა ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა 2014 წლისათვის და დაიწყო მისი განხორციელება. ასოცირების შეთანხმება პრაქტიკულად ქვეყნის მოდერნიზაციის სამოქმედო გეგმაა, რომელიც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების მთელ სპექტრს მოიცავს.

## ევროინტეგრაციის კოორდინაციის მექანიზმის გაძლიერება

ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების მიზნით ძლიერდება შესაბამისი სამთავრობო უწყებების შესაძლებლობები. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი სტრუქტურულად გაფართოვდა. სახელმწიფო უწყებებში ყალიბდება ევროინტეგრაციაზე მომუშავე სტრუქტურული ერთეულები და მიმდინარეობს თანამშრომელთა ტრენინგები ევროინტეგრაციის თემატიკაზე.

## „ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლებისთვის საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ განხორციელების კოორდინაცია

წარმატებით მიმდინარეობს „ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლებისთვის საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება. სტრატეგია ევროინტეგრაციის თემატიკაზე საქართველოს მოსახლეობის სათანადო ინფორმირებასა და ევროინტეგრაციის თემატიკის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ამ მიმართულებით ჩატარდა არაერთი საინფორმაციო კამპანია და აქტივობა.

ამასთან, მიმდინარე წლის 10-11 ივლისს ბათუმში ჩატარდა მე-11 საერთაშორისო კონფერენცია - ,,საქართველოს ევროპული გზა". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და პარტნიორი ქვეყნების მაღალი რანგის ოფიციალურმა პირებმა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებმა. კონფერენციამ დადებითი გამოხმაურება პოვა როგორც ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლებს, ისე სხვა უცხოელ პარტნიორებს შორის.

**საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიგრაციისა და სავიზო საკითხებზე**

წარმატებით მიმდინარეობს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული სამოქმედო გეგმის პირველი - საკანონმდებლო ფაზა პრაქტიკულად შესრულებულია და დაწყებულია მეორე - იმპლემენტაციის ფაზით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებების გატარება. შესაბამისი რეფორმების ეფექტიანი განხორციელება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საფუძველია. გრძელდება თანამშრომლობა „პარტნიორობა მობილურობისათვის" ინიციატივის ფარგლებში. ,,პარტნიორობა მობილურობისათვის" ფარგლებში განხორციელებული პროექტების დიდი ნაწილი ხელს უწყობს სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციას.

**საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში**

საქართველო აქტიურადაა ჩართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფორმატის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებში. ინიციატივის მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ფუნქციონირებს ოთხი თემატური პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პარტნიორ ქვეყნებთან ძირითად მიმართულებებზე თანამშრომლობის აუცილებელ ფორუმს.

**ევროკავშირის დახმარება**

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საქართველო აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე დახმარების ინსტრუმენტებისა და პროგრამების განხორციელებაში. ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ამა წლის 18 ივლისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა „სტრატეგიული დახმარების ჩარჩო-პროგრამა" ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსთვის 410 მილიონ ევრომდე დახმარებას 2014 – 2017 წლებში. ამასთან, საქართველო ჩართულია ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე ეროვნულ, რეგიონალურ და თემატურ პროგრამებში, რაც ხელს უწობს როგორც საქართველოს სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციონალურ გაძლიერებას, ისე რეგიონალური თანამშრომლობის განვითარებას ენერგეტიკის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, ტურიზმის, განათლების, კულტურისა და სხვა პრიორიტეტულ სფეროებში.

## 9. <u>კონფლიქტები და სამოქალაქო ინტეგრაცია</u>

### კონფლიქტების მოგვარება

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მთავრობა, სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით, აგრძელებდა პრაგმატული, მოქნილი და კონსტრუქციული პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ჩართულობის პოლიტიკის გაძლიერებას, რათა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები შერიგებისა და კონფლიქტის სრულფასოვანი მოგვარებისთვის.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის მიღების შემდეგ საქართველოს მთავრობამ კიდევ უფრო გააქტიურა კონფლიქტის მშვიდობიანი და გრძელვადიანი მოგვარების, ნდობის აღდგენისა და შერიგების ხელშეწყობის პოლიტიკა და დაიწყო გზების მოძიება, რათა ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგისგან, პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისგან მომდინარე სარგებელისა და შესაძლებლობების თანაზიარი გახადოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა.

შერიგებისა და ნდობის აღდგენის მიმართულებით ხელისშემწყობი პირობების შესაქმნელად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2014 წლის იანვრიდან რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახალი სახელწოდებით ფუნქციონირებს - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

საქართველოს მთავრობა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს აქტიურად აწვდიდა ჯანდაცვის მომსახურებას, მუშაობდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის სტუდენტებისთვის გაუმჯობესებული საგანმანათლებლო მექანიზმების შექმნისთვის საქართველოში ან/და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ეფექტიანად ფუნქციონირებს სახელმწიფო რეფერალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირების უფასო, ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურებით უზრუნველყოფას. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც კვეთენ გამყოფ ხაზს, შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულფასოვანი, მათ საჭიროებაზე გათვლილი სამედიცინო მომსახურება საქართველოში არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში. მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა მუშაობას სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის უშუალოდ ოკუპირებულ რეგიონებში.

საქართველოს მთავრობა სამეკავშირეო მექანიზმის ეგიდით განაგრძობდა აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო მედიკამენტების მიწოდებას. 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის

საჭიროებებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ჯამურმა ოდენობამ 1 382 137 ლარი შეადგინა. სამეკავშირეო მექანიზმის შუამდგომლობით განხორციელდა ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული ნდობის აღდგენის პროექტები, რომელთა ფარგლებშიც ჩატარდა შეხვედრები და ერთობლივი სასწავლო ვიზიტები ევროპაში.

სპეციალური ზომები გატარდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირებისათვის განათლების მისაღებად დანარჩენ საქართველოში ან/და საზღვარგარეთ. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა კვლავაც ახორციელებდა „4+1“ პროგრამას, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათ შორის, ეთნიკურ აფხაზებს, გამარტივებული პროცედურებით ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამას გარდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ 2014 წლის მაისში შექმნილი საერთაშორისო განათლების ცენტრის ფარგლებში, ქვეყნის მოსახლეობისთვის, რომელთა შორისაც არიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, შეთავაზებულ იქნა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ ასევე დაიწყო აქტიური მუშაობა დიპლომის აღიარებისთვის არსებული პროცედურების გასამარტივებლად, რომელიც შეამცირებს ტექნიკურ დაბრკოლებებს და გზას გაუხსნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს სწავლის გასაგრძელებლად დანარჩენ საქართველოში ან/და საზღვარგარეთ. ეს გულისხმობს აღნიშნულ პირებზე საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ფარგლებში არსებული შესაძლებლობების გავრცელებას განათლების სფეროში.

საქართველოს მთავრობა განაგრძობდა სტატუს-ნეიტრალურ დოკუმენტებზე წვდომის უზრუნველყოფას ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისათვის. საანგარიშო პერიოდში სტატუს-ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი აღიარებულ იქნა ევროკავშირის კიდევ ერთი წევრი სახელმწიფოს - უნგრეთის მიერ.

ნდობის აღდგენის პროექტებისა და სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერის მიზნით, ევროსაბჭოსთან ერთად და სამოკავშირეო მექანიზმის ჩართულობით, 2014 წლის მაისში თურქეთის ქალაქ სტამბოლში შეიკრიბნენ მონაწილეები თბილისიდან და სოხუმიდან და გამართეს შეხვედრა კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, რომელიც 2013 წლის დეკემბერში ვენეციაში განხორციელებული წინა პროექტის გაგრძელება იყო. პროექტი ითვალისწინებს პროფესიულ დისკუსიებს, ექსპერტთა ტრენინგს, სასწავლო ვიზიტებს, საარქივო მასალების განახლებას და აფხაზეთის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შესახებ ცოდნის ამაღლებას. გარდა ამისა, 2014 წელს დაიწყო ისეთი პროექტების განხორციელება, როგორიცაა აფხაზეთის რეგიონის მასწავლებელთა ტრენინგი, ქართველი და აფხაზი მასწავლებლების ვიზიტი ავსტრიის ქალაქ გრაცში, სასწავლო მეთოდოლოგიის შესახებ სემინარის ფარგლებში, და ასევე ევროპელი სპეციალისტების მიერ აფხაზეთის რეგიონში ლექციების ჩატარება ევროკავშირის თემატიკაზე.

საქართველოს მთავრობამ განაგრძო მუშაობა დონორთა მხრიდან დახმარების მოძიებაზე, რათა ჩამოაყალიბოს „შერიგების ფონდი“ - დაფინანსების მექანიზმი, რომელიც მიზნად

ისახავს გრასრუტების დონეზე ნდობის აღდგენის ინიციატივებისა და პროექტების ზრდას და ფინანსურ მხარდაჭერას. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა უკვე გამართა შესაბამისი კონსულტაციები პარტნიორებთან აღნიშნული ფონდის დაარსების მიზნით.

ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, განახორციელა ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით აღდგა წყალმომარაგება ზონკარის წყალსაცავიდან. ძალაში რჩება ახალგორის რაიონისთვის გაზის მიწოდების წინადადება. ასევე საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს ენგურის ხიდის აღდგენას, დასრულდა მუშაობა სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის სრულად ასამოქმედებლად.

2014 წელს მთავრობამ განახორციელა ეთნიკურ უმცირესობებზე, მათ შორის აფხაზებსა და ოსებზე, მიმართული რამდენიმე ღონისძიება: 1. ერთ–ერთ წამყვან არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიბერალურ აკადემია-თბილისთან“ ერთად მოამზადა და ეთერში გაუშვა ვიდეოკლიპი ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე უმცირესობათა ოთხ ენაზე (აფხაზურად, სომხურად, აზერბაიჯანულად და ოსურად); 2. ჩაატარა თემების კონკურსი ევროინტეგრაციის საკითხზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს შორის, რომლებიც „4+1“ სქემით არიან ჩარიცხული ქართულ უნივერსიტეტებში; 3. დახმარება გაუწია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე ბროშურებისთვის მასალების თარგმნაში უმცირესობათა ენებზე (მათ შორის აფხაზურ და ოსურ ენებზე).

საქართველოს მთავრობამ მიმართა ძალისხმევა გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში საოკუპაციო რეჟიმის მიერ მავთულხლართებისა და სხვა ფიზიკური ბარიერების მონტაჟის შედეგების შემსუბუქებისკენ. საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 4 ოქტომბერს შექმნილი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია ასრულებდა მნიშვნელოვანი მექანიზმის როლს საჭიროებათა შეფასებისთვის და იმ პარტნიორებსა და დონორებთან კომუნიკაციისთვის, რომლებიც ცდილობენ განახორციელონ პროექტები ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ამ მიმართულებით დამყარდა კავშირი ევროკავშირთან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR), გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID), იაპონიის საელჩოსთან, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან, ისევე როგორც სხვა ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან და დონორებისაგან მოიზიდა დახმარება დაზარალებულ სოფლებში რამდენიმე აქტუალური პრობლემის მოსაგვარებლად.

კომისიამ მიაღწია რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს, მათ შორის: გამყოფი ხაზის გასწვრივ, 50 სოფლის 11,440-მა ოჯახმა ზამთარში გათბობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღო დახმარება 200 ლარის ოდენობით (სულ 2,288000 ლარი); მოხდა 433 ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტის 2013-2014 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფარვა;

შეკეთდა რამდენიმე სკოლა; ოთხ სოფელში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილები; შეკეთდა სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის ტირიფონის მაგისტრალური არხი; მიმდინარეობს სამუშაოები სოფლებისთვის გაზის მისაწოდებლად; 19 სოფელში დაიწყო ამბულატორიების მოწყობა.

შემუშავდა „კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგია“ და სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა დაამტკიცოს დროებითმა სამთავრობო კომისიამ. სტრატეგია მოიცავს სოციალური პირობების გაუმჯობესებისა და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის გზებსა და საშუალებებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს და განსაზღვრავს გაყოფილ თემებს შორის ნდობის აღდგენისათვის სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროებს.

2014 წლის 26 მარტს და 17 ივნისს ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა 27-ე და 28-ე რაუნდები. 28-ე რაუნდზე დევნილთა დაბრუნების საკითხის განხილვისას საქართველოს დელეგაციამ წინ წამოწია ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებთათვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები - ადამიანის უფლებების დაცვა, ჰუმანიტარული ვითარება (მაგ., გადაადგილების თავისუფლება, განათლება და ჯანდაცვა). ეს ეხება „ტრადიციულად“ ისეთ მოწყვლად ჯგუფებს, როგორიცაა მოსახლეობა გალის, ოჩამჩირისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე სხვა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა გაზისა და წყლის მიწოდება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, დაკავებულთა მდგომარეობა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოამზადა ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესების დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო პირველი მოსმენით. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის მიღების შემდეგ აღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანა განისაზღვრა საქართველოს ერთ–ერთ ვალდებულებად.

## 10. <u>დიასპორაზე ზრუნვა</u>

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს, მათ ჩართულობას ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში. 2014 წლის 27-29 მაისს წარმატებით ჩატარდა დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილოება მიიღო 70-ზე მეტმა უცხოეთში მცხოვრება ჩვენმა თანამემამულემ. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი გაწევრიანდა საერთაშორისო  დიასპორის ჩართულობის ალიანსში (IDEA)  და აქტიურად მიმდინარეობს საერთო ღონისძიებების დაგეგმვა.

მთავრობა აგრძელებს ზრუნვას უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებში, განსაკუთრებით კი, სასკოლო ასაკის ბავშვებში ქართული ენის ცოდნის და ქართული ცნობიერების ამაღლებაზე. უცხოეთში მოქმედი ქართული ეთნოკულტურული კომპონენტის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის გრძელდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგანმანათლებლო სტანდარტების გათვალისწინებით სასწავლო პროგრამების შექმნა და პედაგოგთა გადამზადება:

- მომზადდა ქართული ენის სასწავლო პროგრამა თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის;
- გრძელდება მუშაობა საბერძნეთის რესპუბლიკის საჯარო სკოლებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პროგრამაზე;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონების ქართულენოვან სკოლებში ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი; გამარჯვებული 10 მოსწავლე დაჯილდოვდა;
- „ქართველ სტუდენტთა მსოფლიო გაერთიანებასთან“ ერთად განხორციელდა დიასპორული სტაჟირების პროექტის მეორე ეტაპი. 40-მდე სტუდენტმა ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ერთთვიანი პრაქტიკა გაიარა სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანიზაციაში.

მთავრობა აგრძელებს უცხოეთში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლების, ანსამბლების, სპორტული გუნდების და უცხოეთში არსებული სხვა ტიპის დიასპორული ორგანიზაციების მხარდაჭერასა და დახმარებას:

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 400 000 ლარი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, დიასპორული ორგანიზაციების, ქართული საკვირაო სკოლების, შემოქმედებითი კოლექტივებისა და სპორტული გუნდების მხარდაჭერისათვის. აღნიშნული თანხა გამოყენებულ იქნა შემდეგ ღონისძიებებზე:

- საზღვარგარეთის 19 ქვეყანაში (38 ქალაქი) მოქმედი 44 ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის წევრებისათვის დამზადდა ქართული ცეკვის ეროვნული კოსტიუმები, აქსესუარები და დასაკრავი ინსტრუმენტები;
- საზღვარგარეთ მოქმედი 70 საკვირაო სკოლის მოსწავლეებისათვის დაიბეჭდა სახელმძღვენელოები, სასკოლო თვალსაჩინოებები, საბავშვო ლიტერატურა, მასწავლებელთათვის - მეთოდური დახმარების სახელმძღვანელოები;
- საზღვარგარეთ მოქმედ სპორტულ გუნდებს გაეგზავნა სპორტული აღჭურვილობა, ორგანიზება გაეწია სპორტულ შეჯიბრებებს;
- განხორციელდა საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ბავშვებისა და მოზარდების საქართველოში მოქმედ ბანაკებში დასვენების ორგანიზება. ამ ბანაკებში 100-ზე მეტმა უცხოეთში მცხოვრებმა თანამემამულემ დაისვენა.

მთავრობა აგრძელებს ზრუნვას უცხოეთში მდებარე ქართული ისტორიულ-კულტურული ობიექტების მოძიებისათვის, მოვლა-პატრონობისთვის, რესტავრაციისა და შესაძლებლობის შემთხვევაში – საქართველოსთვის გადმოცემისთვის:

- ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ბრიტანეთის ბიბლიოთეკასთან, რის საფუძველზეც განხორციელდა უძველესი ქართული ხელნაწერების ციფრულ ფორმატში გადატანა და საქართველოში ჩამოტანა;
- საფრანგეთში მდებარე ,,ლევილის შატოს'' მამულისა და ქონების საქართველოსთვის გადმოცემისა და მისი შემდგომი ფუნქციის განსაზღვრის მიზნით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ შეასრულა საქართველოს მხარისათვის დაკისრებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, ლევილის მამულში ქართულ–ფრანგული ისტორიული და კულტურული ცენტრის დასაარსებლად. რამდენადაც ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემამდე, ფრანგული კანონმდებლობით, სავალდებულოა ლევილის მამულში ჩატარდეს შესაბამისი ექსპერტიზა, ლევილის მამულის დიაგნოსტიკური კვლევის ჩატარებისა და წინასწარი არქიტექტურული პროექტის შედგენის ხარჯების დასაფინანსებლად, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო სათანადო თანხა.

მთავრობა განსაკუთრებულად უწყობს ხელს უცხოეთში ქართული დიასპორული ორგანიზაციების (პროფესიული, სამეცნიერო, კულტურული, ახალგაზრდული და სხვ.) დაფუძნებასა და მათ საქმიანობას. დიასპორული ორგანიზაციების სათანადო აღრიცხვის, მათთან ოპერატიული კომუნიკაციის და დიასპორული ღონისძიებების მასშტაბურად დაგეგმვა-განხორციელების მიზნით იქმნება დიასპორული ორგანიზაციების რეესტრი, სადაც თავს მოიყრის ინფორმაცია საზღვარგარეთ არსებული ქართული დიასპორული ორგანიზაციების, მათი დამფუძნებლებისა და ხელმძღვანელების, ორგანიზაციის მიზნებისა და განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

2014 წლის 1 აგვისტოს მონაცემებით, საზღვარგარეთ 228 ქართული დიასპორული ორგანიზაცია ფუნქციონირებს. მათ შორის:

- 77 ქართული საკვირაო სკოლა;
- 7 ქართული ენის შემსწავლელი კურსი;
- 16 საჯარო სკოლა;
- 13 საბავშვო ბაღი;
- 85 ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი / ჯგუფი;
- 13 სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაცია;
- 11 დიასპორული ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემა;
- 6 სპორტული კლუბი / გუნდი.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მთავრობა უზრუნველყოფს ემიგრანტებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას. ინტენსიურად მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ინფორმირების და ჩართულობის მიმართულებით; მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად განხორციელდა პროექტის - კვალიფიციური თანამემამულეების დროებითი დაბრუნების პროგრამა (TRQN III) საანგარიშო შეხვედრა; წარმატებით განხორციელდა პროგრამა - ,,ქართველი ემიგრანტების როლის გაძლიერება საქართველოში“: გაიმართა ERGEM პროექტის ფარგლებში ჩატარებული საინფორმაციო (საკონსულტაციო) შეხვედრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან საბერძნეთში, გერმანიასა და თურქეთში.

## 11. ფისკალური პოლიტიკა

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე დაიწყო მუშაობა საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და საბიუჯეტო პროცესის გამჭირვალობის ზრდის მიმართულებით.

2013-2014 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტი, ერთი მხრივ, დაიგეგმა სოციალური პროგრამების მაქსიმალური ზრდის კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, ისეთი პროექტების დაფინანსებით, რომელიც საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებასა და სტაბილურობას.

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ყველა კატეგორიის პენსიის მოცულობა:

- ასაკით პენსიონერების და I ჯგუფის ინვალიდების პენსია - 150 ლარამდე;
- სხვა დანარჩენი კატეგორიის პენსიონერების პენსია - 100 ლარამდე;
- განხორციელდა ძალოვანი უწყებებიდან 2005 წლამდე დათხოვნილი პირების პენსიები და მათი მოცულობა დაუკავშირდა ამ უწყებებში ნამსახურების წლებსა და მიღებულ წოდებებს.

გაორმაგდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება - ოჯახის პირველ წევრზე 30 ლარის ნაცვლად გახდა 60 ლარი, ხოლო ყოველ მომდევნო წევრზე 24-ს ნაცვლად - 48 ლარი.

გაიზარდა დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობები (45 ლარამდე).

სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა მთელი მოსახლეობისთვის, ამ მიზნით დაფინანსება გაიზარდა 300,0 მლნ ლარზე მეტით.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით 2014 წელს პირველად იქნა გათვალისწინებული თანხა (20,0 მლნ ლარამდე), რომლითაც დაიწყო პროექტი „აწარმოე საქართველოში“. პროექტის ფარგლებში შესაძლებელია დაბალპროცენტიანი სესხების აღება და ბიზნესის ეფექტიანად მართვისათვის შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების უფასოდ მიღება.

გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსება, რამაც შესაძლებელი გახადა რამდენჯერმე გაზრდილიყო როგორც დამუშავებული მიწის ფართობი, ისე მორწყული ფართობების რაოდენობა.

2013-2014 წლებში გაიზარდა ბიუჯეტების გამჭირვალობა. თითოეულ პროგრამაზე, ასევე „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებულ თანხებზე წარმოდგენილი იყო განმარტებები, თუ რა ღონისძიებების დასაფინანსებლად იყო ეს თანხები გათვალისწებული.

ახალმა მთავრობამ პირველად წარუდგინა პარლამენტს ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, სადაც დეტალურად იყო წარმოდგენილი ინფორმაცია სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების მოცულობებისა და მათი მიზნობრიობის შესახებ. ასევე დეტალურად იყო აღწერილი თითოეული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

კვლავ მიმდინარეობს მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დახვეწის მიმართულებით, რაც საბოლოოდ მოგვცემს საშუალებას ბიუჯეტი მთლიანად დაიგეგმოს წინასწარ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად და საბიუჯეტო პროცესი იყოს იმდენად გამჭირვალე, რომ საზოგადოებას მუდმივად შეეძლოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლი.

საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ასევე სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვის გაუმჯობესების, უკეთესი კონსოლიდირებისა და საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობის მიღწევის მიზნით შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც 2015 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აღსრულება და მასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია აღირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში, ნაცვლად კომერციული ბანკებისა. ასევე ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მოხდება ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის და სახელმწიფო ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ოპერაციების აღრიცხვა შემოსულობების ყველა წყაროდან. შესაბამისად იცვლება ამ ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტების დაგეგმის პროცესი და იგი მთლიანად ექცევა საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის (PFMS) ფარგლებში. გრძელდება მუშაობა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიმართულებით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებისათვის.

სახელმწიფო ვალთან მიმართებით საგულისხმოა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის კონსერვატიულ მართვას და მდგრადობას. საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა.

საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან - Standard & Poor's, Fitch და Moody's. ამჟამად საქართველოს Standard & Poor's და Fitch-ის შეფასებით ,,BB- სტაბილური" რეიტინგი აქვს მინიჭებული. 2014 წლის 22 აგვსტოს, Moody's Investors Service-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი Ba3 სტაბილურიდან პოზიტიურამდე გააუმჯობესა. 2013 წლის მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი მთლიანი სახელმწიფო ვალის 78,3% იყო, 2014 წლის 6 თვის მდგომარეობით კი იგი 75,4%-ს შეადგენს. ამ რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისაგან ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა პროექტის დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და

ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისაგან. სახელმწიფო ვალი აკმაყოფილებს ვალის მდგრადობის ძირითად ინდიკატორებს. საშუალო და გრძელვადიან პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ვალი ნაკლებად მგრძნობიარეა ინფლაციის, საპროცენტო და ვალუტების კურსის ცვლილების შოკების მიმართ და იგი ასევე ხასიათდება კლების ტენდენციით. 2013 წელს სახელმწიფო ვალმა ნომინალურ მშპ-თან მიმართებით შეადგინა 34.7%, 2014 წლის 6 თვის მდგომარეობით კი 32,9%-ია (საპროგნოზო მშპ-სთან მიმართებით); 2013 წლის ბოლოს მდგომარეობით საგარეო ვალმა ნომინალურ მშპ-თან მიმართებით შეადგინა 27.2%, 2014 წლის ექვსი თვის მაჩვენებელი კი 24,8%-ს შეადგენს.

სახელმწიფო საშინაო ვალის კუთხით, თანამიმდევრულად ხორციელდება სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. ამჟამად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს ერთი, ორი, ხუთი და ათი წლის დაფარვის ვადის მქონე სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიას. საპროცენტო განაკვეთები, მიუხედავად მცირე რხევებისა, ხასიათდება სტაბილურობით და კლებადი ტენდენციით, რაც ასახავს ინვესტორების ნდობას მთავრობის ფისკალური პოლიტიკისა და მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ. განხორციელდა დამატებითი ემისიები ეკონომიკის გრძელვადიანი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, რამაც საბანკო სექტორს დამატებით გაუჩინა რესურსი გრძელვადიანი დაკრედიტებისთვის 172.8 მილიონი ლარის მოცულობით.

მიმდინარეობს მუშაობა დონორებთან/პარტნიორებთან სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულების საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის გრანტებისა და გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების მოზიდვის კუთხით. 2014 წლის განმავლობაში საგზაო, ურბანული/მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, ენერგეტიკის და სხვა პრიორიტეტული პროექტების დაფინანსებისა და ასევე მთავრობის რეფორმების მხარდაჭერის მიზნით გაფორმდა 10 სასესხო და საგრანტო ხელშეკრულება დაახლოებით 320.2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსურ რესურსზე. საანგარიშო პერიოდში ხელმოწერილი ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია საფრანგეთის მთავრობასთან გაფორმებული შეთანხმება საქართველოში საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) დაფუძნებისა და საქმიანობის შესახებ, რომლის საფუძველზეც წლის ბოლომდე იგეგმება AFD ჯგუფის მიერ თბილისში წარმომადგენლობითი ოფისის დაარსება, რომელიც საქართველოს გარდა რეგიონის სხვა ქვეყნებსაც მოემსახურება. ასევე მნიშვნელოვანია სკანდინავიურ გარემოს საფინანსო კორპორაციასთან (NEFCO) გაფორმებული თანამშრომლობის ჩარჩო-შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმებების საფუძველზე საქართველოსათვის ხელმისაწვდომი იქნება დამატებითი ფინანსური რესურსი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში.

მიმდინარეობს მუშაობა ევროკავშირთან საქართველოსათვის დამტკიცებული მაკროფინანსური დახმარების (46 მილიონი ევროს ფინანსური რესურსი სესხისა და გრანტის სახით) ფარგლებში ფინანსური რესურსის მიღებისათვის საჭირო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით. სავარაუდოდ აღნიშნული ხელშეკრულებები ევროკავშირთან გაფორმდება წლის ბოლომდე და შესაძლებელი იქნება ამ რესურსის გამოყენება მთავრობის რეფორმების მხარდასაჭერად. მიმდინარეობს მუშაობა აზიის განვითარების ბანკთან მთავრობის რეფორმების მხარდაჭერისათვის 75 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსის მიღებისათვის საჭირო ხელშეკრულებების

გაფორმების მიზნით. მიმდინარეობს მუშაობა მსოფლიო ბანკთან და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან სოფლის მეურნეობის სფეროში დაახლოებით 70 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსის (სესხი და გრანტი) მოზიდვისათვის საჭირო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პროგრამის მხარდაჭერის მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოსათვის დაამტკიცა ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია 100 მლნ SDR-ის ოდენობის (დაახლოებით 154 მილიონი აშშ დოლარი) ტრანშების მიღება  როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე საგადამხდელო ბალანსის მხარდასაჭერად. 2014 წლის აპრილში აზიის განვითარების ბანკთან (ADB) ერთობლივად საქართველოში პირველად ჩატარდა  „სახელმწიფო ვალის მართვის რეგიონალური ფორუმი“. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ADB-ს წევრი ქვეყნების უმეტესობამ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა და კომპანიების წარმომადგენლებმა.

საგარეო დახმარების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შეიქმნა დონორების კოორდინაციის სამმართველო, რომლის მიზანია დონორთა დახმარების სახელმწიფო პრიორიტეტებთან თანხვედრის უზრუნველყოფა და დახმარების სფეროების მიხედვით მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის ინიციირება, საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებსა და მეგობარი ქვეყნების უფლებამოსილ სააგენტოებთან მჭიდრო კომუნიკაციის გზით.

ჩამოყალიბდა დონორების კოორდინაციის სტრატეგია, რომელიც მოიცავს კოორდინაციის სხვადასხვა მექანიზმს, ისეთს, როგორიცაა მაღალი დონის საკოორდინაციო ფორუმი, სექტორული საკოორდინაციო შეხვედრები და საგარეო დახმარების ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც საგარეო დახმარების ფართო ანალიზის საშუალებას იძლევა. დაიწყო სტრატეგიული დიალოგი საერთაშორისო დონორ პარტნიორებთან სამომავლო თანამშრომლობის პირობებისა და მექანიზმების შესახებ.

შედგა შეთანხმება დონორებთან და განვითარების პარტნიორებთან ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნის შესახებ. საგარეო დახმარების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მიმდინარეობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასა და სამინისტროებს შორის შიდა კოორდინაციის მექანიზმის გაუმჯობესებაზე მუშაობა, რომელიც მოიცავს ქმედითი მექანიზმების შემუშავებას ინფორმაციის შეგროვებისა და გაცვლის, გადაწყვეტილების სწრაფად მიღებისა და უფრო მჭიდრო კომუნიკაციის მიმართულებით.

აღსანიშნავია ქვეყნის ეკონომიკაში არსებული ტენდენციებიც. 2013 წლის პირველ ნახევარში, ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალი მაჩვენებლების შემდეგ, IV კვარტალიდან, პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეკონომიკური ზრდის ტენდენციები. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 6%-ს გადააჭარბა, რაც შესაბამისად აისახება საგადასახადო შემოსავლების დინამიკაზეც. მიმდინარე წლის 8 თვეში საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებულია 4 621,4 მლნ ლარი, რაც გასული წლის

მაჩვენებელს 367,2 მლნ ლარით აღემატება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დაბალშემოსავლიან 460 ათასზე მეტ პირზე დაუბეგრავი მინიმუმის სახით დაბრუნებულია 127 მლნ ლარზე მეტი.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერით დაწყებულია მუშაობა ფისკალური რისკების გამჟღავნებისა და მართვის საკითხებზე. დაიხვეწა მაკროეკონომიკური და ფისკალური ანალიზის და პროგნოზირების მეთოდოლოგიები, რაც გააუმჯობესებს მაკროფისკალურ დაგეგმვას სახელმწიფო ფინანსების მართვის პროცესში.

ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება, რა მიზნითაც განხორციელდა სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის 148 შიდა აუდიტორის გადამზადება, სისტემური, საინფორმაციო ტექნოლოგიების, შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტის პრაქტიკის დანერგვის, ასევე შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ რისკების შეფასების ხელშეწყობა.

შიდა აუდიტორთათვის დონორი ორგანიზაციების დახმარებით შემუშავდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები: „შიდა აუდიტის მეთოდოლოგია“, „სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

საზოგადოების ჩართულობის და მათთან მუდმივი დიალოგის უზრუნველსაყოფად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც დეტალურ ინფორმაციას იღებენ და მონაწილეობენ მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმების განხორციელების პროცესში. საგადასახადო დავების განხილვის საბჭოს მუშაობაში სრულუფლებიანი წევრის სტატუსით ჩაერთო არასამთავრობო სექტორის ორი წარმომადგენელი, რომლებიც ექვს თვეში ერთხელ როტაციის პრინციპით იცვლებიან.

ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა საზოგადოებრივი მისაღები, რომლის ფუნქციაა მოქალაქეებისთვის, გადამხდელებისათვის დახმარების გაწევა, ინფორმაციის მიწოდება და სამინისტროს ხელმძღვანელებთან შეხვედრების ორგანიზება.

მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიზნით, ფინანსთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან, ხორციელდება ერთობლივი სასწავლო და გადამზადების პროგრამები - გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი უმაღლეს სასწავლებლებთან.

## 12. ეკონომიკური პოლიტიკა

სამთავრობო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად, შემუშავდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020, რომელიც მიღებულ იქნა 2014 წლის 17 ივნისს. საქართველო 2020-ში განსაზღვრულია ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და შესაბამისი ღონისძიებები 2020 წლამდე.

სამთავრობო პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევისა და მასში განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები. გატარდა და გრძელდება შესაბამისი ღონიძიებებების განხორციელება, მათ შორის, მაკრეოეკონომიკური და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების, ინოვაციების მხარდაჭერის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის, საკუთრების უფლების დაცვის და სხვა მიმართულებით. აღნიშნული შეფასდა და სათანადო ასახვა პოვა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენებაში“ („The Global Competitiveness Report“) საქართველოსთვის მინიჭებულ გაუმჯობესებულ რეიტინგში. კერძოდ, აღნიშნული მოხსენების მიხედვით, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2014-2015 წელს საქართველოს პოზიცია 2011-2012 წლებთან შედარებით (88-ე ადგილი) 19 საფეხურით გაუმჯობესდა, ხოლო 2013-2014 წლებთან შედარებით (77-ე ადგილი) - 3 საფეხურით და 69-ე ადგილზე გადმოინაცვლა 144 ქვეყანას შორის. საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებულია ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ინსტიტუციური განვითარება, მაკროეკონომიკური გარემო, ბიზნესგარემო, სასამართლო ხელისუფლება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ისე ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის.

საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებულია რეიტინგის სამივე ფაქტორში, 7 კომპონენტში და 79 ქვეკომპონენტში.

- ძირითადი მოთხოვნების ფაქტორში საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა 9 საფეხურით;
- ეფექტიანობის გაძლიერების ფაქტორში საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა 7 საფეხურით;
- ინოვაციისა და განვითარების ფაქტორში ქვეყნის პოზიცია გაუმჯობესდა 4 საფეხურით.

გაუმჯობესებული კომპონენტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ინსტიტუციონალური განვითარება (16 საფეხურით), მაკროეკონომიკური გარემო (13 საფეხურით), ბაზრის ეფექტიანობა (7 საფეხურით), ბიზნესის განვითარება (7 საფეხურით), ინოვაციები (5 საფეხურით), საკუთრების უფლება (35 საფეხურით), მთავრობის პოლიტიკური კურსის გამჭვირვალეობა (9 საფეხურით), არაოფიციალური გადასახადები და ქრთამი (5 საფეხურით), ინვესტორების მხარდაჭერის გაძლიერება (3 საფეხურით), ინფრასტრუქტურის ხარისხი (4 საფეხურით), ადგილობრივი კონკურენცია

(18 საფეხურით), ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა (11 საფეხურით), დანახარჯები სოფლის მეურნეობაში (26 საფეხურით), სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა (4 საფეხურით), ბიზნესგარემოს გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (21 საფეხურით), საბაჟო პროცედურების სიმძიმე (5 საფეხურით), ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა (8 საფეხურით), ბანკების სტაბილურობა (15 საფეხურით) უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა (11 საფეხურით), ექსპორტის წილი მშპ-ში (21 საფეხურით), ინოვაციური შესაძლებლობები (8 საფეხურით).

საკუთრების უფლების, სასამართლოს დამოუკიდებლობის და მთავრობის პოლიტიკური კურსის გამჭვირვალობის ქვეკომპონენტების მიხედვით, საქართველოს პოზიციის გაუმჯობესება აღენიშნება 2013-2014 წლიდან. საკუთრების უფლების ქვეკომპონენტის მიხედვით 2014-2015 წელს საქართველომ 85-ე ადგილზე გადმოინაცვლა (გაუმჯობესდა 46 საფეხურით 2012 წელთან შედარებით), სასამართლოს დამოუკიდებლობის ქვეკომპონენტის მიხედვით საქართველომ 2014-2015 წელს გადმოინაცვლა 65-ე ადგილზე (გაუმჯობესდა 30 საფეხურით 2012-2013 წლებთან შედარებით), ხოლო მთავრობის პოლიტიკური კურსის გამჭვირვალობის ქვეკომპონენტის მიხედვით 2014-2015 წელს საქართველომ გადმოინაცვლა 24-ე ადგილზე (გაუმჯობესდა 12 საფეხურით 2012-2013 წლებთან შედარებით).

აღსანიშნავია, რომ საქართველომ "Doing Business 2014" წლის მსოფლიო ბანკის კვლევაში 189 ქვეყანას შორის მე-8 (2013 წელს იყო მე-9-ზე) ადგილი დაიკავა ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით. საქართველო პირველ ათეულშია ქონების რეგისტრაციის (პირველი პოზიცია), მშენებლობის ნებართვის (მე-2 პოზიცია), დაკრედიტების (მე-3 პოზიცია) და ბიზნესის დაწყების (მე-8 პოზიცია) მაჩვენებლების მიხედვით.

აღნიშნული კვლევის თანახმად, 2014 წელს საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა კიდევ 3 მაჩვენებელში, ესენია: გადასახადების გადახდა, ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა და ვალაუვალობის საქმის წარმოება. გამარტივდა გადასახადების გადახდა ელექტრონული გადახდის სისტემების და გადასახადის გადამხდელთათვის მეტი სერვისის მიწოდებით. მნიშვნელოვნად შემცირდა ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარჯები, გამარტივდა ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებული სადოკუმენტაციო მოთხოვნები გაფორმების ეკონომიკური ზონების შექმნით და ამოქმედებით. განისაზღვრა გადახდისუუნარობის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული შემცირებული დროითი ლიმიტები, აუქციონების ჩათვლით და შემცირდა პროცედურები.

ასევე საყურადღებოა, რომ 2014 წლის 22 აგვსტოს, Moody's Investors Service-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი Ba3 სტაბილურიდან პოზიტიურამდე გააუმჯობესა. პოზიტიურობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა დაყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ხელმოწერა (რომელიც, თავის მხრივ, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) და ასევე, გაუმჯობესებული ინსტიტუციონალური შესაძლებლობები და ეკონომიკური მმართველობა. Moody's-ის შეფასებით DCFTA ხელს შეუწყობს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და ექსპორტის ზრდას.

## მაკროეკონომიკური სტაბილურობა

2013 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ს) რეალურმა ზრდამ, 2012 წელთან შედარებით 3,2% შეადგინა და 26,824.9 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე (მიმდინარე ფასებში) 5,982.6 ლარი შეადგინა (ნაცვლად 5,818.1 ლარისა 2012 წელს). 2014 წლის პირველ კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მშპ-ს რეალურმა ზრდამ 7,1% შეადგინა. ამავე პერიოდში, მშპ-მ, მიმდინარე ფასებში 6,318.6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე - 1,407.1 ლარი (ნაცვლად 1,289.3 ლარისა, 2013 წლის იმავე პერიოდში). ამასთან, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2014 წლის ივლისში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპმა შეადგინა 7,2%, ხოლო 2014 წლის პირველი შვიდი თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ - 6,2 %.

2014 წლის პირველ კვარტალში, მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა: ვაჭრობა (17,2%), შემდგომ პოზიციებს იკავებს მრეწველობა (17,1%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (11,2%), სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (9,4%); სახელმწიფო მმართველობა (8,9%) და ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (6,1%).

2014 წლის პირველ კვარტალში, 2013 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: დამამუშავებელი მრეწველობა (16,7%), მშენებლობა (14,0%), ვაჭრობა (11,1%), ოპერაციები უძრავი ქონებით (10,1%), ტრანსპორტი (9,2%), სასტუმროები და რესტორნები (6,7%), საფინანსო საქმიანობა (5,9%).

ინფლაციამ 2014 წლის ივლისის მდგომარეობით -1,8% შეადგინა (თორმეტი თვის საშუალო წინა თორმეტი თვის საშუალოსთან), ხოლო ივლისში წლიურმა ინფლაციის დონემ -2,8% (წინა წლის შესაბამისი თვე=100) შეადგინა.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

აღსანიშნავია, რომ საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის განვითარების და ეკონომიკური ზრდისათვის, ისე თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისათვის. შესაბამისად:

- 2014 წლის პირველ კვარტალში (წინასწარი მონაცემები), პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 260 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3,0%-ით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა მშპ-ში 7,2% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი - 34% საფინანსო სექტორზე მოდის. შემდეგ არის - დამამუშავებელი მრეწველობა (17,7%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (16,9%),

სამთომოპოვებითი მრეწველობა (5,8%), უძრავი ქონება (4,9%), მშენებლობა (2,2%), ენერგეტიკა (1,9%) და სასტუმროები და რესტორნები (0,7%).

- 2013 წლის დაზუსტებული მონაცემებით პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 942 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3,3%-ით აღემატება 2012 წლის დაზუსტებულ მონაცემებს, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა მშპ-ში 5,8% შეადგინა. 2013 წელს განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი - 26% ენერგეტიკის სექტორზე მოდის, შემდეგ არის საფინანსო სექტორი (17,7%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (14,9%), დამამუშავებელი მრეწველობა (10,6%), მშენებლობა (5,3%) და სამთომოპოვებითი მრეწველობა (4,6%).

## საგარეო ვაჭრობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

2013 წელს:

- საქართველოს ექსპორტი გაიზარდა 22,4%-ით და 2 908 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ხოლო იმპორტი შემცირდა 0,2%-ით და 7 885 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5%-ით გაიზარდა და 10 793 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2013 წელს 10%-ით შემცირდა და 4 977 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 134 ქვეყნით განისაზღვრა. აქედან, დადებითი სავაჭრო ბალანსი 40 ქვეყანასთან დაფიქსირდა;
- საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან 72%-ით გაიზარდა, 608 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 21% შეადგინა, ხოლო იმპორტმა 2 270 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 29% დაიკავა. საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 878 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 27% დაიკავა;
- დსთ-ის წევრ ქვეყნებთან საქართველოს ექსპორტი 30%-ით გაიზარდა, 1 621 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 56% დაიკავა, ხოლო იმპორტმა 2 178 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 6%-ით გაიზარდა და მთლიანი იმპორტის 28% დაიკავა. საგარეო სავაჭრო ბრუნვა 15%-ით გაიზარდა, 3 799 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 35% დაიკავა;
- საქართველოს სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 51%–ით გაიზარდა და 774 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტმა 107 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 80%-ით გაიზარდა. ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტმა 128 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 97%-ით გაიზარდა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტმა 48 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 21%-ით გაიზარდა. სიმინდის ექსპორტმა 13 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 64%-ით გაიზარდა. მზესუმზირის ზეთის ექსპორტმა 5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 164%-ით გაიზარდა;

– რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 50%-ით და შეადგინა 779 მლნ აშშ დოლარი. ექსპორტი გაიზარდა 3,2-ჯერ (316%-ით), 191 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს ექსპორტის 6,6% დაიკავა, ხოლო იმპორტი გაიზარდა 24%-ით, 588 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს იმპორტის 7,5% დაიკავა. საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ნაწილობრივი აღდგენის შედეგად 51%-იანი ზრდა დაფიქსირდა ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (774 მლნ აშშ დოლარი);

2014 წლის იანვარ-ივლისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით:

– საქართველოს ექსპორტი გაიზარდა 13%-ით და 1 665 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ხოლო იმპორტი გაიზარდა 15%-ით და 4 815 მლნ აშშ დოლარით. საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14%-ით გაიზარდა და 6 480 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წლის იანვარ-ივლისში 3 150 მლნ აშშ დოლარი შეადგინა;

– ამასთან, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 135 ქვეყნით განისაზღვრა. აქედან, დადებითი სავაჭრო ბალანსი 38 ქვეყანასთან დაფიქსირდა;

– საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან 32%-ით გაიზარდა, 339 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 20% შეადგინა, ხოლო იმპორტი 9%-ით გაიზარდა 1 344 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 28% დაიკავა. საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 13%-ით გაიზარდა, 1 683 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26% დაიკავა;

– დსთ-ის წევრ ქვეყნებთან საქართველოს ექსპორტი 7%-ით გაიზარდა, 884 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 53% დაიკავა, ხოლო იმპორტმა 1 137 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა. საგარეო სავაჭრო ბრუნვა 7%-ით გაიზარდა, 2 021 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 31% დაიკავა;

– საქართველოს სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 26%–ით გაიზარდა და 392 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტმა 87 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 59%-ით გაიზარდა. ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტმა 99 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 114%–ით გაიზარდა. სანელებლების ექსპორტმა 5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 23%-ით გაიზარდა, ხილისა და ბოსტნეულის წვენების ექსპორტმა 6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 44%-ით გაიზარდა;

– რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 25%-ით და შეადგინა 432 მლნ აშშ დოლარი. ექსპორტი გაიზარდა 1,5-ჯერ (153%-ით), 161 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს ექსპორტის 9,7% დაიკავა, ხოლო იმპორტი შემცირდა 4%-ით, 271 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს იმპორტის 5,6% დაიკავა. აღნიშნულ პერიოდში, 26%-ით გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი და შეადგინა 392 მლნ აშშ დოლარი;

- 2013 წლის განმავლობაში გაიმართა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიების სხდომები ავსტრიასთან, პოლონეთთან, უნგრეთთან, უკრაინასა და ყაზახეთთან. 2014 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში კი ორმხრივი კომისიები ჩატარდა ჩეხეთთან, პოლონეთთან, ინდოეთთან, ისრაელთან; აგრეთვე 2014 წლის ივლისში გაიმართა კონსულტაციები რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე, კერძოდ, განხილულ იქნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესაძლო გავლენა ორმხრივ ურთიერთობებზე;
- 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). DCFTA ძალაში შევიდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან. შეთანხმების სრულფასოვანი რეალიზაციისათვის, აუცილებელია როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციონალური რეფორმების განხორციელება. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა აგრძელებს ქმედითი ღონისძიებების გატარებას ევროკავშირთან შეთანხმებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მიხედვით, მათ შორის, ისეთ სფეროებში როგორიცაა: ხარისხის ინფრასტრუქტურა, სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა და საბაჟო ადმინისტრირება;
- 2014 წელს, DCFTA-ის წარმატებით განხორციელების მიზნით შემუშავდა 2014-1017 წლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ამ მიმართულებით განსახორციელებელი რეფორმები და ღონისძიებები;
- მიმდინარეობს მოლაპარაკებები აშშ–თან სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე. მიმდინარე წლის ოქტომბერში დაგეგმილია ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მორიგი სხდომა;
- ინვესტორისადმი მოპყრობის სამართლებრივი რეჟიმის დახვეწისა და ინვესტორისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ინტერესების დაბალანსების მიზნით, მომზადდა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების სამოდელო პროექტი, რომელიც მოლაპარაკების პროცესში გამოყენებულ იქნება როგორც ხელშეკრულების სახელმძღვანელო მოდელი. ამ მოდელზე დაყრდნობით, 2014 წლის 3 ივნისს ხელი მოეწერა ,,საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმებას; შემუშავებულია კანონპროექტები „ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიებების შემოღების შესახებ“ და „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შესახებ“, რომლებიც უახლოეს მომავალში განსახილველად გადაეცემა საქართველოს მთავრობას.

## ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურა

### აკრედიტაცია, სტანდარტები, ტექნიკური რეგლამენტები, მეტროლოგია და ბაზარზე ზედამხედველობა (სამრეწველო სფეროში)

აკრედიტაციის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროების განვითარების და მათი საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით, განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. აღნიშნული სფეროების განვითარება წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, ასევე, იგი მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის, საქართველოში წარმოებული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ზრდის, საერთაშორისო და ევროპულ ბაზარზე ინტეგრაციის, მეწარმეობისა და ექსპორტის ხელშეწყობისათვის.

გრძელდება მუშაობა ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სფეროში, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოების კუთხით. ამ ეტაპზე ტექნიკური რეგულირების სფეროში მიღებულ იქნა ე.წ. ახალი მიდგომის ხუთი ტექნიკური რეგლამენტი.

მიმდინარეობს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიური ლაბორატორიების განახლება, აღჭურვა და პერსონალის მომზადება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. ამ ეტაპზე სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის სამმა ლაბორატორიამ (მასა, ელექტრობა და ტემპერატურა) წარმატებით გაიარა საერთაშორისო შეფასება და მიიღო საერთაშორისო აღიარება, რაც მნიშვნელოვანია აღნიშნულ სფეროში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ გაცემული დაკალიბრების და გაზომვების სერტიფიკატების საერთაშორისო აღიარებისთვის.

მიმდინარეობს სამუშაოები საერთაშორისო სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიების მომზადებისა და მიღებისათვის. გრძელდება საქართველოს აკრედიტაციის სისტემის დაახლოება საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან, ამ მიზნით შემუშავდა და შესაბამისი ნორმატიული აქტით დამტკიცდა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის პრინციპებზე აგებული აკრედიტაციის წესები და პროცედურები (სულ 12 პროცედურა). შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრმა ფუნქციონირება დაიწყო საერთაშორისო ISO სტანდარტების თანახმად.

განხორციელდა და გრძელდება რეფორმა/ღონისძიებები ინდუსტრიულ სფეროში ბაზრის ზედამხედველობის სისტემის საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით. მიმდინარეობს მუშაობა ინდუსტრიულ სფეროში ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიის იმპლემენტაციის გეგმის შემუშავებაზე.

## საინვესტიციო პოლიტიკა

დიდი ყურადღება ექცევა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისათვის.

2013 წლის იანვრიდან, კლიენტთა მართვის (CRM) პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ინვესტორთა ბაზა, რომლის მეშვეობითაც ხდება საქართველოში არსებული და პოტენციური ინვესტორების შესახებ საერთო ინფორმაციის წვდომა და ანალიზი, რაც ხელს უწყობს რეინვესტირების მაჩვენებლის გაზრდას.

რეინვესტირების კუთხით, 2014 წლის განმვალობაში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა რამდენიმე მსხვილ პროექტზე.

2014 წლის ოქტომბერში დაგეგმილია „საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი“, რომელსაც დაესწრება 300-მდე მაღალი რანგის სამთავრობო და ბიზნესის წარმომადგენელი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპორტის ხელშეწყობის ინიციატივის ფარგლებში, ქართულ ექსპორტიორ კომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ თავიანთი პროდუქტები წარედგინათ საკვებისა და სასმელი პროდუქტების გამოფენაზე ევროპასა და აზიაში: Deajeon International Food and Wine, კორეა; ბიოფახი, გერმანია; Foodex Japan; Gulfood 2014, დუბაი. 2014 წლის ბოლომდე ქართული კომპანიები დამატებით 3 გამოფენაში მიიღებენ მონაწილეობას (საფრანგეთი, ლატვია, ჩინეთი).

2014 წლის მეორე ნახევარში შეიქმნა ექსპორტიორთა ინტერესთა დაცვის ცხელი ხაზი, რომლის ფარგლებშიც 100-მდე ქართულ კომპანიას გაეწია საკონსულტაციო მომსახურება სხვადასხვა ბაზარზე შესასვლელად საჭირო პროცედურებისა და დოკუმენტაციის შესახებ.

მიმდინარეობს ყაზახეთში საქართველოს საელჩოსთან მოლაპარაკებები “Dufry Central Asia”-ს ყაზახეთის თავისუფალ სავაჭრო ზონაში ქართული ალკოჰოლური სასმელების განთავსებაზე.

## მეწარმეობის განვითარება

მეწარმეობის განვითარების, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და მცირე და საშუალო, ასევე დამწყები ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შეიქმნა „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“;

2014 წლის ივნისიდან მეწარმეობის განვითარების სააგენტო უკვე ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას - „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, ამასთანავე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა. პროგრამის ფარგლებში ხდება ფინანსურ რესურსებზე

ხელმისაწვდომობის გამარტივება, უძრავი ქონებით უზრუნველყოფა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ინდუსტრიული მიმართულებით, კომერციული ბანკების მიერ სესხები გაიცა ფარმაცევტული, ქიმიური და სამშენებლო მასალების სფეროში ბიზნესის დაწყების მსურველ მეწარმეებზე. სესხების საერთო მოცულობამ შეადგინა 6 მლნ აშშ დოლარი. 27 პროექტი განხილვის სტადიაშია.

პროგრამის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის კომპონენტში ქონება გადაეცა 8 ბენეფიციარს.

მიმდინარეობს მუშაობა მიკროგრანტების მიმართულებით რეგიონებში, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონებში მიკრო- და მცირე ბიზნესის განვითარებას. შემუშავებულია პროგრამის დეტალები, გამოქვეყნდა მოწვევა წინადადებების წარმოდგენაზე პროექტის რეგიონალური განმახორციელებელი კომპანიის შერჩევის მიზნით (RFP).

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ღია კარის დღეები ჩატარდა თბილისში, გორში, რუსთავში, ახალციხეში, თელავში, დუშეთში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთსა და ბათუმში, სადაც დაახლოებით 1 500 მეწარმესთან და დაინტერესებულ პირთან მოხდა შეხვედრა. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ცხელი ხაზის საშუალებით 700-მა ადამიანმა დააფიქსირა ინტერესი და მიიღო პირველადი კონსულტაცია მიმდინარე პროგრამასთან დაკავშირებით.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (GIZ) თანამშრომლობით შემუშავდა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სტრატეგია. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სააგენტოს გადაეცა მენეჯმენტის პროგრამის (EIDOS) ლიცენზია.

ლატვიაში “Rigafood 2014” გამოფენაში ქართული კომპანიების ჩართვის მიზნით მიმდინარეობს აქტიური ორგანიზების პროცესი.

მიმდინარე წლის 23-26 ოქტომბერს საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს დახმარებით ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები საკუთარ პროდუქციას წარადგენენ ჩინეთში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟული, სამთავრობო დონის საერთაშორისო გამოფენაზე „The 15th Western China International fair”, რომელიც სიჩუანის პროვინციაში, ქ. ჩენგდუში გაიმართება.

**კონკურენციის განვითარების რეფორმა**

კონკურენტული ბაზრის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. ამ მიმართულებით ქვეყნის განვითარების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაიწყო კონკურენციის განვითარების რეფორმა, რაც მიზნად ისახავს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

სამინისტროებთან, სხვადასხვა დაინტერესებულ უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად შემუშავდა და მიღებულია საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შესახებ“, რომლის უმთავრესი მიზნებია: თავისუფალი კონკურენციისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესება, დამოუკიდებელი სტრუქტურის – კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბება, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დროული და სათანადო რეაგირების უზრუნველყოფა.

აღნიშნული რეფორმის განხორციელება დადებით გავლენას იქონიებს ქვეყნაში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებასა და თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფაზე. ამ ეტაპზე, უკვე შექმნილია დამოუკიდებელი სტრუქტურა – კონკურენციის სააგენტო, მიღებულია მთელი რიგი ქვენორმატიული აქტები და გრძელდება მუშაობა სააგენტოს ინსტიტუციონალური გაძლიერების კუთხით.

## საპენსიო რეფორმა

2014 წლის განმავლობაში, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით და მხარდაჭერით განხორციელდა საპენსიო სისტემის დეტალური ანალიზი, მათ შორის, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში რისკების შეფასება. ასევე, გაანალიზდა კერძო დაგროვებითი სისტემის სხვადასხვა ვარიანტი და კონცეფციის დონეზე შემუშავდა საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალური კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელი.

დაწყებულია საპენსიო სისტემის რეფორმის ფარგლებში დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიების განხილვა და დაგეგმვა.

## ტურიზმი

2013 წელს ქვეყანაში შემოსულ საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ 5 392 303 შეადგინა, რაც 22%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (4 428 221). აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ანგარიშის - „UNWTO World Tourism Barometer“ (დეკემბერი, 2013) თანახმად, საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების ზრდის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ევროპაში.

2014 წლის 8 თვის ჯამური სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ 3 685 834 შეადგინა, რაც 3%-ით აღემატება გასული წლის

ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ამასთან, 2014 წელს ზაფხულის პერიოდში საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ 1 895 060 შეადგინა, რაც 1%-ით აღემატება გასული წლის ზაფხულის სეზონის მაჩვენებელს (1 880 515).

აღსანიშნავია ზრდის ტენდენცია ევროკავშირის ქვეყნებიდან, კერძოდ, 8 თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა ლიტვიდან (90%), პოლონეთიდან (40%), ლატვიიდან (17%). ასევე განსაკუთრებით იმატა ვიზიტორთა რაოდენობამ ბელარუსიდან (50%) და ყაზახეთიდან (40%).

შიდა და საერთაშორისო ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში. უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს საგადასახდელო ბალანსზე.

2013-2014 წლებში საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები ზრდადი ტენდენციით გამოირჩეოდა. 2013 წლის განმავლობაში შემოსავლებმა ტურიზმიდან 1,72 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ხოლო, მისმა წილმა მშპ-ში 6.5% შეადგინა.

2014 წლის პირველ კვარტალში, ტურიზმიდან შემოსავლების ოდენობამ 315,3 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც 4%-ით აღემატება 2013 წლის პირველი კვარტალის მონაცემს. 2014 წლის პირველი კვარტალში ტურიზმის წილმა მშპ-ში 6% შეადგინა.

2013 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენციის ინდექსის თანახმად, საქართველოს ტურისტული კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე 2011 წელთან შედარებით (73-ე პოზიცია) 7 პოზიციით გაუმჯობესდა და 140 ქვეყანას შორის 66-ე ადგილი დაიკავა (ქულა: 4.10). გარდა ამისა, „Rough Guides" თანახმად, საქართველო მე-5 ადგილს იკავებს ათ საუკეთესო მოსანახულებლად რეკომენდებულ ქვეყნებს შორის და ტურისტულად ისეთი განვითარებული ქვეყნების შემდეგ გვხვდება, როგორიცაა ბრაზილია და თურქეთი.

წარმატებები იქნა მიღწეული საერთაშორისო ურთიერთობების კუთხითაც. 2013 წელს საქართველო გახდა ICCA-ს (International Conference and Congress Association) წევრი. ასევე, 2014 წელს საქართველო აირჩიეს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) სტატისტიკისა და სატელიტური ანგარიშების კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად.

2014 წლის 7-8 ივლისს, Routes Silk Road-ის ფორუმთან თანამშრომლობითა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით საქართველომ უმასპინძლა აბრეშუმის გზის საკითხებზე UNWTO-ს სამუშაო ჯგუფის მე-4 შეხვედრას. ღონისძიების ფარგლებში განისაზღვრა 2014/2015 წლებში და შემდგომ პერიოდში აბრეშუმის გზის საკითხებზე UNWTO-ს პროგრამის სტრატეგია. დელეგატებს შორის მოხდა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

2014 წლის 30 აგვისტოს გუდაურის განვითარების სააგენტოსა და კომპანია DEMACLENKO-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება გუდაურსა და დიდველზე ხელოვნური გათოვლიანების სისტემის პროექტის განხორციელების შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, კურორტებზე

განხორციელდება  გეოლოგიური, გეოდეზიური და ტოპოგრაფიული სამუშაოები, წყლის ხელოვნური რეზერვუარების დაპროექტება და გუდაურსა და დიდველზე პირველი სასრიალო გზების გათოვლიანება. პროექტის განვითარების მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია გუდაურსა და დიდველზე წყლის ხელოვნური რეზერვუარის მშენებლობა და სასრიალო გზების გათოვლიანება. აღნიშნული პროექტის განხორციელებით სეზონის გახსნა აღარ იქნება დამოკიდებული ამინდზე, რაც სასრიალო სეზონის, დამსვენებელთა რიცხვის და კურორტის შემოსავლიანობის გაზრდას გამოიწვევს.

## სამშენებლო პოლიტიკა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის და ადგილობრივ სპეციალისტების ჯგუფებთან თანამშრომლობით მუშავდება ,,სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე სივრცით დაგეგმარებასა და სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება ერთიანი პრინციპებისა და დებულებების საფუძველზე. კოდექსი  დაარეგულირებს სივრცით დაგეგმარებასთან, სამშენებლო საქმიანობასა და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. აღნიშნულ კოდექსზე მუშაობა დასრულების სტადიაშია.

ამასთან, 2013 წელს დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი - ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების  ნორმალები’’, რომლის ძირითადი მიზანია თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. 2014 წლის იანვრიდან განახლდა ახალი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტის - ,,შენობა-ნაგებობის კოდების“ პროექტის შემუშავება. დოკუმენტში აისახება მინიმალური მოთხოვნები საზოგადოების ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და საერთო კეთილდღეობის მისაღწევად, რასაც უზრუნველყოფს ნაგებობის სიმტკიცე, გასასვლელი საშუალებები,  სანიტარიული პირობები, სათანადო განათება და განიავება, შენობაში ხანძრისა და სხვა საფრთხეებისგან სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა.

2013 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე  განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე გაიცა 63 ნებართვა, მათ შორის, ქვეყნისათვის ისეთ მნიშვნელოვან ობიექტებზე, როგორიცაა: საბაგირო გზები თეთნულდის მთაზე, მაღალი წნევის ახალი მაგისტრალური გაზსადენი, ორი საკომპრესორო სადგური და  მასთან დაკავშირებული ობიექტები, საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მონაკვეთები, ნავთობგადამმუშავებელი (ბითუმის დასამზადებელი) საწარმო, ჰიდროელექტროსადგურების კომპლექსი და ა. შ.,  რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში 1,5 მლრდ ლარის ინვესტიციის განხორციელებას და სანებართვო მოსაკრებლის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა 800,000 ლარი.

## სატრანსპორტო პოლიტიკა

გათვალისწინებულია ,,საქართველოს ეროვნული ტრანსპორტის პოლიტიკის დოკუმენტის და მისი სამოქმედო გეგმის“ პროექტის შემუშავება. 2014 წელს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და აზიის განვითარების ბანკს შორის. პროექტი ითვალისწინებს ტრანსპორტის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტის და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას და მისი განხორციელების ხელშეწყობას.

## საზღვაო ტრანსპორტი

### ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა და განვითარება

2014 წლის აგვისტოში ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის და განვითარების მიზნით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა. საქართველოს მთავრობა შეარჩევს ინვესტორს, რომელიც მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) ხელშეკრულების საფუძველზე განავითარებს ანაკლიის ნავსადგურს. პროექტი მოიცავს შვიდ ფაზას. ბოლო ფაზის დასრულების შემდეგ ნავსადგურის წლიური გამტარუნარიანობა მიაღწევს 100 მლნ ტონას. ნავსადგურის მშენებლობა ხელს შეუწყობს შავი ზღვის ნავსადგურებს შორის კონკურენტული გარემოს ფორმირებას და საქართველოს მიმართულებით დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვას.

### მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების სისტემების გაუმჯობესება

საქართველომ გააუმჯობესა მეზღვაურთა სწავლებისა და სერტიფიცირების სისტემა სასწავლო პროგრამების განახლებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებების მუდმივი მონიტორინგის გზით. 2013 წელს ევროპის საზღვაო უსაფრთხოების (EMSA) სააგენტოს მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგების გათვალისწინებით, ევროკომისიამ აღიარა ქართველ მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები. ევროკავშირის აღიარება ქართველ მეზღვაურებს აძლევს უფლებას დასაქმდნენ ევროკავშირის დროშის ქვეშ მცურავ გემებზე. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ევროკავშირმა დარგში არსებული პრობლემების გამო გააუქმა ქართველ მეზღვაურთა სერტიფიკატების აღიარება, რამაც ასობით ქართველ მეზღვაურს შეუქმნა პრობლემა ევროპულ გემებზე დასაქმების თვალსაზრისით.

### საქართველოს საზღვაო დროშა

2013 წლის დეკემბერიდან დღემდე საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა 4 ტანკერი. ამჟამინდელი მდგომარეობით, საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 9 გემია რეგისტრირებული. 2014 წელს საქართველოს საზღვაო დროშა ‘Paris MoU’-ის მონაცემებით სახელმწიფო ნავსადგურის კონტროლის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად შავი სიის საშუალო რისკის კატეგორიიდან გადავიდა ნაცრისფერ სიაში.

## სახმელეთო ტრანსპორტი

### ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის პროექტი

ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, 2014 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია სატესტო მატარებლის გავლა. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2015 წლისათვის.

რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია და მშენებლობა მიმდინარეობს წელიწადში 5 მლნ ტონა ტვირთბრუნვაზე და მილიონი მგზავრის გადაყვანაზე დამუშავებული პროექტის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია არსებულ სარკინიგზო ხაზზე ყველა დარგის ობიექტების სრული რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

### რუსეთის ფედერაციასთან საავტომობილო მიმოსვლის განვითარება

რუსეთის ფედერაციასთან საავტომობილო მიმოსვლის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვნად გაადვილდა საქართველოს მოქალაქეობის მქონე მძღოლებისათვის რუსეთის ვიზების მიღება. ქართული მხარის მიერ წინასწარ მიწოდებული სიებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე მძღოლები შეღავათიანი პირობებით (რიგგარეშე და შემცირებული მომსახურების საფასურით) იღებენ თავიანთი პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო რუსეთის გრძელვადიან ვიზებს.

### სამოქალაქო ავიაცია

საქართველოს მთავრობა სამოქალაქო ავიაციის დარგში ატარებს ლიბერალურ პოლიტიკურ კურსს და ხელს უწყობს „ღია ცის“ პოლიტიკას. მთავრობა უზრუნველყოფს „ევროგაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს და საქართველოს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების იმპლემენტაციას, რაც უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სფეროში ფრენის უსაფრთხოების, საავიაციო უშიშროების, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სხვა მიმართულებების ევროპულ დონეზე განვითარებას. უწყებათაშორისო საბჭო წლის ბოლომდე შეიმუშავებს და წარმოადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც კოორდინაციას გაუწევს „ევროგაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს და საქართველოს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, ევრორეგულაციების და დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესს.

საქართველოს საავიაციო სივრცის ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის კუთხით, 2014 წლის პირველი იანვრიდან განხორციელდა საქართველოს სრული ტექნიკური ინტეგრაცია ევროკონტროლში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სანავიგაციო სისტემების ინტეგრაციას ევროპის საჰაერო ნავიგაციის სისტემებში, ფრენების უსაფრთხოების ამაღლებას საქართველოს ტერიტორიაზე, სამოქალაქო ავიაციის სპეციალისტთა მუდმივ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

## კავშირგაბმულობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინოვაციები

საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და ინოვაციების მხარდაჭერა, სახელმწიფოს ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2014 წელს შეიქმნა  და ფუნქციონირება დაიწყო სსიპ "საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ“, რომლის საქმიანობის შედეგად მიღწეული იქნება: ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, ინტელექტუალური პროდუქტების, ინოვაციების და ტექნოლოგიების საექსპორტო პროდუქციად ქცევა, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების საქართველოს მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა და აღნიშნული ინსტრუმენტებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოსაყალიბებლად ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის და მისგან გამომდინარე სტრატეგიის და მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სხვა ღონისძიებების განხორციელება და სხვ.

## საქართველოში პირველი მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი (ტექნოლოგიური პარკი)

საქართველოში პირველად ხორციელდება მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის (ტექნოლოგიური პარკის) მშენებლობა, რომელიც შექმნის ერთიან სისტემას ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისათვის და ხელს შეუწყობს ინოვაციური იდეების განვითარებას. შეიქმნება ტექნოლოგიური პარკი, თანამდევი მაღალტექნოლოგიური და სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიებით და პროტოტიპების შექმნის შესაძლებლობით.

## სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები

აღნიშნული აქტივობა შესაძლებლობას იძლევა საქართველოს მასშტაბით უზრუნველყოფილ იქნეს მოქალაქეთა დაინტერესების ზრდა და ინოვაციურ და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასთან დაშვება, რაც გაზრდის მათ ჩართულობას ტექნოლოგიური განვითარების პროცესში, ასევე გაზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას. ყველა ლაბორატორია იქნება გათვლილი როგორც სტუდენტებზე, ისე ყველა იმ ადამიანზე, რომლებსაც სურთ საკუთარი იდეის კონკრეტულ ფიზიკურ პროტოტიპად გადაქცევა და საკუთარი პროდუქტის წარმოების დაწყება.

მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა „ინოვაციური საქართველო 2020“ სტრატეგიის და მისი განხორციელების ღონისძიებათა პროექტების შესამუშავებლად.

მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე მობილური LTE ტექნოლოგიების გამოყენებით ქვეყანაში ელექტრონული კომუნიკაციების დაჩქარებული ტემპებით შემდგომი განვითარება, საქართველოს რეგიონების ფართოზოლოვანი ინტერნეტით და ელექტრონული კომუნიკაციების

თანამედროვე  საშუალებებით უზრუნველყოფა, აღმოფხვრას  თბილისსა და ქვეყნის რეგიონებს შორის ჯერ კიდევ არსებული ციფრული უთანასწორობა, უზრუნველყოს ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის პროცესების დაჩქარება.

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) და ევროკავშირის შესაბამისი გადაწყვეტილებებით ევროპის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში 2015 წლის 17 ივნისამდე უნდა განხორციელდეს ანალოგურიდან ციფრულ მიწისზედა საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლა, რისთვისაც 2014 წელს შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო სსიპ ,,ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ", რომელის საქმიანობის შედეგად 2014-2015 წლებში განხორციელდება ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის სამუშაოთა კომპლექსი, მათ შორის: საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალის გავრცელების უზრუნველყოფის მიზნით  შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ მიერ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მიწისზედა სახელმწიფო  სატელევიზიო  ქსელის მშენებლობის პროექტის დაწყება, რომელიც 2015 წელის 17 მარტამდე უნდა დასრულდეს;  დადგენილი კატეგორიის სოციალურად დაუცველი ოჯახების  ციფრული მაუწყებლობის ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობებით უზრუნველყოფა; ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საინფორმაციო მხარდაჭერის კამპანიის წარმართვა და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნული მტკიცე გარანტიებს ქმნის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება და ქვეყანაში 2015 წლის 17 ივნისამდე დასრულდეს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა.

გაწეული  მუშაობის შედეგად  ბოლო პერიოდში საქართველომ საერთაშორისო ICT რეიტინგებში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები. მაგალითად, 2014 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალურ ანგარიშში მოყვანილ ქსელური მზადყოფნის ინდექსში (NRI) 148  ქვეყნიდან საქართველომ რეიტინგულ ცხრილში 60-ე ადგილი დაიკავა და 2012 წელთან შედარებით 28 ადგილით წაიწია წინ, ICT განვითარების ინდექსში 71-ადგილზეა, ხოლო ინოვაციების საერთაშორისო რეიტინგში საქართველო 74–ე ადგილზეა.

შემუშავებულია საქართველოს კანონის პროექტი „ფოსტის შესახებ“ და მისი თანმდევი კანონპროექტები.

**სახელმწიფო ქონების პოლიტიკა**

სახელმწიფო ქონების საკითხებთან დაკავშირებით, 2013-2014 წლების განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

– შემუშავდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონპროექტი, რომელიც  ემსახურება: სოციალური პროექტების ფარგლებში სახელმწიფო ქონების გასხვისების პროცესის გამარტივებას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სხვადასხვა არამატერიალური აქტივების ჩართვას სამოქალაქო ბრუნვაში, იძულებთ გადაადგილებულ პირთა გათავისუფლებას წარსულში წარმოშობილი ყველა ვალდებულებისაგან, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული

მიზნით), სახელმწიფო ქონებით არამართლზომიერი სარგებლობისათვის, დაკისრებული/დასაკისრებელი საზღაურის გადახდისგან გათავისუფლებას;

- 2013 წლიდან დღემდე სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო საკუთრებად დაარეგისტრირა 5420 ერთეული ქონება. ინვენტარიზაციის პროგრამის ფარგლებში თბილისის 27 უბნიდან აღწერილია 11 და აღმოჩენილია სახელმწიფო საკუთრებად დასარეგისტრირებელი 4,963,964 კვ.მ. ფართობის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ინვენტარიზაციის პროცესი საქართველოს დანარჩენ რეგიონებში უახლოეს მომავალში შევა აქტიურ ფაზაში. 2013 წლიდან დღემდე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადაცემული ქონება შეადგენს 1266 ობიექტს, ხოლო სახელმწიფო უწყებებზე/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გადაცემული უძრავი ქონება შეადგეს 246 ერთეულს;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან კოორდინაციით გრძელდება ფიზიკურ პირთათვის, დევნილობის სტატუსიდან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების პროცესი. 2013 წლიდან დღემდე (2014 წლის პირველი ნახევარი) 3 368 ოჯახს პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა სახელმწიფო ქონება, რაც ხელს შეუწყობს სოციალური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების საქმეში სახელმწიფოს როლის გამოკვეთას;
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტში მონაწილეობს მთავრობის ინიციატივით შემუშავებულ პროგრამაში „აწარმოე საქართველოში.“ ამისათვის საქართველოს მასშტაბით შეირჩა საწარმოო საქმიანობისათვის განკუთვნილი 110 ობიექტი. მოცემული მომენტისათვის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყო 6 სახელმწიფო ობიექტის გადაცემა;
- განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, სააგენტოში დაიგეგმა პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“. პროექტი ხელს შეუწყობს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციას რეგიონებში და შესაბამისად ლოკალურ დონეზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების ეფექტიან განკარგვას. პროექტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, ადგილობრივი ფერმერები, მიწათმოქმედები და მეწარმეები;
- 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში პრივატიზებიდან გეგმით გათვალისწინებულია 80 მლნ ლარის მობილიზება. 2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, მეორე კვარტალის ბოლოს (6 თვეში) სახელმწიფო ბიუჯეტში ფაქტობრივად შესულია 51,138.00 ათასი ლარი - წლიური გეგმა შესრულდა 64%, ხოლო ორი კვარტალის გეგმა - 142%-ით, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებით და გამოცხადებული აუქციონების რაოდენობის ზრდით - 2014 წლის პირველ და მეორე კვარტალაში გამოცხადებული აუქციონების ჯამურმა რაოდენობამ (399 აუქციონი) გადააჭარბა 2013 წელს გამოცხადებული აუქციონების სრულ რაოდენობას (316 აუქციონი).

## 13. <u>სოფლის მეურნეობა</u>

სოფლის მეურნეობა საქართველოს ახალი მთავრობის რეალური პრიორიტეტი გახდა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დარგის განვითარება სისტემურად დაიწყო. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულოს. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, განხორციელებული და დაგეგმილი ყველა პროექტი დარგის მაქსიმალურად მცირე დროში განვითარებისკენაა მიმართული.

ყველა იმ პროექტით, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს, გლეხებისა და ფერმერებისთვის, მეწარმეებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადა ფინანსური რესურსი; ეტაპობრივად შეიქმნა ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ევროკავშირის კანონმდებლობასთან მაქსიმალურად დააახლოებს სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობას; აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაზრდასა და უსაფრთხოებაზე; იგეგმება ღონისძიებები საექსპორტო ბაზრების გაზრდის მიმართულებით. მნიშვნელოვანია ქართული პროდუქტის ევროპის ბაზარზე გატანა. ყოველივე ზემოაღნიშნული შესაძლებლობას იძლევა სოფლის მეურნეობის დარგი მიმზიდველი გახდეს როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის.

სოფლის მეურნეობის განვითარება სისტემურად მიმდინარეობს. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სფეროში უპრეცედენტო და საჭირო პროექტები განახორციელა.

### <u>სოფლის მეურნეობაში განხორციელებული და მიმდინარე სამთავრობო პროექტები</u>

**მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი**

2013 წლის საგაზაფხულო სეზონიდან მცირემიწიანი ფერმერების ერთწლიანი კულტურების წარმოებაში ჩართულობის სტიმულირებისა და შემდგომში მათი მდგრად და განვითარებად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოყალიბების მიზნით, ასევე, იმ მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის ხელშესაწყობად, რომელთაც მიწის ნაკვეთებზე მხოლოდ მრავალწლიანი ნარგავები აქვთ, სპეციალური პროექტი მომზადდა და განხორციელდა.

საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის განხორციელება დაიწყო 2014 წლის 1 თებერვლიდან. შედგა პროექტით მოსარგებლეთა სია 757,192 ბენეფიციარის ოდენობით. ამ პროექტისთვის სულ გამოყოფილია 82,577,203 ლარი. 2013 წელს განხორციელებული ანალოგიური პროექტისგან განსხვავებით, მიმდინარე პროექტში შემოვიდა სიახლე აგრობარათის სახით, რომელზეც ბენეფიციარებს ერიცხებათ ქულები და შეუძლიათ ამ

ქულების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესაძენად. აგრობარათით სასოფლო-სამეურნეო საქონლის შეძენა შესაძლებელია პროექტში ჩართულ ნებისმიერ მომწოდებელთან. საქართველოს ყველა რეგიონის მასშტაბით პროექტში ჩართულია 460 მომწოდებელი კომპანია, 738 გაყიდვის წერტილით. ბენეფიციარებისთვის ხვნის სამუშაოების შესასრულებლად, პროექტის ფარგლებში, მობილიზებულია 107 კონტრაქტორის 717 ტრაქტორი და შპს „მექანიზატორის“ 814 ტრაქტორი.

ამ დროისთვის პროექტის ფარგლებში მოხნული მიწის ფართობი შეადგენს 210,223 ჰა-ს. წინასწარი ინფორმაციით პროგრამის ფარგლებში საშემოდგომოდ იგეგმება 25 000–მდე ჰა მიწის ფართობის დამუშავება.

პროექტის ფარგლებში დამუშავდა ორჯერ მეტი ფართობი, ვიდრე წინა წლებში; მათ შორის, დამუშავდა ისეთი ნაკვეთები, რომლებიც წლების განმავლობაში დაუმუშავებელი იყო. აღნიშნული პროექტი იყო სტიმული გამრჯე გლეხისთვის, რომელსაც არ ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარი ხარჯით დაემუშავებინა კუთვნილი მიწის ნაკვეთი.

## შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი

2013 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო. სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს აღნიშნული რგოლების მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით. ამ მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელსაც დააფინანსებს „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი" და განახორციელებს „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო”.

პროექტი 2013 წლის 27 მარტს დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს. პროექტის პარალელურად, მუდმივად ხორციელდება ახალი კომპონენტების დამუშავება და უკვე არსებულის სრულყოფა.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის - 0%; უპროცენტო განვადება მოქმედებს 6-თვიან პერიოდზე, მაქსიმალური თანხა შეადგენს 5000 ლარს.
2. შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის - არა უმეტეს 8%-ისა (საბრუნავი საშუალებების, მარაგებისა და ნაწილობრივ ძირითადი საშუალებების შესყიდვის დაფინანსება), სესხები გაიცემა 5000-დან 100,000 ლარამდე, საბრუნავი საშუალებებისთვის არა უმეტეს 18 თვით, ძირითადი საშუალებებისთვის არა უმეტეს 60 თვით.

3. შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის არა უმეტეს 3%-ისა (ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით), სესხის მინიმალური თანხა შეადგენს 30,000 აშშ დოლარს, ხოლო მაქსიმალური 600,000 აშშ დოლარს და გაიცემა არა უმეტეს 84 თვით. საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია სესხის მოცულობაზე და არ აღემატება 15%-ს, საიდანაც 12%-ს ფარავს სააგენტო.
4. შეღავათიანი აგროლიზინგი - არა უმეტეს 3%-ისა (სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის განვითარება). კომპონენტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელი საწარმოებისთვის მხოლოდ მანქანა-დანადგარების დაფინანსებას. მაქსიმალური თანხა შეადგენს 600,000 აშშ დოლარს, ვადა - 84 თვე. საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება 15%-ს, საიდანაც სააგენტო ფარავს 12%-ს.
5. შეღავათიანი აგროკრედიტი ყურძნის გადამმუშავებელი კომპანიებისათვის, რომელიც ითვალისწინებს მეღვინეობა-მევენახეობის სექტორისთვის შეღავათიან სესხს მხოლოდ ყურძნის შესასყიდად. ამ ტიპის სესხების მაქსიმალური ვადა შეადგენს 15 თვეს, სესხის მოცულობა 10 მლნ ლარს, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 15%-ს, საიდანაც 9%-ს ფარავს სააგენტო.
6. შეღავათიანი აგროკრედიტი ციტრუსის ექსპორტიორი და გადამმუშავებელი კომპანიებისათვის. სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენს 10 მლნ ლარს და გაიცემა მაქსიმუმ 4 თვით, საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია კრედიტის მოცულობაზე და არ აღემატება 15 %-ს, აქედან 9 %-ს ფარავს სააგენტო. კომპონენტის მთლიანი ბიუჯეტი 30,000,000 ლარია.
7. შეღავათიანი აგროკრედიტი თანმხვედრი გრანტით დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოებისათვის. აღნიშნული საწარმოები უნდა შეიქმნას ეკონომიკურად ნაკლებად აქტიურ რაიონებში. სესხის მაქსიმალური ვადაა 120 თვე, თანხა 500,000 აშშ დოლარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 14%, საიდანაც სააგენტო ფარავს 12%-ს.

2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით პირველი კომპონენტის (უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის) ფარგლებში 5,448 ბენეფიციარზე გაცემულია 2,199,819 ლარის ოდენობის სასაქონლო განვადება. მე-2 კომპონენტში (შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის, საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება მაქსიმუმ 18- და 60-თვიანი ვადებით) 14,044 ბენეფიციარზე გაცემულია 254,104,672 ლარის ოდენობის კრედიტი. მე-3 კომპონენტში (შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის, ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება მაქსიმუმ 7-წლიანი ვადით) 656 ბენეფიციარზე გაცემულია 82,211,364 აშშ დოლარის ოდენობის შეღავათიანი აგროკრედიტი. მე-4 კომპონენტში (შეღავათიანი აგროლიზინგი) 2 ბენეფიციარზე გაცემულია 59,779 დოლარის კრედიტი. მე-5 კომპონენტში (ყურძნის შესყიდვა) 43 ღვინის მწარმოებელ კომპანიაზე გაცემულია 50,000,000 ლარამდე კრედიტი. მე-6 კომპონენტში (მანდარინის შესყიდვა) გაცემულია 3 სესხი 575,000 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 74-მდე ახალი საწარმოს

შექმნა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა შემდეგი რეგიონები: კახეთის რეგიონი, სადაც დაფინანსებულია 30 ახალი საწარმოს შექმნა და 253 არსებული საწარმოს გაფართოება და ტექნოლოგიური გადაიარაღება; ქვემო ქართლი - 17 ახალი და 100 არსებული საწარმო, იმერეთი - 5 ახალი და 53 არსებული საწარმო. სესხების უმეტესობა გაცემულია მეცხოველეობის, მეღვინეობისა და სასაწყობე მეურნეობების მოსაწყობად. ახალი საწარმოების შექმნის და არსებულების გაფართოების შედეგად, რეგიონებში მიმდინარეობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც, თავის მხრივ, ხელ უწყობს სოფლად მცხოვრებთა შემოსავლების ზრდას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

## აწარმოე საქართველოში

2014 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ - სოფლის მეურნეობის ნაწილი, რომლის მიზანია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პირველადი და გადამმუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. სახელმწიფო აფინანსებს აღებული სესხის პროცენტის ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტი 46 მლნ ლარია და იგი დამწყები საწარმოების, ე.წ. „სტარტ აფების“ ამუშავებისთვის არის მიმართული. პროგრამის ბიუჯეტიდან 30 მლნ ლარი მოხმარდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებას.

სესხის გაცემა შესაძლებელია შემდეგი მიზნობრიობით:

- მხოლოდ ბოსტნეულის, კენკროვანი კულტურების და მწვანილის მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა;
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის ფერმა (მერძეული–მეხორცული);
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკა (მხოლოდ მეხორცული მიმართულების გამოსაზრდელი და სანაშენე დანიშნულების მქონე);
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველების და თევზის საკვების საწარმო;
- შემდეგი სახის გადამმუშავებელი საწარმოები:
    - ხილის, კენკროვნების, ბოსტნეულის, ციტრუსის გადამუშავება;
    - კაკლის, თხილის, მიწის თხილის და სხვა კაკლოვნების გადამუშავება;
    - მატყლის, ტყავის გადამუშავება;
    - დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამუშავება.

## აგროდაზღვევის პროექტი

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოამზადა აგროდაზრვევის საპილოტე პროგრამა, რომლის განხორციელების სავარაუდო ვადაა ერთი წელი. პროგრამას განახორციელებს ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროგრამის სავარაუდო

ღირებულებაა 5 000 000 ლარი. პროგრამის თანახმად დაზღვევას ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი შემდეგ სტიქიურ მოვლენებზე: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი – ქარი სიჩქარით 15მ/წმ ან მეტი და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) - 1 სექტემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებას და ამ მიზნით მოახდინოს დამზღვევთა სუბსიდირება. კერძოდ, სახელმწიფო უზრუნველყოფს სადაზღვევო პრემიის (თანხის) დიდი ნაწილის (დაახლოებით 70-დან 95%-მდე სხვადასხვა კულტურებზე) გადახდას, ხოლო დანარჩენ ნაწილს დაფარავს დამზღვევი.

იმისათვის, რომ გამოირიცხოს კორუფციული გარიგებები მზღვეველსა და დამზღვევს შორის, პროგრამით დგინდება კულტურების მაქსიმალური ნორმატიული ფასი და ნორმატიული მოსავლის ოდენობა ჰექტარზე. ასევე განსაზღვრულია სადაზღვევო ტარიფის ზედა ზღვარი.

იმისათვის, რომ პროგრამაში მონაწილეობა ყველა მსურველს შეეძლოს, პროგრამით დგინდება ერთ დამზღვევზე სუბსიდიის მაქსიმალური თანხა 30000 ლარის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე - 50000 ლარი.

**მევენახეობა-მეღვინეობა**

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ტრადიციულ დარგს მევენახეობა-მეღვინეობა წარმოადგენს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს) საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს ქართული ღვინის პოპულარიზაცია და გასაღების ახალი ბაზრების მოძიება წარმოადგენს. წარმატებით ხორციელდება ქართული ღვინის ექსპორტი, მათ შორის 2013 წელს აღდგენილ რუსეთის ბაზარზეც. 2014 წლის 8 თვეში (იანვარ-აგვისტო) მსოფლიოს 38 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 36 585 769 (0,75 ლ) ბოთლი შეადგინა, რაც 69%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

“რთველი 2014-ის” წარმატებით განხორციელების მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულია რთველის სუბსიდირების სისტემა, რომელიც შარშანდელისგან განსხვავდება მხოლოდ ღვინის კომპანიებზე გასაცემი სუბსიდიის ოდენობით. კერძოდ, წელს სუბსიდიის ოდენობა თეთრი ყურძნის ჯიშებზე: რქაწითელი, კახური მწვანე შეადგენს 0,35 ლარს, ხოლო საფერავზე - 0,15 ლარს. ამასთან, სუბსიდიის მიღების უფლება ენიჭებათ იმ ღვინის კომპანიებს, რომლებიც ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირებისაგან ერთი კილოგრამი ყურძნის შესყიდვას განახორციელებენ არანაკლებ ერთ ლარად. მიმდინარე წლის რთველის სეზონზე ყურძნის ხარისხის კონტროლთან ერთად, მკაცრი კონტროლი განხორციელდება ქარხნებიდან ჭაჭის უტილიზაციაზეც.

წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელებაზე, როგორიცაა: ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიისა და კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია, რომლის მიზანია ქართული ვაზის წარმოშობის ისტორიის კვლევების წახალისება და მიღებული შედეგების გამოყენებით ქართული ღვინის პოპულარიზაცია. ამისათვის, მოხდება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწების და მერქნის შესწავლა მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით, მოხდება ვაზის აბორიგენული ჯიშების და ველური ვაზის შესწავლის ხელშეწყობა მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით, განხორციელდება კვლევები არქეოლოგიურ მასალაზე ღვინის ნაშთების აღმოჩენის მიზნით.

ასევე ხორციელდება ვაზის იშვიათი ჯიშების გაშენების ხელშეწყობა შესაბამის ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებში, რაც ითვალისწინებს ვაზის უნიკალური და იშვიათი ქართული ჯიშების პოპულარიზაციას და ქვეყანაში მათი ნარგაობების შემდგომ ზრდას.

საქართველოს რეგიონებში ვენახების ინტენსიური გაშენება დაიწყო.

საქართველოს მევენახეობის რეგიონებში - კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და აჭარაში დაიწყო ვენახების ინტენსიური გაშენება. მევენახეები ამას გასულ წელს ორგანიზებულად და წარმატებულად ჩატარებული რთველით, და შედეგად მიღებული გაზრდილი შემოსავლებით ხსნიან, რაც მათ ვაზის გასაშენებლად დამატებით სტიმულს აძლევს.

ამ დროის მონაცემებით, კახეთში დამატებით, ასეულ ჰექტარ ფართობზე დაირგა რქაწითელისა და საფერავის ჯიშის ვაზის ნერგები. კერძოდ, თელავის რაიონში 100 ჰა ფართობზე, ახმეტა - 45 ჰა, ყვარელი - 500 ჰა, საგარეჯო - 200 ჰა, ლაგოდეხი - 3 ჰა, დედოფლისწყარო - 130 ჰა, სიღნაღი - 201 ჰა;

მევენახეობის კიდევ ერთ - რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, კერძოდ ამბროლაურის რაიონში 30 ჰა-ზე გაშენდა 100 ათასამდე ძირი ვაზის ჯიშები - ალექსანდროული და მუჯურეთული. განაშენებიანების ძირითადი გეოგრაფიაა სოფლები: ძირაგეული, სადმელი, ბუგეული.

აჭარის რეგიონში გაშენდა 8 ათასი ძირი უნიკალური ვაზის ჯიში. აღსანიშნავია, რომ აჭარაში ვენახების გაშენების პროცესში აქტიურად არის ჩართული ბიზნესსექტორიც. კერძოდ, ღვინის კომპანიები მევენახეებს უსასყიდლოდ გადასცემენ ვაზის ნერგებს, ხოლო მიღებულ მოსავალს თავად შეისყიდიან. ოქტომბრის ბოლოს დაიწყება ნერგების გაცემა. დაგეგმილია 70 ათასამდე ძირის გადაცემა-გაშენება.

2014 წლიდან დაიწყო საქართველოში ვენახების კადასტრის მასშტაბური პროგრამის განხორციელება, რომელიც ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს მოწესრიგებას ისახავს მიზნად. პროგრამით გათვალისწინებულია ვენახების ფართობების აღრიცხვის, რეგისტრაციის, პასპორტიზაციის და სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტების სამუშაოების ჩატარება. სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დასრულდა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში. ანალოგიური სამუშაოები განხორციელდება კახეთში და საქართველოს მევენახეობის სხვა რეგიონებშიც.

## ქართული ღვინის პოპულარიზაცია

საანგარიშო პერიოდში ღვინის ეროვნული სააგენტო აგრძელებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობას, როგორიცაა ქართული ღვინის პოპულარიზაცია და მისი ცნობადობის ამაღლება დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და სემინარების ორგანიზების ხელშეწყობითა და მონაწილეობით.

ფართოვდება ორმხრივი და მრავალმხრივი კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მსოფლიოში ქართული ღვინოების პოპულარიზაციის მიზნით საანგარიშო პერიოდში სააგენტოს ხელშეწყობითა და მხარდაჭერით ქართული ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა შეძლეს მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოწყობილ ღვინის საერთაშორისო გამოფენებში, კონფერენციებში, კონკურსებსა და დეგუსტაციებში. ესენია:

- 17-26 იანვარი, გერმანია, ბერლინი, საერთაშორისო გამოფენა “Grüne Woche”;
- 1-3 თებერვალი, საფრანგეთის ქალაქები: ანჟე (“Les Penitentes”) და სამური (“La diva bouteille”);
- 23-25 მარტი, გერმანია, დიუსელდორფი, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა PROWEIN-2014;
- 6-9 აპრილი, იტალია, ვერონა, ღვინისა და სპირტიანი სასმელების 48-ე საერთაშორისო გამოფენა (VINITALY);
- 13-14 აპრილი, დიდი ბრიტანეთი, ლონდონი, ბუნებრივი ღვინის საერთაშორისო გამოფენა Real Wine Fair;
- 14 აპრილი, საფრანგეთი, პარიზი, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია (OIV);
- 12-19 მაისი, ინდონეზია, ჯაკარტა, "Sari San Pacific" ქართული კულინარიის ფესტივალი;
- 20 მაისი, ჯაკარტის ღვინისა და ყველის მე-7 საერთაშორისო გამოფენა;
- 14-15 მაისი, პოლონეთი, ვარშავა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოველწლიური შეხვედრა;
- 18-19 მაისი, დიდი ბრიტანეთი, ლონდონი, ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენა ,,Raw Fair”;
- 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩინეთში, ესპანეთში, ავსტრალიაში, უნგრეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიასა და ყაზახეთში;
- 23 მაისი, დიდი ბრიტანეთი, ლონდონი, ქართული ღვინის მასტერკლასი;
- 25-27 მაისი, ესპანეთი, ხერეს-დე-ლა-ფრონტერა, შემაგრებული, სადესერტო და ტკბილი ღვინოების მე-7 საერთაშორისო გამოფენა (Vinoble);
- 29 მაისი - 2 ივნისი, ირლანდია, დუბლინი, გემების ფესტივალი;
- 25 ივლისი, ჰონკონგი, ადგილობრივი დისტრიბუტორების, იმპორტიორების, ღვინის მომხმარებლებისა და მედიისთვის გამართულ ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია;
- 29-31 ივლისი, პეკინის საერთაშორისო გამოფენა;

- 29-30 მარტი, თბილისში გაიმართა ღვინის ტურიზმის მე-6 საერთაშორისო კონფერენცია (www.iwinetc.com);
- 31 მარტი - 1 აპრილი, ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციის დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს კახეთში გამართულ ღვინის ტურში;
- 10-11 აპრილი, ბელგია, ბრიუსელი, ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) ყოველწლიურ შუასასესიო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა 1 წლის განმავლობაში, 2015 წლის აპრილის ჩათვლით იქნება. WWTG-ს წევრები არიან - აშშ, კანადა, არგენტინა, ჩილე, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და საქართველო.
- WWTG-ს მორიგი პლენარული შეხვედრა 2014 წლის 25-27 აგვისტოს თბილისში გაიმართა.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა თბილისში, 2014 წლის 24-27 აგვისტოს, მიღებულ იქნა „ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თბილისის დეკლარაცია ღვინის შემცველობისა და პოტენციური დამაბინძურებლების ანალიტიკური მეთოდოლოგიისა და მარეგულირებელი შეზღუდვების შესახებ“. აღნიშნული დეკლარაციის მიღება ხელს შეუწყობს ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის წევრ ქვეყნებს შორის ღვინით ვაჭრობის სფეროში რეგულაციების ჰარმონიზებას და შესაბამისად სავაჭრო ბარიერების მოხსნას, რაც გამოიწვევს საექსპორტო და საიმპორტო მოცულობების ზრდას. 2010 წლიდან საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის წევრია. წელს საქართველო არის აღნიშნული ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა. ჯგუფში საქართველოსთან ერთად გაერთიანებულია შემდეგი ქვეყნები: აშშ, კანადა, არგენტინა, ჩილე, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. ჩინეთი, ბრაზილია, მექსიკა და მოლდოვა წარმოადგენენ დამკვირვებელ ქვეყნებს, რომელთაც წევრობის სურვილი აქვთ.

6-8 ივნისი, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-7 საერთაშორისო გამოფენა ,,WinExpo Georgia-2014” ჩატარდა. გამოფენის ფარგლებში გაიმართა საფერავის ჭიქის შესარჩევი ეროვნული სესია, სადაც მსოფლიოს წამყვანი ღვინის ჭიქის მწარმოებელი ავსტრიული კომპანია RIEDEL-ის მფლობელმა გეორგ რიდელმა ქართველ მეღვინეებთან, სომელიეებთან და ექსპერტებთან ერთად, 16 წარმოდგენილი ბოკალიდან საფერავის ჭიქის პროტოტიპი შეარჩია;

შემუშავდა გრძელვადიანი პროექტების - „ქართული ღვინის მუზეუმი“ და „ღვინის საგანმანათლებლო ცენტრი“ - კონცეპტუალური დოკუმენტები;

დაიწყო ქართული ვაზისა და ღვინის კულტურაზე 35-სერიიანი შემეცნებით-დოკუმენტური ფილმის გადაღება. ფილმის რეჟისორია ნანა ჯორჯაძე, სცენარისტი თამარ ბართაია, ავტორი და წამყვანი ქართული ღვინის საპატიო ელჩი შალვა ხეცურიანი.

25-27 აგვისტოს საქართველოში გაიმართა ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის პლენარული შეხვედრა.

ექსპორტ-იმპორტი

2014 წლის 7 თვის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტირებულია 391.9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. ძირითადად ექსპორტირებულია: ღვინო (25.4%), მინერალური და მტკნარი წყლები (22.3%), სპირტიანი სასმელები (13.3%), თხილი (7.8%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (5.3%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (4.5%).

2013 წლის 7 თვესთან შედარებით 2014 წლის 7 თვეში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი გაზრდილია 26.4 %-ით. რაოდენობების მიხედვით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი: ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტი – 87.6%-ით; მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი – 32.8%-ით; უალკოჰოლო გაზიანი სასმელები – 77.1%-ით; ატმის ექსპორტი გაზრდილია 2-ჯერ.

2014 წლის 7 თვის განმავლობაში საქართველოში იმპორტირებულია 699.5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. ძირითადად იმპორტირებულია: ხორბალი (9.1%), სიგარეტი (8%), ქათმის ხორცი (5.2%), შაქარი (5.2%), სპირტიანი სასმელები (4%), შოკოლადის ნაწარმი (3.8%) და სხვ.

2013 წლის 7 თვესთან შედარებით 2014 წელს აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი გაზრდილია 3.8 %-ით. ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის მაჩვენებლები უმნიშვნელოდ არის შეცვლილი 2013 წლის იგივე პერიოდთან შედარებით.

სასურსათო უსაფრთხოება და აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება

2014 წლის 17 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 2 მაისიდან. კანონის ზოგიერთი მუხლი ამოქმედდება 2015 წლის პირველი იანვრიდან. მიღებული ცვლილებების მიზანია ევროკანონმდებლობასთან დაახლოება და საქართველოში ეტაპობრივად დანერგვა.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის შესაბამისად სამინისტრო აქტიურად მუშაობს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების პროექტების მომზადებაზე.

**სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიული და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2014 წლის პროგრამა**

**სურსათის უვნებლობა:**

პროგრამით გათვალისწინებული რისკის დონის განსაზღვრის კრიტერიუმებით 2014 წლის 8 თვეში შეფასებული იქნა: 2063 ბიზნესოპერატორი - გეგმური ინსპექტირებისთვის; 226 ბიზნესოპერატორი - არაგეგმური ინსპექტირებისთვის.

2014 წელს დაგეგმილია სავარაუდოდ 3670 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუშისა და სასმელი წყლის სინჯის ლაბორატორიული კვლევა.

2014 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ სათანადო წესით შესყიდული და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლეული იქნა 1388 სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუში და 315 სასმელი წყლის სინჯი.

ლაბორატორიული კვლევის შედეგებით, სურსათის (მ.შ. სასმელი წყლის) ნიმუშებიდან 332 ნიმუში (მ.შ. სასმელი წყლის 109 სინჯი) არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს.

ლაბორატორიული კვლევებისას გამოვლენილ დარღვევებზე სააგენტომ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები.

ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სახის დარღვევების გამოვლენის მიზნით, მონიტორინგი-დოკუმენტური შემოწმება განხორციელდა სურსათის 1373 სარეალიზაციო ობიექტში.

2014 წელს პრიორიტეტს წარმოადგენს ცხოველური (რძე და რძის წარმოება, სასაკლაო, კვერცხის წარმოება) წარმოშობის სურსათის მწარმოებელი საწარმოების, თაფლის წარმოების, საბავშვო ბაგა-ბაღების ბუფეტებისა და სკოლების სასადილოების ინსპექტირება.

ინსპექტირების რაოდენობა წინა 3 წელთან აღებული მთლიანად გაზრდილია 3-ჯერ, ხოლო საჯარიმო სანქციების რაოდენობა გაზრდილია 7-ჯერ (ბოლო 3 წლის მაჩვენებელთან მიმართებით). 2013 წლიდან მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქვეყნის შიდა ბაზარზე ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენა - შემდგომში ღონისძიებების გატარებით. წინა წლებში მსგავსი მონიტორინგი არ განხორციელებულა, განადგურდა მხოლოდ თავად ბიზნესოპერატორის მიერ მომართვის საფუძველზე ვადაგასული პროდუქტი.

უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურად მიმდინარეობს სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონალური ოფისების გახსნა-აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში სურსათის უვნებლობის კონტროლს. მნიშვნელოვნად გაიზარდა სურსათის ეროვნული სააგენტოს დაფინანსება და გაიზარდა თანამშრომელთა რაოდენობა. ამ ეტაპისთვის ახალი ოფისები ფუნქციონირებს გურჯაანში, თელავში, ამბროლაურსა და ქუთაისში. უკვე მიმდინარეობს 5 ახალი რეგიონალური ოფისის მშენებლობა, რომლებიც უახლოეს თვეებში გაიხსნება.

**ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია**

ვაქცინირებულია თურქულის პროფილაქტიკური ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში 1 493,903 სული დაავადების ამთვისებელი პირუტყვი, მათ შორის 910,055 მსხვილფეხა და 583,848 სული წვრილფეხა პირუტყვი.

ვაქცინირებულია ჯილეხის პროფილაქტიკური ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში 675 819 სული დაავადების ამთვისებელი ცხოველი, მათ შორის 256,317 სული მსხვილფეხა, 409,441 სული წვრილფეხა და 10,061 სული ცხენი. 2013 წლის პირველ ნახევართან შედარებით 2014 წლის ამავე პერიოდში 4,5-ჯერ მეტ ცხოველს ჩაუტარდა ჯილეხის პროფილაქტიკური ვაქცინაცია.

მიმდინარე წელს პირველად ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით მასიური ცოფის პროფილაქტიკური ვაქცინაცია, რომლის ფარგლებში ვაქცინირებულია 197,577 სული შინაური ხორცისმჭამელი (ძაღლი, კატა) ცხოველი (ვაქცინაცია ამ ეტაპზეც გრძელდება);

იდენტიფიკაცია-ნიშანდების კამპანიის ფარგლებში იდენტიფიცირებულია 77,784 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

ინფექციის კერებში იძულებით ვაქცინაციას დაექვემდებარა ცოფის დაავადების საწინააღმდეგოდ 27,656 სული ცოფის დაავადების ამთვისებელი ცხოველი, ჯილეხის დაავადების საწინააღმდეგოდ 2500 სული ჯილეხის დაავადებიის ამთვისებელი ცხოველი;

ბრუცელოზზე გამოკვლეულია 3425 სული მსხვილფეხა პირუტყვი, დადებითად მორეაგირე აღმოჩნდა 563 სული.

მიმდინარეობს ბრუცელოზის დაავადებაზე სერომონიტორინგი, რომელიც ითვალიწინებს მოსახლეობის საკუთრებაში არსებული მსხვილფეხა პირუტყვის გამოკვლევას. აღნიშნული ღონისძიება მასობრივად ჩატარდება თბილისსა და კახეთის რეგიონში, ხოლო დანარჩენ რეგიონებში განხორციელდება იმ სოფლებში, სადაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ხდებოდა ადამიანებში ბრუცელოზით დაავადების შემთხვევები.

**მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა**

აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარდა კალიების გავრცელების ძლიერ კერებში ბრძოლის ქიმიური ღონისძიებები, რითაც დამუშავებულ ადგილებზე შენარჩუნებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი კალიებით განადგურებისაგან.

**საქართველო ევროპისა და ხმელთაშუაზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციაში (EPPO) გაწევრიანდება**

EPPO-ში გაწევრიანებით საქართველო შეძლებს: თავისი ტერიტორიის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ტყის ჯიშების ფიტოსანიტარიული დაცვის დონის ოპტიმიზაციის მიღწევას; ფიტოსანიტარიულ-საკარანტინო ღონისძიებების კოორდინირებას და ჰარმონიზებას EPPO-ს წევრი ქვეყნების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მიმართ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვაჭრობის დროს; ფიტოსანიტარიული თვალსაზრისით საქართველოს, როგორც კეთილსაიმედო – სატრანზიტო ქვეყნის, იმიჯის დამკვიდრებას.

## სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების მიზნით, მთავრობამ პარლამენტთან ერთად მიიღო შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც მცირე ფერმერების გაერთიანებასა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას და მათ მონიტორინგს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს ხელშემწყობ ღონისძიებებს, შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით წინადადებებსა და რეკომენდაციებს, კონსულტაციებს უწევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, ქმნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების ბაზას.

მნიშვნელოვანი შეღავათების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე 200-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეიქმნა. აქედან კახეთში რეგისტრირებულია 19 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ქვემო ქართლში - 28, მცხეთა-მთიანეთში - 8, შიდა ქართლში - 27, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 14, გურიაში - 8, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - 25, სამცხე-ჯავახეთში - 21, იმერეთში - 15, რაჭა-ლეჩხუმში - 7, თბილისში - 10.

აღსანიშნავია, რომ სულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულია 1 448 მეპაიე, აქედან 335 ქალი. კოოპერატივებში მობილიზებულია 9 675 ჰექტარი მიწა, ხოლო კაპიტალი შეადგენს 3 656 560.5 ლარს.

სტატუსის მქონე კოოპერატივების დიდი უმრავლესობა ორიენტირებულია პირველადი პროდუქციის წარმოებაზე.

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის პროგრამა ENPARD-ის განმახორციელებელ არასამთვრობო ორგანიზაციებთან (OXFAM, Mercy Corps, PIN, Care). მიმდინარეობს კოოპერატივების განვითრებასთან დაკავშირებული ინფორმაციების გაცვლა, საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა და საქართველოში დანერგვა, მომავალი გეგმებისა და სტრატეგიის შემუშავება.

სასოფლო-სამეურნეო კოოოპერატივების შესახებ მოსახლეობის უკეთ ინფორმირების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თანამშრომლები შეხვედრებს მართავენ რეგიონებში მუნიციპალიტეტების და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების წარმომადგენლებთან.

## სარწყავი და სადრენაჟე არხების რეაბილიტაცია - ექსპლუატაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიამ სარწყავი და სადრენაჟე არხების რეაბილიტაციისთვის მასშტაბური სამუშაოები განახორციელა. საქართველოს მასშტაბით სარწყავი სისტემების პრაქტიკულად ყველა დიდი მაგისტრალური არხი და გამანაწილებელი გაწმენდილია და სარწყავი სეზონის დამთავრებისთანავე დაგეგმილია მათზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც ბოლო 25 – 30 წელია არ ჩატარებულა.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სამელიორაციო მომსახურებით უზრუნველსაყოფად, „სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციის პროგრამის“ ფარგლებში, მიმდინარე წელს დაწყებულია შემდეგი პროექტები:

- ცხინვალის გამყოფ ხაზთან, გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე (4 სამელიორაციო ობიექტზე) 11 სოფლის სავარგულის მორწყვა 731 ჰექტარზე და აფხაზეთის გამყოფ ხაზთან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ განმუხურის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია 262 ჰექტარზე, ღირებულებით - 3,844,750 ლარი;
- 38 სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია 14733 ჰექტარზე და სარწყავი წყლით უზრუნველყოფით გაუმჯობესება - 49,023 ჰექტარზე, ღირებულებით - 32,696,340 ლარი;
- 7 დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია 6035 ჰექტარზე და ჭარბი წყლების მოცილება 10,082 ჰექტარზე, ღირებულებით - 8,178,670 ლარი;

დაიწყება ორი ახალი (თეძამი, არხაშენი) და ორი არსებული (ნარეკვავი, იაკუბლო) წყალსაცავების რეაბილიტაცია, საერთო მოცულობით - 36 მლნ/კბმ და ღირებულებით - 3,100,000 ლარი, სამუშაოების დასრულების შემდეგ სარწყავი წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება 13,240 ჰექტარზე;

განხორციელდება ახალმშენებარე და რეაბილიტაციას ქვემდებარე 11 სატუმბი სადგურის გარე ელექტრომომარაგება, ღირებულებით - 862,240 ლარი.

2013 წლის რეაბილიტაციის პროგრამის დასრულების და 2014 წლის რეაბილიტაციის პროგრამის (მრავალწლიანი შესყიდვის) ფარგლებში 2015 წლის პირველ ნახევარში დასრულებული სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო სამუშაოების შედეგად, 2015 წლის სარწყავი სეზონისათვის შესაძლებელი იქნება 120-125 ათასამდე ჰექტარი სავარგულის გარანტირებულად მორწყვა და 47-50 ათასამდე ჰექტარი დაშრობილი მიწებიდან ჭარბი წყლების გარანტირებულად მოცილება.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ჩატარდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის მნიშვნელოვანი სამუშაოები. გაიწმინდა 1608 კმ სიგრძის მაგისტრალური და გამანაწილებელი არხები. მათ შორის: ქვემო ქართლში - 518,5 კმ, შიდა ქართლში - 778,7 კმ, მცხეთა-თიანეთის რეგიონში - 14,4 კმ, სამცხე ჯავახეთში - 29,0 კმ, კახეთში - 134,0 და იმერეთში - 133,4 კმ. გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის

რეგიონში მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა, გაიწმინდა და მოწესრიგდა 100 კმ სიგრძის სადრენაჟო კოლექტორები და შემკრები არხები. წლის ბოლომდე დამატებით დაგეგმილია 442 კმ სხვადასხვა დონის არხების დანალექი გრუნტისაგან წმენდის და მოწესრიგების სამუშაოების შესრულება.

გარდა ამისა, შეკეთდა გამანაწილებელი კვანძები და დაზიანებული წყალგამშვები ფარები. გარემონტდა და სხვადასხვა სახის სპეციფიკური სამუშაოები ჩაუტარდა სატუმბ სადგურებს წყალმიმღებ სათავე ნაგებობებს და წყალსაცავის ჰიდროკვანძებს, დიუკერებს და სხვა სახის 14 მსხვილ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას. ახლით შეიცვალა სხვადასხვა დიამეტრის წყალდამხარჯი ურდულები და ჰიდრანტები. სულ მოწესრიგდა 774 ჰიდროტექნიკური ნაგებობა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად წყალუზრუნველყოფილია 88,4 ჰა სავარგული.

სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის განხორციელება საშუალებას მისცემს ფერმერებს გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 40-50%-ით, შეიქმნება მოსავლის სტაბილურად მიღების შესაძლებლობა, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით გამოწვეული უარყოფითი პროცესების გავლენა. საერთო ჯამში 2014 წელს წინა წლებთან შედარებით სამჯერ მეტი ფართობი გასარწყავდება - სულ 88 ათასი ჰა.

## სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სოფლის მეურნეობის სამინისტროში კიდევ ერთი ახალი უწყება შეიქმნა. მომზადდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. ცენტრის შექმნა ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას, დარგში არსებული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას, მოსავლიანობის ზრდასა და არსებული პრობლემების მეცნიერულ დონეზე გაანალიზებასა და გადაჭრას, თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის შეფასების უზრუნველყოფას, საუკეთესო პრაქტიკის, სამეცნიერო გამოცდილების საშუალებით და მათზე დაყრდნობით. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ძირითადი ბაზა იქნება ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრში.

სამეცნიერო ცენტრის საქმიანობის მომხმარებლები არიან რაიონებისა და სოფლის მოსახლეობა, მათ შორის მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერები, ფერმერული მეურნეობები, ფერმერული გაერთიანებები და კავშირები, რაიონებში არსებული აგრობიზნესის, მათ შორის გადამმუშავებელ სექტორში მომუშავე ორგანიზაციები, აგრარული პროფილის უმაღლესი და პროფესიული სასწავლო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.

ასევე აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მართველობის სფეროს განეკუთვნება ორი ლაბორატორია: ღვინისა და ანასეულის ნიადაგის კვლევის ლაბორატორიები. ანასეულის ნიადაგის კვლევის ლაბორატორია განახორციელებს საქართველოს ნიადაგების ანალიზსა და კვლევას, რაც შესაძლებელს გახდის სწორად განისაზღვროს ნიადაგის ნაყოფიერებისა და მოსავლის ზრდის ტენდენციები. ღვინის ლაბორატორია კი, საექსპორტო ღვინის ლაბორატორიულ კვლევასთან ერთად, სამეცნიერო-კვლევით ფუნქციასაც შეიძენს.

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია**

ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა სერტიფიცირების პროცესი და მიიღო საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001:2008. სერტიფიცირება განახორციელა აშშ-ს საერთაშორისო სასერტიფიკატო ორგანომ SAI GLOBAL-მა. ასევე აშშ-ს სააკრედიტაციო ორგანომ ANSI-იმ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას საერთაშორისო აკრედიტაციის ISO17025-ი მიანიჭა.

იქმნება ახალი, თანამედროვე სტანდარტების ფიტოსანიტარიული ლაბორატორია, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, ქვეყანაში ფიტოსანიტარიულ კონტროლს განახორციელებს. ლაბორატორიის აღჭურვას ევროკავშირი დაფინანსებს, ხოლო შენობის მშენებლობა და მომუშავე პერსონალი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. დაინერგება მცენარეთა საკარანტინო და არასაკარანტინო მავნებლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდები. ამით ქვეყანა გადადგამს მნიშვნელოვან ნაბიჯს DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად ფიტოსანიტარიული კონტროლის სფეროში, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა და მცენარეული პროდუქტის ექსპორტის მიმართულებით.

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო მთავრობის ინიციატივით სახელმწიფო სუბსიდირების პროექტს ახორციელებს: ყურძენზე (თეთრი და წითელი), ვაშლზე და ციტრუსზე.**

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA)**

ამჟამად, როდესაც საქართველოს რატიფიცირებული აქვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის დაწყება იგეგმება, სოფლის მეურნეობის სამინისტროში კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარეობს ევროკომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებაზე მუშაობა.

**ექსტენციის ცენტრები და საინფორმაციო მომსახურება**

აქტიურად მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები. მთელი საქართველოს მასშტაბით, 59 მუნიციპალიტეტში 260-ზე მეტი სპეციალისტი ყოველდღიურ რეჟიმში გლეხებსა და ფერმერებს ადგილზე

უწევს კონსულტაციებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ეფექტიანად განხორციელებისთვის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შექმნა ღია კონკურსის წესით განხორციელდა მარტში.

ცოდნის გავრცელება ფერმერის და სოფლის მეურნეობის მეწარმეთა და ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობაა.

„2014 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 22,500,000 ლარით და შეადგინა 263,500,000 ლარი. აქედან, 2014 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ათვისებულია 155,000,00 ლარი.

სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსების ზრდის კუთხით აღსანიშნავია ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD). პროექტის ხანგრძლივობაა 4 წელი (2013 წლის მარტი – 2016 წლის მარტი), ხოლო პროექტის ბიუჯეტი - 40 მილიონი ევრო. ENPARD-საქართველოს მოსალოდნელ შედეგებს შორის არის მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისთვის ხელის შეწყობა. 2014 წლის მაისში პროექტის ბიუჯეტს დაემატა 12.5 მილიონი ევრო, რომლის გამოყენებაც დაიწყება 2015 წლის იანვრიდან.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებად საინვესტიციო პროექტებს შორის აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი (ASP), რომელსაც მთლიანად აფინანსებს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), სესხის თანხაა 8,130,000 აშშ დოლარი, გრანტის თანხაა 213,000 აშშ დოლარი. აღნიშნული პროექტისათვის IFAD–მა კიდევ დამატებით გამოყო 4,924,000 აშშ დოლარი.

# 14. <u>რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა</u>

## ადგილობრივი თვითმმართველობა და რეგიონული განვითარება

2014 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომელშიც აისახა ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც განსაზღვრული იყო სამთავრობო პროგრამით „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“.

2014 წელს მიღებული თვითმმართველობის კოდექსი წარმოადგენს უფრო დეცენტრალიზებული და ეფექტიანი მმართველობითი სისტემის შექმნისკენ, მათ შორის, ეკონომიკური განვითარებისკენ წინგადადგმულ ნაბიჯს. ახალი კანონმდებლობის მიღების შედეგად, დღეისათვის, საქართველოში არსებობს 12 თვითმმართველი ქალაქი (მუნიციპალიტეტი) და 59 თვითმმართველი თემი (მუნიციპალიტეტი). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უკვე ჰყავთ არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ასევე მათ აქვთ საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსები და ქონება.

2014 წელსვე ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული არჩევნები, რომლის შედეგად მივიღეთ რეალური ადგილობრივი თვითმმართველობა პირდაპირი წესით არჩეული საკრებულოებისა და მერების/გამგებლების სახით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილებზე რეალური ანგარიშვალდებულების სისტემისა და კულტურის ჩამოყალიბებას.

იგეგმება რეფორმირებული სისტემის შემდგომი სრულყოფა ინსტიტუციონალური, საფინანსო-ეკონომიკური და მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის კუთხით, მათ შორის, ფისკალური დეცენტრალიზაციისა და ქონებრივი საკითხების მოწესრიგების კუთხით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლების, მათი თვითკმარობისა და სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონის მნიშვნელოვან ზრდას.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ-მა - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ცენტრმა დაიწყო მასშტაბური პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სისტემურ გადამზადებას. ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა მულტიმოდალური ტიპის ტრენინგები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეებისთვის.

მთავრობა ამზადებს საქართველოს მაღალმთიანი ზონის განვითარების სტრატეგიას, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალმთიანი რეგიონების სტიმულებზე დაფუძნებულ მდგრად განვითარებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების შექმნას შესაბამისი მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირთა (გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე) შემადგენლობით.

2013 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ქვეყნის 7 რეგიონის - სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთის, სამცხე ჯავახეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ზემო სვანეთის განვითარების სტრატეგიები (2 რეგიონის - იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის განვითარების სტრატეგიები დამტკიცდა ჯერ კიდევ 2012 წელს). აღნიშნული სტრატეგიები, შესაბამისი ხედვა, პრიორიტეტები და ამოცანები ეფუძნება თითოეული რეგიონისა და მათი სექტორული განვითარების მრავალმხრივ ანალიზს, წინმსწრებ სიტუაციურ და ფაქტობრივ დიაგნოსტიკას. სტრატეგიებში გათვალისწინებულია თითოეული რეგიონის (მ.შ. სხვადასხვა დარგის) სპეციფიკა, მათი კონკურენტული უპირატესობები და გამოვლენილია პერსპექტიული მიმართულებები, აგრეთვე სისტემური მიდგომები როგორც საბაზო საჭიროებებზე მოკლე- თუ საშუალოვადიანი რეაგირებისთვის, ისე გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების შემდგომი სტიმულირებისთვის. აქტიურად მიმდინარეობს ზემოაღნიშნული სტრატეგიების ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭიროი სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომელიც დასრულდება არა უგვიანეს მიმდინარე წლის ბოლოსთვის.

2014 წლის ივლისში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“. აღნიშნული პროგრამა განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს და ადგენს საჭირო პირობებს ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემური ხელშეწყობისთვის შემდეგი 3 წლის განმავლობაში.

ამასთან, პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელება მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე და დაგეგმილი თანამშრომლობის ფარგლებში, მათ შორის, ევროკავშირის საბიუჯეტო და სექტორული დახმარების პროგრამის ფარგლებში. და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მისი შემუშავება და მისი ეფექტიანი განხორციელება პირდაპირ პასუხობდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებისა და ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისი დებულებების განხორციელების მიზნებს.

## ინფრასტრუქტურის განვითარება

გარდა იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისა, რომლებსაც შესაბამისი ასიგნებებისა და გეგმების ფარგლებში ახორციელებენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო ერთეულები, 2014 წელს - „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ მუნიციპალიტეტებს გამოეყოთ 140 მლნ ლარი და დაფინანსდა 500-ზე მეტი პროექტი. რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან 2014 წელს გამოყოფილი თანხები ძირითადად შემდეგი მიმართულებების მიხედვით განაწილდა: გზები - 78 მლნ ლარი, წყალი – 16.4 მლნ ლარი, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (მშენებლობა/აღჭურვა) - 7 მლნ ლარი, სანიაღვრე არხების მოწყობა/რეაბილიტაცია - 7 მლნ ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის ჯამში 49,951,407 ლარის გამოყოფა, რის შედეგადაც დაფინანსდა 7,000-მდე პროექტი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ძირითადი მიმართულებებია: შიდა სასოფლო გზები და ხიდები (≈13,5 მლნ ლარი), სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემები (≈9,4 მლნ ლარი), სარიტუალო სახლების მოწყობა (≈5,2 მლნ ლარი), გარე განათება (≈4,6 მლნ ლარი), საბავშვო ბაღები (≈3,8 მლნ ლარი), სოფელში არსებული სხვადასხვა ობიექტების შემოღობვა (≈2,6 მლნ ლარი), სანიაღვრე არხები (≈2,4 მლნ ლარი), სპორტული მოედნები, სკვერები და ბაღები (≈2,2 მლნ ლარი), კულტურისა და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია (1,7 მლნ ლარი), სარწყავი სისტემები (≈1 მლნ ლარი).

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ების მიერ, დონორების მხარდაჭერით, მიმდინარე წელს ხორციელდება შემდეგი რაოდენობის პროექტები:

- მუნიციპალური განვითარების ფონდი: USAID – 20, EU/SB – 3, ADB – 4, EBRD – 1, EIB – 12, IBRD – 14, WB – 10, KFW – 5, MDF – 1;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტი: აზიის განვითარების ბანკი - 2, ევროპის საინვესტიციო ბანკი - 1, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო - 3, მსოფლიო ბანკი - 27, სახელმწიფო ბიუჯეტი - 121;
- გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია: აზიის განვითარების ბანკი - 5, საქართველოს მთავრობა - 6;
- მყარი ნარჩენების მართვის კომპანია: სახელმწიფო ბიუჯეტი - 3, KfW გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკი/ევროკავშირი/სახელმწიფო ბიუჯეტი - 1, EBRD ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი/ევროკავშირი/სახელმწიფო ბიუჯეტი - 1.

2014 წლის ივლისში დამტკიცებულ 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში გაწერილია ის პრიორიტეტები, ღონისძიებები და შესაბამისი ბიუჯეტი, რაც უკავშირდება ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას საქართველოს რეგიონებში შემდეგი 3 წლის განმავლობაში:

- საგზაო აქტივების მდგომარეობის გაუმჯობესება რესურსების სწორი გადანაწილებითა და თანამედროვე დაგეგმარებით;
- საქართველოს რელიეფის და ეკოლოგიის შესაბამისი უსაფრთხო, კომფორტული და ეკონომიკურად ეფექტიანი საერთაშორისო კლასის საავტომობილო გზების ქსელის შექმნა-განვითარება; ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა-მოდერნიზაცია და არსებული გზების გეგმიური რეკონსტრუქცია;
- შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მაგ.: სასოფლო გზები) არარეაბილიტირებული ნაწილის, მისი პრიორიტეტული მონაკვეთების,

რეაბილიტაცია; ცენტრალური ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი საქმიანობის სათანადო კოორდინაცია; აღნიშნული გზების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და მოვლა-შენახვის სამუშაოების სწორად დაგეგმვა ხანგრძლივი ექსპლუატაციის უზრუნველყოფისთვის;

- საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ინტეგრაცია საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში და საერთაშორისო სატრანზიტო ქსელის სრულყოფილი ფუნქციონირების მხარდაჭერა;
- საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების ხარისხის და მართვის შესაბამისი სისტემების გაუმჯობესება;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მრავალმხრივი სრულყოფა და ლოგისტიკური ცენტრების  განვითარება; ხელი შეეწყობა სატრანსპორტო სისტემების სიმძლავრეების შესაბამის გაზრდას და განვითარებას (საგზაო, გზისპირა, სარკინიგზო და ნავსადგურის ინფრასტრუქტურა, აეროპორტების რეკონსტრუქცია და სატვირთო ტერმინალების მშენებლობა, ლოგისტიკური ცენტრები და ა.შ.). პრიორიტეტი მიენიჭება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის და ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დასრულებას, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარებას (ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის სიგრძის მომატებას  და სატვირთო ტერმინალების მშენებლობას) და ანაკლიის  ნავსადგურის პროექტს.
- ლოგისტიკური ცენტრების განვითარების მიზნით, ხელი შეეწყობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურული, მულტიმოდალური და ინტერმოდალური  გადაზიდვის განვითარებას.

## 15. ენერგეტიკა

მოსახლეობისათვის ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის ამაღლების მიზნით სამინისტრომ განახორციელა და ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, კერძოდ:

ტარიფების შემცირება - 2013 წლის 1 იანვრიდან მოსახლეობისათვის შემცირდა ელექტროენერგიის ტარიფი - 3,54 თეთრით 1კვტ.სთ.-ზე, ხოლო 2013 წლის 1 მარტიდან, განხორციელდა საყოფაცხოვრებო მომხმარებელთათვის ბუნებრივი აირის ტარიფის 5 თეთრით შემცირება. ტარიფების შემცირებით, მოსახლეობამ მხოლოდ 2013 წელს 60 მლნ ლარზე მეტი დაზოგა.

გრძელდება ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამა და 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე ელექტროენერგიის მოხმარების ქსელში ინდივიდუალურად ჩაერთო 148,825 აბონენტი.

რეგიონების გაზიფიცირების პროგრამის ფარგლებში 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით 17,367 პოტენციური აბონენტისათვის გახდა ხელმისაწვდომი ბუნებრივი გაზი.

2014 წლის მარტში დაიწყო საზღვრისპირა დასახლებული პუნქტების გაზიფიცირების პროგრამა, რაც გულისხმობს 62 საზღვრისპირა დასახლებული პუნქტის (აბონენტთა სავარაუდო რაოდენობა 15,121) ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფას. აღნიშნული პროექტი წლის ბოლოს დასრულდება.

დაიწყო უშუქო სოფლების ელექტრომომარაგების პროექტის განხორციელება. 2013 წელს ელექტროენერგია პირველად გახდა ხელმისაწვდომი 28-დან 8 სოფლისათვის. დღეისათვის მიმდინარეობს სამუშაოები დარჩენილი 20 უშუქო სოფლის ელექტროფიცირებისათვის. სამუშაოების ნაწილი დასრულდება 2014 წელს, ნაწილი - 2015 წლის გაზაფხულისათვის.

ენერგეტიკის სამინისტროს პრიორიტეტად კვლავ რჩება ახალი ენერგეტიკული პროექტების განვითარება. 2013 წლის 21 აგვისტოდან ძალაში შევიდა მთავრობის დადგენილება „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის შესახებ“. შედეგად საინვესტიციო პროექტების განხორციელება ენერგეტიკის სექტორში კიდევ უფრო გამჭვირვალე, გამარტივებული და ლიბერალური გახდა, რაც ხელს უწყობს დარგში, კერძოდ კი განახლებადი ენერგიების განვითარებაში, ინვესტიციების მოზიდვას.

ჰიდრორესურსების რაციონალური ათვისება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ენერგოდამოუკედობლობისა და უსაფრთხოების ხარისხის ამაღლების კუთხით. 2014 წლის მონაცემებით გაფორმებულია 14 მემორანდუმი 52 პროექტის

განხორციელების მიზნით. პროექტების სავარაუდო ჯამური დადგმული სიმძლავრე შეადგენს 1,965.47 მგვტ-ს, ხოლო წლიური ჯამური გამომუშავება - 9,488.67 მლნ კვტ/სთ-ს. პროექტების განსახორციელებლად სავარაუდო ჯამური საინვესტიციო თანხა შეადგენს 1,350,128,000 აშშ დოლარს. 2013 წლიდან დღემდე ექსპლუატაციაში შევიდა 5 ჰიდროელექტროსადგური, 50მგვტ-ზე მეტი ჯამური დადგმული სიმძლავრით. გეგმის მიხედვით 2014 წლის ბოლოსათვისათვის ექსპლუატაციაში შევა კიდევ 2 ჰიდროელექტროსადგური: ფარავანი ჰესი (დადგმული სიმძლავრე 85მგვტ) და ნაბეღლავი ჰესი (დადგმული სიმძლავრე - 1,9მგვტ).

ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებისა და ენერგოწყაროების დივერსიფიცირების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა დამატებითი თბოელექტროსადგურებისა და ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტებზე.

საპარტნიორო ფონდმა და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ ერთობლივად დაიწყეს გარდაბანში 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული თბოსადგურის მშენებლობა. სადგურის ექსპლუატაციაში შესვლა დაგეგმილია 2015 წელს.

ასევე, ენერგეტიკის სამინისტრო სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდთან“ ერთად მუშაობს კომბინირებული ციკლის 500მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტზე.

2014 წლის 16 ივნისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივ ქვანახშირზე მომუშავე ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, სავარაუდო დადგმული სიმძლავრით - 100÷150 მგვტ. მშენებლობის დაწყება იგეგმება 2016 წლისათვის.

ენერგეტიკის სამინისტრომ „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდთან“ ერთად დაიწყო ქარის სადგურების პროექტის განხორციელება, თავდაპირველად 20 მგვტ, ხოლო შემდეგ - 300 მგვტ-ის განვითარების პერსპექტივით. ქარის ელექტროსადგური „ქართლი“ პირველი საპილოტე პროექტი იქნება.

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასების ელექტრონული სისტემის (GIS) დანერგვაზე. პროგრამის დანერგვა საშუალებას მოგვცემს დაითვალოს და აღირიცხოს წყლის რესურსებისა და მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალი, დამუშავდეს წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და შემუშავდეს ახალი საინვესტიციო პაკეტები. პროექტი 2016 წლის ბოლოსათვის დასრულდება.

არსებული ენერგეტიკული სქემების ოპტიმიზაციის მიზნით საქართველოს ენერგეტიკული განვითარების ფონდი იწყებს საქართველოს მდინარეების აუზების შესწავლის პროექტს.

აღნიშნული მიმართულებით ენერგეტიკის სამინისტრო ჩართულია ორ საერთაშორისო პროექტში, ესენია: „მერების შეთანხმება“ და „დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება, სუფთა ენერგიის პროგრამა (LEDS)“.

დასრულდა საქართველოსა და თურქეთს შორის ახალი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის მშენებლობა და ელექტროგადამცემი ხაზების „სენაკი 1,2“-ის რეაბილიტაცია; მიმდინარეობს 500/220 კვ ქვესადგურ „ჯვრის“ და გადამცემი ხაზების მშენებლობის, „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაუმჯობესებისა“ და „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების“ პროექტები. დაიწყო 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბათუმი“ მშენებლობა.

ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობს მილსადენების მდგომარეობის ინტენსიური შესწავლა, რის შედეგადაც ვლინდება პრიორიტეტული სარეაბილიტაციო მონაკვეთები და ეტაპობრივად ხორციელდება შესაბამისი სამუშაოები.

მიმდინარეობს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის სრული რეაბილიტაცია, რაც ეტაპობრივად დასრულდება 2018 წლისათვის; მიმდინარე წელს დასრულდება კახეთის მაგისტრალური გაზსადენის „რუსთავი-საგარეჯოს” მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები.

ხორციელდება სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის „წითელი ხიდი-მარნეულის“ 25-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტი.

სამინისტრო განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფინანსურ ინსტიტუტებთან.

2013 წლის იანვარში საქართველომ განაცხადი გააკეთა და მიმდინარეობს მოლაპარაკებები „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანების შესახებ.

რეგიონალურ ენერგეტიკულ სისტემებთან სინქრონიზაციის ხელშეწყობის მიზნით სამინისტრო აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) თანამშრომლობით მუშაობს ელექტროენერგიის ბაზრის ახალ მოდელზე.

# 16. <u>გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა</u>

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება ასოცირების ხელშეკრულების თანახმად დეტალური საგზაო რუკის მოსამზადებლად ექსპერტული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით. პროექტის ფარგლებში გაანალიზდება ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი გარემოსადაცვითი ვალდებულებები, სხვა უწყებებთან ურთიერთგადამკვეთი საკითხები, განისაზღვრება მათი შესრულების პერიოდულობა და თანამიმდევრობა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების მიხედვით.

შემუშავდა ასოცირების ხელშეკრულების გარემოსდაცვითი ნაწილების განხორციელების 2014 წლის სამოქმედო გეგმა. აგრეთვე მომზადდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გარემოსდაცვითი ნაწილის განხორციელების სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2014-2017).

გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან (UNECE) ერთად დაიწყო მუშაობა ქვეყნის გარემოსდაცვითი საქმიანობის ეფექტიანობის მესამე მიმოხილვის დოკუმენტზე (EPR). UNECE-ის ექსპერტები დაიწყებენ გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროში არსებული ვითარების შეფასებას. გაანალიზდება წინა შეფასების რეკომენდაციების განხორციელება, მიღწეული პროგრესი და საქართველოს მთავრობისათვის მომზადდება რეკომენდაციები ქვეყანაში გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების კუთხით.

გაფორმდა შეთანხმება ბულგარეთის რესპუბლიკის გარემოსა და წყლის სამინისტროსთან გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის მიზნით ინიციირებულ იქნა ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება შემდეგ ქვეყნებთან: შვეიცარია, ავსტრია, არგენტინა, სამხრეთ კორეა, პერუ და ფინეთი.

შემუშავდა და 2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი (კონცეფცია), რომელიც სახელმძღვანელო დოკუმენტია ქვეყნის სატყეო სექტორის სამომავლო განვითარებისათვის.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და დონორთა კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, 2013 წლის სექტემბერში სამინისტროს მიერ ინიციირებულ იქნა ეროვნული სატყეო პროგრამა (NFP) როგორც სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების ინსტრუმენტი. 2013 წლის სექტემბრიდან დღემდე, ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში მომზადდა ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა:

- ტყის ზონირების დირექტივა;
- ტყის ხანძრების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხეების მოვლის ერთიანი მეთოდი;
- ევროკავშირის დამმობილების პროექტისთვის საპროექტო განაცხადი - ,,ტყის ადმინისტრირების გაუმჯობესება, ტყის მდგრადი მართვისა და სატყეო სექტორში უკანონო ქმედებების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით“.

ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში, კავკასიის გარემოსდამცველ არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელთან (CENN) ერთად, განხორციელდა რეგიონების ინფორმირების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია მიმდინარე სატყეო პოლიტიკის, ეროვნული სატყეო კონცეფციისა და 2014-2015 წლის ზამთრის სეზონზე მოსახლეობის საშეშე მერქნით დაკმაყოფილების საკითხების შესახებ.

2014 წლის 5-6 ივნისს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია სატყეო სექტორის ინსტიტუციონალურ რეფორმასთან დაკავშირებით. კონფერენციას ესწრებოდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 11 ქვეყნის სატყეო სექტორის წარმომადგენლები. კონფერენციაზე შემუშავებულ იქნა წინადადებები და რეკომენდაციები სატყეო სექტორის რეფორმის პროცესის გასაუმჯობესებლად.

სატყეო სექტორის ინსტიტუციონალური რეფორმის ფარგლებში, გადაწყდა სატყეო სექტორის რეფორმის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. შემუშავდა სამეთვალყურეო საბჭოს დებულების პროექტი და მოწვეულ იქნენ საბჭოს წევრები.

სატყეო სექტორის რეფორმის ხელშეწყობის, სამინისტროს ინსტიტუციონალური გაძლიერებისა და ქვეყნის ტერიტორიაზე ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის.

მიმდინარეობს სატყეო სექტორის საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება. მომზადებულია ცვლილებები ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესსა და პირობებში; მიმდინარეობს მუშაობა ცვლილებებზე ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობის რეგულირების მიზნით, გამკაცრდა სანქციები ბრაკონიერობისათვის.

მოსახლეობაში მერქნული რესურსების სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესდა ზღვარი კომლზე გასაცემ საშეშე მერქანზე, შეიცვალა ხე-ტყის დამზადების ბილეთის ვადა და დაიხვეწა სამასალე მერქნის გაცემის პროცედურა.

საქართველოს პარლამეტთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა ქარსაფარი ზოლების შესახებ კანონზე. უკვე განხილულია პირველი პროექტი.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით, მზადდება „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც დაფუძნებულია წყლის რესურსების სააუზო მართვის

ევროპულ პრინციპებზე, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული და საერთაშორისოდ აღიარებული თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. შემუშავების სტადიაშია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები.

გაფართოვდა ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების ქსელი. მდ.რიონის აუზში დამონტაჟდა და გაიმართა 5 ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური და 7 ავტომატური მეტეოროლოგიური საგუშაგო.

გაიზარდა წყლისა და ნიადაგის მონიტორინგის პუნქტები: ზედაპირულ წყალზე - 21 წერტილით, ნიადაგზე - 85 წერტილით. აგრეთვე დაიწყო მიწისქვეშა წყლების ხარისხის კონტროლი 2 ჭაბურღილზე.

2014 წელს ამოქმედდა საზღვაო ბიომრავალფეროვნების სადამკვირვებლო სადგური იხტიოლოგიური მონიტორინგისათვის.

2014 წელს დაიწყო ზღვის კონტაქტური წყალსატევების (ენგური, ჭოროხი, რიონი, მალთაყვა/პალიასტომი, სუფსა, ხობი) ჰიდრობილოგიური და იხტიოლოგიური მონიტორინგი.

შავი ზღვის სანაპიროზე მიმდინარეობს ნაპირის მორფოდინამიკური პროცესების მონიტორინგი.

იაპონელ ექსპერტებთან ერთად ბათუმის სანაპიროზე შეირჩა ადგილი, სადაც დამონტაჟდება ავტომატური სპეციალიზებული საზღვაო ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური, რაც შესაძლებლობას იძლევა დროულად მოხდეს შავი ზღვის სანაპიროზე მოსალოდნელი შტორმული პროცესების პროგნოზირება.

შეძენილი და დამონტაჟებული იქნა თანამედროვე მოწყობილობა (პლაზმურ-ემისიური სპექტროფოტომეტრი ICP-OES), რომელიც საშუალებას იძლევა წყლის, ჰაერისა და ნიადაგის სინჯებში მაღალი სიზუსტით განისაზღვროს მძიმე ლითონების შემცველობა.

დაინერგა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები წყალში მავნე ინგრედიენტების განსაზღვრის მიზნით.

დარიალის ხეობაში, მეტეოროლოგიური პირობების გაუარესების შესახებ წინასწარი გაფრთხილების ეფექტიანი სისტემის შექმნის მიზნით, დამონტაჟდა ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური. აგრეთვე, ადრეული შეტყობინების მიზნით, ამალის ხეობაში მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ პროცესებზე დაწესდა 24-საათიანი ვიზუალური მონიტორინგი.
გაკეთდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სფეროში არსებული ნაკლოვანებების ანალიზი და დაიწყო „საქართველოში ევროსტანდარტების შესაბამისი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის განვითარების პროგრამის“ შემუშავება, რომლის საფუძველზეც მოხდება ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის

რეაბილიტაცია, თანდათანობითი ავტომატიზაცია და მოდერნიზაცია ევროსტანდარტების შესაბამისად.

ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის განვითარების სწორად დაგეგმვის მიზნით, საქართველოს 7 ქალაქის (თბილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, ჭიათურა) 108 წერტილში ჰაერის ხარისხის შესაფასებლად განხორციელდა ერთჯერადი ინდიკატორული გაზომვები.

შეიქმნა ბათუმისთვის ჰაერის დაბინძურების სივრცეში განაწილების კომპიუტერული მოდელი, რომელიც ჰაერის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საშუალებას მისცემს უკეთ დაგეგმონ განსახორციელებელი მოქმედებები არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად.

დაიწყო თბილისში არსებული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 3 არაავტომატური სადგურის თანამედროვე ავტომატური გამზომი ხელსაწყოებით აღჭურვის პროცესი.

შემუშავდა „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ევროდირექტივებთან ჰარმონიზაციისა და საერთაშორისო მოთხოვნების შესრულების სამოქმედო გეგმა“.

მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, არასანებართვო მცირე საწარმოები, რომელთა ჯამური წილი ქვეყნის მთლიან გაფრქვევებში ≈1%-ს შეადგენს, თავისუფლდებიან გარემოს დაცვის ტექნიკური რეგლამენტით რეგულირებისაგან.

შემუშავდა საქართველოს მიერ „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის ბოლო 3 ოქმის რატიფიკაციისა და მისი ვალდებულებების შესრულების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეხმარება ქვეყანას, როგორც კონვენციის ოქმების რატიფიცირებასა და განხორციელებაში, ისე ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესში.

დაინერგა ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების იმპორტ/ექსპორტისა და კვოტირების სანებართვო სისტემა; საბაჟო უწყებას გადაეცა ოზონდამშლელი ნივთიერებების თანამედროვე იდენტიფიკატორი, გადამზადდა 30-მდე მებაჟე და მომზადდა 5 ტრენერი.

განხორციელდა საქართველოში არსებული ოზონდამშლელი ნივთიერებების ნარჩენების შეგროვება, უსაფრთხოდ განთავსება, ქვეყნიდან გატანა და გარემოსათვის უსაფრთხოდ განადგურება.

შემუშავდა ქვეყანაში ოზონდამშლელი ნივთიერებების მოხმარების ანგარიშგებისა და მართვის ელექტრონული სისტემა.

საქართველოში არსებული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო სისტემის გაუმჯობესებისა და მისი ევროსტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2014 წლის აპრილში ინიციირებულ იქნა ,,გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“

კანონპროექტი. ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა დაიწყეს აქტიური მუშაობა საქართველოს კანონმდებლობაში გარემოს სტრატეგიული შეფასების (SEA) დანერგვის მიმართულებით.

შეიქმნა სარგებლობის ლიცენზიების მიღებით დაინტერესებულ პირთათვის ელექტრონული სისტემა, რომელიც მეწარმე სუბიექტებს საშუალებას აძლევს ლიცენზიის მისაღებად შესაბამისი განაცხადი წარადგინონ ელექტრონულად. სისტემის საშუალებით ხდება განაცხადების ელექტრონული აღრიცხვა და საქმისწარმოების შეუფერხებლად წარმართვის სრულყოფილი კონტროლი.

სარგებლობის ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რისთვისაც სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დანერგა ელექტრონული პროგრამა. პროგრამის მეშვეობით კომისიის წევრებს საშუალება აქვთ ლიცენზიების გაცემამდე ონლაინრეჟიმში მოისმინონ და განიხილონ სალიცენზიო ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაცია და აუქციონის გამოცხადებამდე შეიმუშაონ შესაბამისი წინადადებები.

მომსახურების ვადებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაიხსნა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრი. ცენტრის მთავარი მიზანია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ერთი სარკმლის პრინციპების გათვალისწინებით, სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ, მათ შორის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიაწოდოს პირველადი ინფორმაცია, გაუწიოს სათანადო კონსულტაცია და შესაბამისი მომსახურება;

დაინერგა ახალი მომსახურება, მათ შორის, სააგენტოს ფუნქციებში შემავალი სხვადასხვა სერვისების დაჩქარებულ რეჟიმში მომზადება.

მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების თავიდან აცილებისა და ეროზიების შემცირების მიზნით, გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ვალდებულებების შესაბამისად, შემუშავდა გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის პროექტი 2014-2022 წლებისათვის. გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამით განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებები და მათი განხორციელებისათვის პასუხისმგებელი უწყებები, ასევე თითოეული მოქმედების განსახორციელებლად საჭირო ბიუჯეტი, განხორციელების ვადები და მათი დაფინანსების სავარაუდო წყაროები.

მომზადდა 2014-2020 წლების „ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმა“ (NBSAP), რომელიც დამტკიცდა მიმდინარე წლის მაისში; დაიწყო მოქმედებები NBSAP-ის განათლების კომპონენტის დანერგვის მიზნით. მიმდინარეობს შეხვედრები ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან; განხორციელდა TAIEX-ის ექსპერტის ვიზიტი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით; პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი ,,ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“; მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე ,,სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ“; გაიცა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით

საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის 27 ნებართვა.

მომზადდა დოკუმენტები თეთრყვავილის ბოლქვებით ვაჭრობის თაობაზე, CITES-ს კონვენციის მცენარეთა 21-ე კომიტეტზე და ევროკავშირის CITES-ის სამეცნიერო ორგანოზე გასატანად. შეხვედრები გაიმართა მიმდინარე წლის მაისში; განხორციელდა გარეული ცხოველების (მგელი, ტურა, დათვი) რაოდენობის რეგულირების ღონისძიებები. რეგულირების მიზნით მუნიციპალიტეტებთან გაფორმდა 13 ხელშეკრულება; მომზადდა წინადადებები წითელ ნუსხაში შეტანილი ხე-მცენარეების სახეობების ინდივიდების გარემოდან ამოღებისა და სათანადო კომპენსირების განხორციელებისათვის; მომზადდა წინადადებები სამონადირეო მეურნეობებისათვის მართვის გეგმების დასამტკიცებლად; მომზადდა წინადადებები თევზჭერისა და სამონადირეო მეურნეობებისათვის 2013-2014 წლის სეზონისათვის ცხოველთა სახეობების მოპოვების კვოტების დამტკიცებასთან დაკავშირებით. კვოტები დაუმტკიცდა 10 სამონადირეო და 2 თევზის მეურნეობას; გაიცა თანხმობა სამეცნიერო-კვლევითი მიზნით გარეული ცხოველების მოპოვებისათვის წარმოდგენილ 5 განაცხადზე; მიმდინარეობს მუშაობა ჯავახეთის ტბების საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების ნუსხაში შეტანისათვის; მცენარეთა ინვაზიური სახეობების შეფასების, 50 ყველაზე აგრესიული სახეობის ნუსხის განსაზღვრისა და არეალების რუკების შედგენის მიზნით, დაიწყო პროექტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის შედეგები წარმოდგენილი იქნება მიმდინარე წლის ნოემბერში; შემუშავდა ცხოველთა სახეობების მონიტორინგის ხუთწლიანი გეგმა.

## დაცული ტერიტორიების გაფართოება და ახალი ქსელის შექმნა

დაარსდა 16 ახალი ბუნების ძეგლი; დაარსდა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები (ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი, როშკის ბუნების ძეგლი და ასის აღკვეთილი) 79904,4 ჰა ტერიტორიაზე.

## დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება

დამტკიცდა 5 მენეჯმენტის გეგმა; ყველა დაცული ტერიტორიისათვის შეიქმნა დროებითი რეგულირების წესი; ევროკავშირის დაძმობილების პროექტის ფარგლებში მზადდება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების, აჯამეთის აღკვეთილისა და მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმები.

## დაცული ტერიტორიების დემარკაცია

მიმდინარეობს თბილისის ეროვნული პარკის, ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების, კოლხეთის ეროვნული პარკისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების დემარკაცია, რაც საშუალებას იძლევა გასწორდეს დაცული ტერიტორიების საზღვრები, რათა მოიხსნას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან არსებული გადაფარვების პრობლემა;

## ეკო-ტურიზმის განვითარება და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდს დაემატა ონლაინდაჯავშნის ფუნქცია. შემუშავდა ახალი ვებგვერდის კონცეფცია, სტრუქტურა და დიზაინი; ვაშლოვნის დაცულ ტერიტორიებზე შემუშავდა ახალი პროდუქტი - „Safari Tours"; ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს დაემატა ზამთრის აქტივობა - „თოვლის ფეხსაცმელებით გადაადგილება"; პრომეთეს მღვიმეში დაინერგა ახალი ტურისტული პროდუქტები „აუდიოგიდი" და ავტომატარებლით მომსახურება; დამთავრდა ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლის ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა (ვიზიტორთა ცენტრი და 750 მეტრი კლდეზე დაკიდებული ვანტური ბილიკი); განახლდა კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი; ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე სრულად აღიჭურვა და ოფიციალურად გაიხსნა ბუნების შემეცნებითი ბილიკი სასკოლო ჯგუფებისათვის, როჭოს ჩანჩქერისა და მაჭის ციხის ბილიკები; თბილისის ეროვნულ პარკში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო სამი სხვადასხვა სირთულის ველობილიკი; ვაშლოვანის ეროვნულ პარკში მოეწყო ორი საინტერპრეტაციო გეოლოგიური ბილიკი, რომელიც პირველი თემატური-გეოლოგიური ბილიკია საქართველოში; მტირალას ეროვნულ პარკში მოეწყო ახალი სათავგადასავლო აქტივობა - Zip line და კანიონინგი; კოლხეთის ეროვნულ პარკში განვითარდა სანიჩბოსნო აქტივობა - Eco paddling, რაც გულისხმობს კაიაკებით მდინარე ფიჩორზე გადაადგილებას.

## ნარჩენების მართვა

ევროკავშირთან თანამშრომლობითა და ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებების გათვალისწინებით შემუშავდა ნარჩენების მართვის კოდექსი. ასევე მომზადდა ნარჩენების მართვის შესახებ სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტები, რომლებშიც გათვალისწინებულია ნარჩენების მართვის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები, მათ შორის, ქვეყანაში გასატარებელი ნარჩენების მავნე ზემოქმედების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირების (გადამუშავება), აღდგენისა და განთავსების ღონისძიებები.

ქვემო ქართლის საპილოტე რეგიონში განხორციელდა ნარჩენების ინვენტარიზაცია; ნარჩენების მართვის არსებული ვითარების შეფასება; შეირჩა პოტენციური ტერიტორიები რეგიონალური ნაგავსაყრელისა და ნაგავგადამტვირთი სადგურების მოწყობის მიზნით; შემუშავდა ნარჩენების მართვის 15-წლიანი რეგიონალური გეგმა ქვემო ქართლის საპილოტე რეგიონისათვის.

იაღლუჯის მოდ-პესტიციდების (მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები) ნაგავსაყრელზე მოხდა 230 ტონა პესტიციდის შეგროვება, რომელიც შეიფუთა და გაუვნებელყოფის მიზნით გატანილ იქნა ბელგიასა და საფრანგეთში;
განხორციელდა ვადაგასული პესტიციდების ინვენტარიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით. დაგეგმილია 150 ტონამდე ვადაგასული პესტიციდების შეგროვება, შეფუთვა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა გაუვნებელყოფის მიზნით;
შემუშავდა რაჭასა და სვანეთში დარიშხანის შემცველი ნარჩენების უტილიზაციის გეგმა.

მოხდა ბორჯომის სანიტარიული ნაგავსაყრელის მოწყობა. ნაგავსაყრელის ტექნიკური უზრუნველყოფის სამუშაოები დასრულებულია და შესაბამისი ტექნიკა მფლობელობაში გადაეცა ბორჯომის მუნიციპალიტეტს. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგების კურსი ნაგავსაყრელის პერსონალისათვის;
თბილისსა და სამტრედიაში მიმდინარეობს 2 თანამედროვე ინსინერატორის მოწყობა, რომლებიც მოემსახურება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს და მოახდენს ინფექციური სამედიცინო ნარჩენების გაუვნებელყოფას გარემოს დაცვის სტანდარტების შესაბამისად.

**პრევენციის პოლიტიკა და რისკების მართვა**

სამინისტროს ინიციატივით დაიწყო პროექტი - შესაძლებლობების გაძლიერება ,,დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა" (2014-2016). პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ევროკავშირის შესაბამისი დირექტივისა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციების შესაბამისად ახალი კანონპროექტის შემუშავება დიდი სამრეწველო ავარიების პრევენციის სფეროში. ამასთან, გაძლიერდა ქიმიური მონიტორინგის სისტემა, შემუშვდა სამრეწველო ავარიების პრევენციისათვის მეთოდოლოგიები. გაუმჯობესდება ბუნებრივი სტიქიური მოვლენების რისკების შეფასების მექანიზმები.

2014 წლის იანვრიდან დაიწყო კატასტროფების რისკის შემცირების პროექტის - ,,პრევენცია და მზაობა ეროვნულ დონეზე" მეორე ფაზის (2014-2015) განხორციელება. პროექტის ფარგლებში, შვეიცარიული გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, მესტიის რაიონში, რომელიც საპილოტედ იქნა არჩეული, დამცავი ღონისძიებების გასატარებლად განხორციელდება: ბუნებრივი კატასტროფების რისკების იდენტიფიცირება, მოწყვლადი ტერიტორიების პრიორიტეტიზაციისათვის რისკების რუკების შედგენა; ბიოინჟინერიის კომპონენტის გამოყენებით იდენტიფიცირებულ ტერიტორიებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

დარიალის ხეობაში დევდორაკის ღვარცოფით გამოწვეულ მოვლენებთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ ინიციირებულ იქნა ევროკავშირში არსებული სამოქალაქო თავდაცვის რეაგირების მექანიზმის გამოყენება არსებული პრობლემის შეფასებისათვის. დარიალის ხეობაში დამონტაჟდა ადრეული შეტყობინების სისტემა. ადრეული შეტყობინების ქსელის შექმნა დაგეგმილია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (2014-2015), ხოლო შავიზღვისპირეთსა და სხვა კატასტროფებისადმი მგრძნობიარე რეგიონებში ადრეული შეტყობინების ქსელის გაფართოება.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის შესაბამისად, მომზადდება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული „ეკონომიკის დარგებისა და ეკოსისტემების ადაპტაციის ეროვნული გეგმა" და „დაბალემისიიანი განვითარების ეროვნული სტრატეგია". განხორციელდება კლიმატის ცვლილების შემარბილებელი და საადაპტაციო ღონისძიებები.

გრძელდება  დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება. გამოთვლილ იქნა სათბურის გაზების ემისიები სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორებიდან „საბაზისო დონის“ შემთხვევაში.

გრძელდება კლიმატის ცვლილების კონვენციის ადაპტაციის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის კლიმატისადმი მდგრადი პრაქტიკის შემუშავება/დანერგვა მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად საქართველოში“ - განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს კონკრეტული საადაპტაციო ღონისძიებების გატარებას, რაც, ბოლო ხანებში დანერგილი ე.წ. ,,სტრუქტურული” მეთოდების (ნაპირსამაგრი სამუშაოები) გარდა, მოიცავს ბიოსაინჟინრო მეთოდების გამოყენებას (ნაპირების ტერასირება, ვეგეტატიური ბუფერები, ხეების მესერები, და დატბორვის არეზე სეზონური პროდუქტიული სქემების გამოყენება) და ადრეული შეტყობინების სისტემების მოწყობას მოსახლეობის ადაპტირების უნარის ასამაღლებლად (უეცარი წყალმოვარდნების პროგნოზირებისა და სათანადო ღონისძიებების განხორციელებისათვის).
გერმანიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დააფინანსოს აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზონაში ნაპირსამაგრი ღონისძიებები. კლიმატის ცვლილებით განპირობებული ზღვის დონის აწევის შედეგად ინტენსიურად ხდება ნაპირის ჩარეცხვა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექსპერტებთან ყველაზე მოწყვლადი მონაკვეთის შესარჩევად, სადაც განხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიღებისა და რეაგირების მიზნით, 2014 წლის იანვრიდან ამოქმედდა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული 24-საათიანი სატელეფონო კავშირი - „ცხელი ხაზი 153“.

2013 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე პერიოდში დეპარტამენტმა გამოავლინა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 8459 ფაქტი, მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 8041 ფაქტი;
- სისხლის სამართლის დანაშულის ნიშნების მქონე – 418 ფაქტი, რომლებიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოებს.

გარემოს დაცვის სფეროში გამოვლენილ სამართალდარღვევათა უდიდეს ნაწილს - 55%-ს შეადგენს ტყის კანონმდებლობის, თევზჭერისა და ნადირობის წესების  დარღვევა, რის გამოც ბრაკონიერობასთან ბრძოლა დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებისათვის დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა  3,332,690 ლარი.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა 9,899,183 ლარი. მათ შორის:  სისხლის სამართლის საქმეებზე - 9,066,869 ლარი; ადმინისტრაციულ საქმეებზე - 832 314 ლარი.

აღდგენილი იქნა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირება, განახლდა სამედიცინო და პროფესიული დასხივებისას მიღებული  დოზების კონტროლი, გაძლიერდა სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი ადამიანისა და გარემოს  მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით;

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში დაიხვეწა არსებული საკანონმდებლო ბაზა. დამტკიცდა ერთი და მუშავდება ნორმატიული აქტების პაკეტი ბირთვული და რადიაციული ავარიებისათვის მზადყოფნის, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესის, მეტალის ჯართის რადიაციული მონიტორინგის წესის, მაიონებელი გამოსხივების წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების, ავტორიზაციის, უწყებრივი რეესტრის შექმნისა და წარმოების წესის  შესახებ და სხვ.
წარმატებით შესრულდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის კონვენციით გათვალისწინებული ღონისძიებები. განახლდა საქართველოში არსებული ბირთვული მასალების რეესტრი, რაც ხელს უწყობს ბირთვულ ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეების შემცირებას.

რადიოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილების, მოსახლეობისა და გარემოს დაცვის მიზნით ჩატარდა პრევენციული ღონისძიებები და მოხდა რადიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირება. გაუმჯობესდა საქართველოში არსებული რადიოაქტიური ნარჩენების ფიზიკური დაცვის ხარისხი. კერძოდ, განხორციელდა სააკაძის რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ფიზიკური დაცვისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტი.

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ცნობიერების ამაღლება**

გარემოსდავით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები, რომლებიც მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იქნება სსიპ გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის ვებგვერდის საშუალებით.

დასრულდა მუშაობა გარემოსდაცვითი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციების ბაზასა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ელექტრონულ ბაზაზე, რომელიც განთავსდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ინტერაქტიულ რუკაზე.

გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი გარემოსდაცვითი განათლების საკოორდინაციო ჯგუფი.

გარემოს დაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის გაიმართა სემინარები გარემოს დაცვის თემებზე, აღინიშნა გარემოს დაცვის ,,მწვანე დღეები”,  გაიმართა გარემოს დაცვის კამპანიები.

სსიპ გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის ორგანიზებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სხვადასხვა უწყების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩატარდა ტრენინგები. სულ ტრენინგი გაიარა 70-მა თანამშრომელმა.

# 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პოლიტიკა

**შრომის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა**

შრომის ბაზრის განვითარების პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, 2013 წლის 2 აგვისტოს დამტკიცდა საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა მისი რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა. სოციალური მომსახურების სააგენტოში კი შეიქმნა დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას დასაქმების სფეროსა და შრომის ბაზრის ინფრასტუქტურის განვითარებაში. ამუშავდა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა და ელექტრონული პორტალი www.worknet.gov.ge, რომელზეც ამ ეტაპზე დარეგისტრირებულია 21 000 სამუშაოს მაძიებელი. სააგენტო ინტენსიურად აწარმოებს სამუშაოს მაძიებელთა ჯგუფურ კონსულტირებას. ამ ეტაპისათვის ჯგუფური კონსულტირების სერვისის მიწოდება ხდება თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის ყველა მუნიციპალიტეტში. მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნული სერვისის მიღება შესაძლებელი გახდება კახეთშიც.

შემუშავებულია  შრომის ბაზრის მოთხოვნის - საწარმოთა კვლევის პროექტი, რომელიც განიხილება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. აღნიშნული კველევის შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელდება სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა, იმისათვის, რომ გადამზადება მოხდეს მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის დაიდო საფინანსო შეთანხმება საქართველოში დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სფეროში სექტორული რეფორმების მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა დასაქმებისა და პროფესიული გადამზადების რეფორმის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი, რომლის ბენეფიციარები არიან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2014 წელს დამტკიცდა აგრეთვე ევროკავშირის ,,საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა'' (Twinning) - „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების (ESS) შესაძლებლობათა განვითარება საქართველოში“.

აშშ-ის შრომის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის - „შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესება საქართველოში“ - ფარგლებში განისაზღვრა, რომ მომზადდება ,,შრომის დაცვის შესახებ“ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტები, რაც ხელს შეუწყობს, მოქმედი შრომის კოდექსის ნორმების გათვალისწინებით, სამუშაო ადგილებზე დასაქმებულების შრომითი უფლებების დაცვას, მათი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესებას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაწილეობით, სფეროში არსებული პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი ,,შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. კანონპროექტის საბოლოო რედაქციის დასრულებისთანავე დაგეგმილია პროექტის განხილვა შესაბამის უწყებებსა და სოციალურ პარტნიორებთან ერთად.

საქართველოში დასაქმებულთა შრომითი უფლებების, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, 2014 წლის ბიუჯეტში აისახა შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა, რომლის პროექტი შეიმუშავა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სოციალურ პარტნიორებთან და სხვადასხვა უწყებასთან ერთად. ევროპის პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სააგენტოს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტების მიერ გადამზადებული პირები განახორციელებენ შრომის პირობების მონიტორინგს.

2014 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორაგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წარმომადგენლების მონაწილეობით შეირჩა კოლექტიური შრომითი დავების მედიატორობის 15 კანდიდატი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტების მიერ განხორციელდა მედიატორობის კანდიდატების ტრენინგები.

შერჩეული კანდიდატებიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტებმა რეკომენდაცია გაუწიეს 8 კანდიდატს. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებითა და სოციალურ პარტნიორებთან შეთანხმებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მედიატორების ძირითადი (4 მედიატიორი) და სარეზერვო (4 მედიატორი) სიის შექმნის შესახებ, რომელიც გადაეგზავნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამდივნოს შემდგომი მსვლელობისათვის.

2014 წლის 1 იანვრიდან შრომის კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ორსულობასთან, მშობიარობასა და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული შვებულების, მათ შორის, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა. 600 ლარიდან 1000 ლარამდე გაიზარდა ანაზღაურებული შვებულების დროს გასაცემი თანხაც.

**ჯანმრთელობის დაცვა**

2014 წელს შემუშავდა 2014-2020 წლების საქართველოს ჯანდაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია - „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“. უახლოეს მომავალში დასრულდება საქართველოს ჯანდაცვის სექტორის განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე 2014-2020 მუშაობა.

2013 წელს ჯანდაცვის სექტორისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობა თითქმის გაორმაგდა და მისმა წილმა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 2.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებით 8% შეადგინა.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო 2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვა, რომელმაც დაზღვევის არმქონე ყველა საქართველოს მოქალაქე უზრუნველყო სამედიცინო მომსახურებით. პროგრამა დღეისათვის ფარავს გეგმურ ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონარულ, გეგმურ ქირურგიულ მომსახურებას, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობასა და მშობიარობას. 2014 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, პროგრამის ბენეფიციართა 80.3% კმაყოფილი იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მიღებული ამბულატორიული სერვისით, ხოლო 96.4% კმაყოფილებას გამოთქვამდა ჰოსპიტალურ დონეზე მიღებული გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით.

2014 წლის 1 სექტემბრიდან 0-5 წლის ასაკის ბავშვები, საპენსიო ასაკის მოსახლეობა, სტუდენტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც სარგებლობდნენ ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევით, გახდნენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლეები. დღეისათვის სახელმწიფო სქემებით იფარება მოსახლეობის 92%, ხოლო 400,000-მდე მოქალაქეს რჩება კერძო ინდივიდუალური ან კორპორაციული დაზღვევის პაკეტი.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ გაიზარდა ჰოსპიტალიზაციის (100 სულ მოსახლეზე 2011 წლიდან 7.8-დან 2013 წელს 9-მდე) და პჯდ დაწესებულებებში მიმართვების რაოდენობა (2.1-დან 2.4-მდე ერთ სულ მოსახლეზე).

2013 წელს განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და დამტკიცდა თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტარტეგია და სამოქმედო გეგმა. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების, ჯანმრთელობის ხელშემწყობი გარემოს შექმნისა და ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ფაქტორების უკეთესი კონტროლის მიზნით, მომზადდა და უახლოეს მომავალში დამტკიცდება „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- თამბაქოს კონტროლის ხელშეწყობა;
- ჯანსაღი კვების შესახებ განათლება;
- ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა;
- ჰიპერტენზიის ადრეული გამოვლენისა და კონტროლის/მართვის ხელშეწყობა და მოსახლეობის განათლება;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება.

2013 წელს ფსიქიატრიული დარგის ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად შეიქმნა ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭო, დეკემბერში კი საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცდა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფცია. უახლოეს

მომავალში შეიქმნება ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია და 2014-2020 წლების სამუშაო გეგმა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობით გააქტიურდა უწყებათაშორისი მუშაობა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის დანერგვასთან მიმართებაში.

ძვირადღირებული სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ამოქმედდა C-ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 1000 პირისათვის C-ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უზრუნველყოფას (პეგილირებული ინტერფერონითა და რიბავირინით) და სამოქალაქო სექტორის 10,000 ბენეფიციარისათვის C- ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე 60%-იანი შეღავათიანი ფასის გავრცელებას. 2014 წლის მაისიდან ორსულ ქალებს უფასოდ ეძლევათ ფოლიუმის მჟავა, ხოლო რკინადეფიციტური ანემიის მქონე ორსულებს კი - რკინის შემცველი პრეპარატები.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე 2014 წლის 1 სექტემბრიდან აიკრძალა მე-2 ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ურეცეპტოდ რეალიზაცია. აღნიშნული რეფორმა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რაციონალური ფარმაკოთერაპიის პროცესის დანერგვას და ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიის“ აღმოფხვრას.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, პედაგოგებს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს სამკურნალო საშუალებების ხარჯები უნაზღაურდებათ სამკურნალო საშუალებათა ნუსხის მიხედვით, წლიური ლიმიტის – 50 ლარის ფარგლებში. ასაკით პენსიონერებისათვის, 0-5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და შშმ ბავშვებისათვის, აგრეთვე ვეტერანებისთვის სამკურნალო საშუალებების ანაზღაურების წლიური ლიმიტი შეადგენს 100 ლარს 50%-იანი თანაგახდით. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პენსიონერებისთვის მედიკამენტების ანაზღაურების წლიური ლიმიტი 200 ლარია 50%-ის თანაგადახდით. სულ სამკურნალო საშუალებათა ნუსხით სარგებლობს 1,6 მლნ ადამიანი.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ძვირადღირებული ქიმიო-, სხივური- და რადიოთერაპიისათვის საჭირო მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურება. დაავადებებზე ორიენტირებული, ე.წ. „ვერტიკალური“ სახელმწიფო პროგრამებით ხდება ქვეყნის მოსახლეობის ძვირადღირებული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა. რეფერალური პროგრამით ანაზღაურდება მედიკამენტები ინდივიდულური საჭიროების მქონე პაციენტებისათვის, რომლებსაც სხვა სახელმწიფო პროგრამებიდან არ უფინანსდებათ აღნიშნული მომსახურება.

მიმდინარეობს ინდივიდუალურ დაავადებებზე ორიენტირებული ჯანდაცვის 20 პროგრამის პროგრამული დაფინანსების გაუმჯობესება, სამეცნიერო მტკიცებულებებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

პჯდ სექტორისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი (ექიმი 650 ლარი, 500-ის ნაცვლად, ექთანი - 455 ლარი, 300-ის ნაცვლად). დაიწყო სოფლის ექიმებისათვის საჭირო სამედიცინო დოკუმენტაციის და ექიმის ჩანთის ცენტრალიზებული შესყიდვა.

საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს 82 სოფლის ამბულატორიის მშენებლობა. პროცესი მთლიანად უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოსათვის.

2014 წლის შემოდგომაზე დასრულდება პჯდ-ის განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავება, რომელიც  განსაზღვრავს პჯდ-ის ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და საკადრო რესურსის ნორმატივებს, პჯდ-ის  მომსახურების მოცულობას და სახეებს, პჯდ-ის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების სისტემას და მექანიზმებს, პჯდ-ის მარეგულირებელი გარემოსა და დაფინანსების შესაბამის მექანიზმებს,  პირველადი ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების განვითარებასა და პჯდ კადრების პროფესიული ცოდნის და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას.

მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა ეროვნულ დონეზე ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებით, მზადდება ხარისხის მართვის ეროვნული გეგმა და ეროვნული ინდიკატორების ჩარჩო.

მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ განისაზღვროს სამედიცინო მომსახურების დონეების (რეგიონალიზაცია),  მოხდეს ინფრასტრუქტურისა და საკადრო რესურსის კუთხით არსებული ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების (ნებართვები, ლიცენზიები და სერტიფიცირების სისტემა) გაფართოება და მონიტორინგის მექანიზმების დახვეწა. ამ საქმეში პირველი ნაბიჯია  საერთაშორისო ორგანიზაციებთან (USAID/SUSTAIN, UNICEF, UNFPA) თანამშრომლობით შემუშავებული პერინატალური სერვისების რეგიონალიზაციის გეგმა და მაღალი რისკის ორსულთა და ახალშობილთა რეფერალის (გადაყვანის)  სისტემის მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრა.

ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მიმართულებაა გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავება. 2014 წელს წარმატებით დასრულდა ,,კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების საგრანტო პროგრამა“ და მომზადდა 130 პროტოკოლი. ამასთან, დღეისათვის ქვეყანაში სულ დამტკიცებულია 134 გაიდლაინი, თუმცა მნიშვნელოვნად არის დასახვეწი გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავების, პერიოდული გადახედვის, დანერგვისა და მონიტორინგის სისტემები.

შიდა ქართლში, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარედ, სოფელ ტყვიავში, მიმდინარეობს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის მშენებლობა/მოწყობა, რაც უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ რუხში, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარედ, 2014 წლის აგვისტოში დაიწყო ახალი მულტიპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა. კლინიკა გათვლილია 220 საწოლზე, საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურით.

2014 წელს დასრულდება სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ მართვის ერთიანი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული მნიშვნელობის კლინიკების მართვის ეფექტიანობისა და პაციენტთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებას.

2013 წელს ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი გადმოვიდა ჯანდაცვის სისტემაში და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ნაწილი გახდა, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიული ქსელის სიმძლავრეების სისტემური გაძლიერების თვალსაზრისით.

2013 წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურების შეფასება, შეიქმნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით ერთიანი სადისპეტჩეროს ჩამოყალიბებას, ავტოპარკის განახლებას და პერსონალის კვალიფიკაციის დონის ამაღლებას.

## საპენსიო უზრუნველყოფა და სოციალური პოლიტიკა

საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრები, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრები, 2014 წლის მდგომარეობით - სულ 2155 პირი იღებს სახელმწიფო კომპენსაციას 500 ლარის ოდენობით.

საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობისა და შობადობის მატერიალური წახალისების მიზნით, 2014 წლის 1 ივნისიდან საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც წინა მე-2 და მე-3 წლებში არ დაფიქსირებულა წლიური საშუალო ბუნებრივი მატება, ყოველ ცოცხლადშობილ რიგით მესამე ან მესამეზე მეტ ბავშვზე ოჯახს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება - მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებთათვის - 200 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა შემთხვევაში - 150 ლარის ოდენობით. აღნიშნული ფულადი დახმარება ოჯახს მიეცემა ბავშვის 2 წლის ასაკამდე. აღნიშნული პროგრამა 2014 წელს შეეხება შემდეგ რეგიონებს: გურიას, იმერეთს, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამეგრელო-ზემო სვანეთს და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს.

გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიისა (ფორმულის) და ადმინისტრირების სქემის გადახედვა/დახვეწის მიმართულებით, ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების ასახვისა და სოციალური დახმარების პროგრამის მიზნობრიობის ზრდის მიზნით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის შშმ პირთა შეფასების სოციალურ მოდელზე გადასვლის ღონისძიებების განსახორციელებლად მიმდინარეობს საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება.

2014 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გაიზარდა შშმ პირთათვის გათვალისწინებული სხვადასხვა სოციალური მომსახურების დაფინანსება. კერძოდ, გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა მოტორული, შემეცნებითი, ენობრივი, თვითმომსახურებისა და სოციალური ჩვევების განვითარების და ადრეული რეაბილიტაციის მომსახურების ბიუჯეტი 2014 წელს გაიზარდა 223 000 ლარიდან 472.000 ლარამდე. შესაბამისად, გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობაც 150-დან 350-მდე. ყოველთვიური დაფინანსების ოდენობა ერთ ბენეფიციარზე, ნაცვლად 135 ლარისა, განისაზღვრა 144 ლარით. ნერვული სისტემის მძიმე დაავადებებისა და პათოლოგიური მდგომარეობების შემთხვევებში, მკურნალობასა და რეაბილიტაციის მომსახურების დაფინანსება 2014 წლისთვის გაიზარდა 828,888 ლარიდან 1,209,000 ლარამდე; ყოველი ბენეფიციარისათვის საჭიროების შესაბამისად წლის განმავლობაში 2014 წლიდან 5 სარეაბილიტაციო კურსის ნაცვლად შესაძლებელია 7 კურსის ჩატარება.

ბავშვთა მიტოვების პრევენცია და შშმ პირთა (მ.შ. ბავშვთა) რეაბილიტაცია და სოციალური ინტეგრაციის მიზნით ,,დღის ცენტრების" მომსახურების დაფინანსება 2014 წლისთვის გაიზარდა 2,175,066-დან 3,084,000 ლარამდე, შესაბამისად გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობაც. ამასთან, დღის ცენტრები გაიხსნა ფოთის, ხაშურის, ზუგდიდის, საგარეჯოს, ჩხოროწყუს, მცხეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში. მძიმე და ღრმა შეზღუდვის მქონე შშმ ბავშვების მომსახურებისათვის დღიური დაფინანსების ოდენობა 11 ლარიდან გაიზარდა 18 ლარამდე.

მნიშვნელოვანი სიახლეა სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფის კომპონენტში, რომლის ფარგლებშიც სამიზნე ჯგუფისათვის სახელმწიფომ შეიძინა ელექტროსავარძელ-ეტლები - 30 ერთეული 2013 წელს, ხოლო 2014 წელს შეძენილი ექნება 50 ერთეული.

საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტის დაფინანსებაც გაიზარდა 1,099,700-დან 2,936,000ლარამდე .

შშმ პირთა და ხანდაზმულთა სათემო ტიპის მომსახურების ბიუჯეტი 2014 წელს 686,600 ლარიდან გაიზარდა 965,000 ლარამდე. ამასთან, მომსახურებით ერთდროულად მოსარგებლე პირთა რაოდენობა 130-დან გაიზარდა 180-მდე. დღიური დაფინანსების ოდენობა ერთ ბენეფიციარზე, ნაცვლად 15 ლარისა, განისაზღვრა 16 ლარით.

2014 წელს გაორმაგდა ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით, სურდოთარჯიმნების მომსახურებისთვის თვეში ასანაზღაურებელი თანხა 200 დან 400 ლარამდე.

## სოლიდარობის ფონდი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით 2014 წელს შეიქმნა "სოლიდარობის ფონდი", რომლის მიზანია საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს თანამონაწილეობით, საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური და სამედიცინო დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი ბავშვებისა და ოჯახებისთვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზაცია. 2014 წლის აგვისტოდან საქართველოს სოლიდარობის ფონდი განიხილავს განაცხადებს 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნეების მქონე ბავშვების დასახმარებლად. ფინანსური რესურსების ზრდის პარალელურად, ფონდი 2014 წლის 1 ოქტომბრამდე გამოაცხადებს 18 წლამდე ასაკის პაციენტებისთვის ონკოჰემატოლოგიური დაავადებების, ხოლო 2014 წლის 1 დეკემბრამდე 19-21 წლის ასაკის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბენეფიციართა შესაძლო დაფინანსების შესახებ. მიმდინარე წელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილმა სოლიდარობის ფონდმა, სოლიდური სიმსივნით დაავადებული 11 ბავშვის მკურნალობა დააფინანსა, მათ შორის, დაფინანსდა 3 ბავშვის საზღვარგარეთ მკურნალობა. დაფინანსებისთვის გამოყოფილი ჯამური თანხის ოდენობა 96,000 ლარს შეადგენს.

ფინანსური რესურსების მობილიზება განხორციელდა როგორც სახელმწიფო მოხელეთა განსაკუთრებული მხარდაჭერით, ისე საბანკო და სამოქალაქო სექტორის სრული სოლიდარობით. 31 აგვისტოს მდგომარეობით, ფონდში 150,000 ლარამდეა მობილიზებული. ამ ეტაპზე, სოლიდარობის ფონდში მობილიზებული თანხა, რომელსაც 23,000 საჯარო მოხელე ყოველთვიური დონაციის სახით სწირავს, საკმარისია, რათა 18 წლამდე სოლიდური სიმსივნის მქონე ბავშვთა თანადაფინანსების პრობლემა საქართველოში სრულად გადაიჭრას.

## 18. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა დახმარება

შემუშავდა და დაიწყო მწყობრი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება დევნილების, ეკომიგრანტების, ლტოლვილებისა და მიგრანტების მიმართ. დევნილთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პოლიტიკა შეიცვალა მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილით დაკმაყოფილების პოლიტიკით. განხორციელდა ღონისძიებები ანტიკორუფციული გარემოს შესაქმნელად და ამუშავდა ბინების განაწილების სამართლიანი მექანიზმები.

ამუშავდა დევნილთა მისაღები, რომელიც დევნილებს აწვდის ხელიმისაწვდომ და ხარისხიან მომსახურებას ერთი ,,ფანჯრის პრინციპით". დევნილთა დასახმარებლად, სამინისტროში „დევნილთა მეგობრების კლუბი" დაარსდა, რომელშიც 31 ორგანიზაციაა გაერთიანებული. თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე „დევნილთა მეგობრების კლუბში" გაერთიანებული ორგანიზაციები დევნილებს გარკვეულ დახმარებასა და შეღავათიან მომსახურებას უწევენ.

ანტიკორუფციული გარემოს შექმნის მიზნით განხორციელდა საკადრო ცვლილებები და დაინერგა მუდმივი მონიტორინგის სისტემა.

### დევნილთა რეგისტრაცია

განხორციელდა დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია, რის შედეგადაც დევნილთა რაოდენობამ შეადგინა 258,038 პირი. სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელობის გამო დევნილის სტატუსი შეუწყდა 17,177 პირს; გამოვლინდა 4353 პირი, რომელსაც დევნილის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა კანონის დარღვევით. მიღებულ იქნა კანონი ,,ამნისტიის შესახებ", რომლის მიხედვით, ყველა დევნილს ეპატიება ჩადენილი დანაშაული (დევნილის მოწმობის გაყალბება, სახელისა და გვარის გაყალბება, დევნილის მოწმობაში ფოტოსურათის შეცვლა, ერთ დევნილზე ორი ან მეტი დევნილის მოწმობის არსებობა და ა.შ.), თუ ამას ისინი ნებაყოფლობით აღიარებენ, გარდა იმ გამონაკლისისა, როდესაც დევნილს გაყალბებული საბუთებით ბინა ან ფულადი კომპენსაცია აქვს მიღებული. დღევანდელი მდგომარეობით, ამნისტიით უკვე 80-ზე მეტმა დევნილმა ისარგებლა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

### საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა

მიღებულ იქნა ახალი კანონი დევნილთა შესახებ, რომლითაც განისაზღვრა, რომ ყველა დევნილ ოჯახს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი ფართობი. გარდა ამისა, დევნილთა სოციალურ-სამართლებრივი უფლებების უკეთ რეალიზაციის მიზნით, ახალი კანონით შემოღებულ იქნა ახალი რეგულაციები, კერძოდ: გაიზარდა დევნილთა შემწეობა 45 ლარამდე, გაუქმდა დევნილთა კომპაქტური და კერძო განსახლების ობიექტების ცნება, რის შედეგადაც დევნილთა შემწეობა გახდა უნივერსალური; აღარ მოხდება დევნილთა

გამოსახლება საცხოვრებელი ფართობიდან; ბინის მიღების მიუხედავად, მათ შეუნარჩუნდებათ დევნილის სტატუსი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნდებამდე და სხვ.

მომზადდა და დამტკიცდა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის" დებულება, რომელიც ადგენს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის პროცედურებს და კრიტერიუმებს. ამის შედეგად, სამინისტომ მიიღო 16,295 განაცხადი, რომელთაგან უკვე შეფასებულია 14,215 განაცხადი და კითხვარი. ამასთან ერთად რეაბილიტირებული ობიექტები ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებისათვის. ისინი კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე, პირველ სართულზე მიიღებენ ბინას.

დევნილთათვის საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ხდება იქ, სადაც ისინი არიან ინტეგრირებული ბოლო წლების განმავლობაში. ამისათვის, თბილისში კერძო მესაკუთრეებისგან გამოსყიდულ იქნა 8 კოლექტიური ცენტრი 482 ოჯახისთვის, რამაც შეადგინა 2,997,640 დოლარი; გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილ იქნა 2500-მდე ოჯახი (8000-ე მეტი დევნილი); საქართველოს მასშტაბით, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად (1 ლარად) საცხოვრებელი ფართობი დაუკანონდა და კერძო საკუთრებაში გადაეცა 2967 ოჯახს; საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილდა 600-მდე შშმპ პირი; 17 ნგრევადი ობიექტიდან 268 დევნილი ოჯახი გადაყვანილ იქნა რეაბილიტირებულ ბინებში; საქართველოს მასშტაბით რეაბილიტაცია ჩაუტარდა 38 ობიექტს; დევნილებისთვის შეძენილ იქნა 70 სახლი საკარმიდამო ნაკვეთით; სამინისტროს ბიუჯეტი გაორმაგდა - 25 მილიონიდან გახდა 50 მილიონი ლარი.

სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს: თბილისში 2 ობიექტზე - 225 დევნილი ოჯახისთვის, ქვემო ქართლში 7 ობიექტზე - 239 დევნილი ოჯახისთვის, სამეგრელოში 3 ობიექტზე - 383 დევნილი ოჯახისთვის, აჭარაში 1 ობიექტზე - 12 დევნილი ოჯახისთვის, იმერეთში 4 ობიექტზე - 332 დევნილი ოჯახისთვის, შიდა ქართლში 4 ობიექტზე - 384 დევნილი ოჯახისთვის, სამცხე-ჯავახეთში 2 ობიექტზე - 84 დევნილი ოჯახისთვის, რაჭაში 1 ობიექტზე - 8 დევნილი ოჯახისთვის. სულ საქართველოს მასშტაბით, ამ წლის ბოლოსთვის კიდევ 1667 დევნილი ოჯახი მიიღებს ბინას, რაც 5000-მდე დევნილია. საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები საქართველოს მასშტაბით კვლავაც მიმდინარეობს ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისსა და გორში.

**სოციალური უზრუნველყოფა**

განახლდა სოციალური პაკეტი, გაიზარდა სოციალური შემწეობა 28-დან 45 ლარამდე; ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 3156 ოჯახს, რამაც ჯამში შეადგინა 561,667 ლარი; ქირის თანხა გამოეყო 381 ოჯახს, რაც ჯამში 192,920 ლარს შეადგენს; 23,000-ზე მეტ ოჯახს, რომელთა რეიტინგული ქულა 70,001 -ზე ნაკლებია, გადაეცათ 200-ლარიანი ვაუჩერი ელექტროენერგიისა და გაზის მოხმარებული რაოდენობის საფასურის დასაფარად, რაზედაც ბიუჯეტიდან დაიხარჯა 4,700,000 ლარი; 24 დევნილ ოჯახს,

რომლებიც ცხოვრობენ მკაცრი ზამთრის ადგილებში, გაეწია 150 ლარის ფინანსური დახმარება შეშის შესაძენად; დასაქმებულ იქნა 300-მდე დევნილი.

**ეკომიგრანტების, ლტოლვილების, რეპატრიანტებისა და მიგრანტების დახმარება**

დევნილებთან ერთად, სამინისტროს ბენეფიციარები არიან ეკომიგრანტები, ლტოლვილები, რეპატრიანტები და მიგრანტები. ეკომიგრანტების საცხოვრებლით დაკმაყოფილებისათვის შეიქმნა რეგულაციები საცხოვრებელი სახლების განაწილების წესისა კრიტერიუმების შესახებ, რის საფუძველზეც 2013 წელს შესყიდული 33 საცხოვრებელი სახლის განაწილება განხორციელდა. ამასთან, ახალი რეგულაციით, სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს თავად მიეცემათ საშუალება, მოიძიონ საცხოვრებელი სახლი მათთვის ხელსაყრელ ადგილას, რომელსაც სამინისტრო გამოისყიდის და ეკომიგრანტ ოჯახს საკუთრებაში გადასცემს. 2013-2014 წლის განმავლობაში საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, 66 ოჯახი დაკმაყოფილდა.

2014 წლის მარტში სამინისტროს, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, „რეგიონალური განვითარებისა და სოციალური დახმარების ცენტრსა“ და „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, საიდანაც სამინისტროს ტრანშის სახით გამოეყოფა 550,000 შვეიცარიული ფრანკი ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი სახლების შესასყიდად. კანონში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე, თითოეულ ოჯახს მიეცემა საშუალება 20,000 ლარის ფარგლებში მოიძიონ საცხოვრებელი სახლი. თანხის ზედა ზღვრის დაწესებით გაიზარდა საერთო ჯამში შესასყიდი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა და ის შემდეგნაირად განაწილდა: სულ შესყიდულ იქნება, დაახლოებით, 50 საცხოვრებელი სახლი, აქედან, 23 სახლი აჭარის, 22 მესტიის მუნიციპალიტეტებში დაზარალებული ოჯახისთვის და 5 სახლი იძულებით გადაადგილებული ოჯახებისათვის.

2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე, სამინისტროს თავშესაფრის თხოვნით მიმართა 2119 ადამიანმა. ამავე პერიოდის განმავლობაში სამინისტრომ თავშესაფარი მისცა 114 პირს, ხოლო 427-ს უარი ეთქვა. რეგისტრაციაზე უარი ეთქვა 207 პირს, ვინაიდან არ აკმაყოფილებდნენ ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, 310 პირის საქმე შეწყდა საკუთარი განცხადების საფუძველზე, 336 პირის საქმე კი შეწყდა გამოუცხადებლობის გამო, რომელთა ძირითადმა ნაწილმა დატოვა საქართველო, ხოლო 812 პირი ელოდება გადაწყვეტილებას. თავშესაფრის მაძიებელთა ძირითადი ნაკადი მოდის ერაყიდან, სირიიდან და ირანიდან. თუმცა, უკრაინაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ამ ქვეყნიდანაც საგრძნობლად იმატა თავშესაფრის მაძიებელ პირთა რაოდენობამ. ძირითადად ესენი არიან უკრაინის ეთნიკურად ქართველი მოქალაქეები და ის პირები, ვისაც საქართველოში ჰყავთ ნათესავები.

2010 წელს გაიხსნა სამინისტროს თავშესაფრის მაძიებელ პირთა მარტყოფის მიმღები ცენტრი 60 ადამიანზე. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის ჰუმანიტარული დახმარების პროექტის ეგიდით,

იგეგმება მეორე კორპუსის მშენებლობის დაწყება, რომელიც გათვლილი იქნება 47 თავშესაფრის მაძიებელზე.

მუსლიმანი მესხებისათვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადების მიღების ვადა 2010 წლის 1 იანვარს ამოიწურა. სულ ქართულ მხარეს 5841-მა სრულწლოვანმა აპლიკანტმა მიმართა. აქედან, რეპატრიანტის სტატუსი 1349-ს მიენიჭა, 104-მა უკვე მიიღო პირობადებული (საქართველოს მოქალაქეობას მიიღებენ მას შემდეგ, რაც უარს იტყვიან მოქმედ მოქალაქეობაზე) მოქალაქეობა, ხოლო 54 საქმე პირობადებული მოქალაქეობის შესახებ, უახლოეს მომავალში გადაწყდება. საქართველოს მთავრობამ მიიღო ,,ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტატეგია".

ევროკავშირსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, სამინისტროს უკვე აქვს ხელშესახები შედეგები მიგრანტთა რეინტეგრაციის მიმართულებით. სამშობლოში დაბრუნებული მოქალაქეების სათანადო დახმარებისათვის გაიხსნა მობილურობის 4 ცენტრი - თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და თელავში. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიმართულებით, ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები 2014 წლის 10 თებერვლიდან 25 აგვისტოს ჩათვლით ასეთია: მობილურობის ცენტრებს თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში მიმართა მსოფლიოს 24 სხვადასხვა ქვეყნიდან დაბრუნებულმა 386-მა მიგრანტმა, მათგან 156-მა დააკმაყოფილა პროექტით განსაზღვრული კრიტერიუმები და დარეგისტრირდა ბენეფიციარად. 2014 წლის თებერვლიდან დღემდე, 26 ბენეფიციარს დაუფინანსდა მცირე ბიზნესი, ხოლო 4-ს - თვითდასაქმების პროექტი.

დონორთა დახმარებით მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ, აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ იმერეთის რეგიონში ხორციელდება 22 კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. დანიის ლტოლვილთა საბჭოს (DRC) მიერ კი ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში რეაბილიტაცია უტარდება ყოფილი საბავშვო ბაღის შენობას. ობიექტზე სულ 42 ბინაა. ზუგდიდის რაიონში შენდება 14 კოტეჯი დევნილი ოჯახებისათვის.

## 19. <u>განათლება და მეცნიერება</u>

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო სამინისტროს მიერ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ჩატარებული ანალიტიკური სამუშაოები, კვლევების შედეგები და კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და განათლების ექსპერტებთან, რის შედეგადაც შემუშავდა განათლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია. კერძოდ:

**ამოქმედდება მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სტანდარტის მიხედვით შემუშავებული სქემა.**

შემუშავდა მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი მოდელი, რომელიც ეფუძნება მასწავლებლის  პროფესიულ სტანდარტს. ეს არის ერთიანი, უწყვეტი სისტემა და მოიცავს მასწავლებლის ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს - თუ როგორი განათლებისა და კომპეტენციის მასწავლებელი უნდა მუშაობდეს სკოლაში, მასწავლებლების საუნივერსიტეტო მომზადების ახალ პროგრამებს, მასწავლებლის პროფესიაში შესვლის წესს და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ოთხდონიან სქემას, რომელიც განსხვავებით სერტიფიცირების ძველი ფორმატისაგან, გულისხმობს მასწავლებლის კომპლექსურ შეფასებას საგნის ცოდნის, პროფესიული უნარების, გაკვეთილზე პრაქტიკული საქმიანობისა და კლასგარეშე აქტივობების მიმართულებებით. მასწავლებლის პროფესიული განვითარების გეგმა დაფუძნებული იქნება მისი შეფასებისას გამოვლენილ ინდივიდუალურ  საჭიროებებზე.

სქემის ფარგლებში აგრეთვე დარეგულირდება მასწავლებლის სახელფასო და სამოტივაციო პაკეტი. მასწავლებლის ხელფასი ეტაპობრივად გაიზრდება 2015 წლიდან.

ამ მიმართულებით მომზადებულია საკანონმდებლო ინიციატივა და წარდგენილია პარლამენტში. 2015 წლიდან დაიწყება ახალი სქემის ეტაპობრივი დანერგვა.

**უსაფრთხო და ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს შექმნისათვის სასწავლო დაწესებულებებში განვითარდა სხვადასხვა სერვისი და გაიზარდა სწავლების ხელმისაწვდომობა.**

სწავლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები. ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელებით თითქმის 60%-მდე შემცირდა ოჯახის წლიური დანახარჯი ზოგად განათლებაზე. სკოლებში ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით 2014 წელს გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, მათ შორის:

სექტემბრიდან სკოლებში ამოქმედდება სამედიცინო კაბინეტი  საპილოტე რეჟიმში;

ფსიქოლოგის მომსახურებაზე 700-ზე მეტი სკოლის მოთხოვნის საფუძველზე დაიგეგმა ფსიქოლოგიური ცენტრების საქმიანობის გადახედვა-გაფართოება;

ყველა სკოლაში, სადაც არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, მუშაობს სპეციალური მასწავლებელი და დამხმარე პედაგოგი. 2014 წლის სექტემბრიდან ასეთი სკოლა 900-ზე მეტია. სკოლების მოთხოვნის შესაბამისად გაიზარდა ინტეგრირებული კლასების რაოდენობა;

მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის პროგრამის პილოტირება წარმატებით დასრულდა და ამჟამად პროგრამაში ჩართულია 500 სკოლა;

გრძელდება უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების პროგრამა. 2014 წლის სექტემბრიდან 500,000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით;

სასკოლო ავტობუსები მოემსახურება 1000-ზე მეტ სკოლას. შესაბამისად ტრანსპორტის მომსახურებით ისარგებლებს 53,000-ზე მეტი მოსწავლე;

პროფესიულ განათლებას საჯარო კოლეჯებში სრულად აფინანსებს სახელმწიფო. უფასო პროფესიული განათლებით 2013-2014 სასწავლო წლებში ისარგებლა 12 000-მდე პროფესიულმა სტუდენტმა. ხელმისაწვდომი გახდა ინკლუზიური პროფესიული განათლება;

აგრარული მიმართულებების დამატებით გაიზარდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პრიორიტეტული საბაკალავრო პროგრამების რაოდენობა 17-დან 21-მდე. 2014-2015 სასწავლო წლის მიღებაზე უფასო სახელმწიფო პროგრამებით ისარგებლებს 3345 სტუდენტი, რაც 1000 სტუდენტით მეტია შარშანდელ მაჩვენებელზე;

დოქტორანტების დაფინანსების პროგრამის დახვეწისა და განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 2,100,000 ლარი. 2014-2015 სასწავლო წელს დოქტორანტები ჩაერთვებიან გერმანიის იულიხის ცენტრისა და ქართული უნივერსიტეტების კონსორციუმის მიერ განხორციელებულ პროგრამაში და მიიღებენ საერთაშორისო კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს (დიპლომს);

2013-2014 სასწავლო წელს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მიიღო 471 სტუდენტმა, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა დაახლოებით 900,000 ლარი.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა სახელმწიფოს დაფინანსებით წლის ბოლომდე დაასრულებს 2400 მსმენელის გადამზადებას, მათ შორის 400 მსმენელი გაივლის დარგობრივ კურსებს სახელმწიფო ადმინისტრირების კუთხით, 2000 მსმენელი კი გაივლის ქართული ენის კურსებს.

**ამოქმედდება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ახალი სქემა. გაგრძელდება სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ახალი სკოლების მშენებლობა:**

საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო სკოლების ინფრასტრუქტურის სტანდარტის შემუშავება. ასევე შემუშავების პროცესშია სკოლების ტექნიკური ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის სისტემა, რომელსაც განათლების სამინისტროსთან ერთად ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA-Georgia) განახორციელებს.

მიმდინარეობს რეაბილიტაციის 5-წლიანი სამოქმედო გეგმის შესრულება. 2013 წელს განხორციელდა 700-მდე სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს 400-მდე სკოლის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2014 წელს 9 ახალი სკოლიდან დასრულდება 7 სკოლის მშენებლობა. ამავე წელს დაიწყება 8 ახალი სკოლის მშენებლობა. აქტიურად მიმდინარეობს სკოლების აღჭურვა საჭირო ინვენტარით. 2014 წელს აღიჭურვება 1500-ზე მეტი სკოლა.

სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ტექნიკური, სამედიცინო, სოხუმის, გორის, სამცხე-ჯავახეთისა და ზუგდიდის უნივერსიტეტები. პროგრამებისათვის გამოიყო ჯამში 15,5 მლნ ლარი. დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნა აგრარული მიმართულება, რისთვისაც დაიწყო ინფრასტრუქტურის მოწყობა და ლაბორატორიებით აღჭურვა. სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ მოეწყობა საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც აღჭურვილი იქნება უახლესი თანამედროვე აპარატურით. სამცხე-ჯავახეთში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ახალქალაქის ფილიალის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს. სტუდენტური საერთო საცხოვრებელი მოეწყობა ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში. მოხდება გორისა და სოხუმის უნივერსიტეტების სასწავლო კორპუსების რეაბილიტაცია.

შეფასდა სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის განახლების საჭიროებები. დაფინანსდა 10 სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლის სარეაბილიტაციო პროექტი, რის შედეგადაც, სახელმწიფო კოლეჯებმა წარმატებით გაიარეს სავალდებულო ავტორიზაციის პროცედურა.

**2015 წლიდან დაიწყება და 2017 წელს დასრულდება განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და ახალი სახელმძღვანელოების კორპუსის შექმნა.**

დასრულდა ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის რევიზია, რომელიც დაეფუძნა განათლების ახალ სტრატეგიას, სხვადასხვა ქვეყნების მოდელებთან შედარებით ანალიზს, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში გამოვლენილი სისტემური პრობლემების ანალიზს და 2014 წელს განხორციელებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის შედეგებს. 2014 წლის ოქტომბერ-ნოემბერში იგეგმება, გრიფირების ახალი წესის შესაბამისად,

სახელმძღვანელოების  კონკურსის გამოცხადება, რომლის შედეგად შეიქმნება დაწყებითი საფეხურებისათვის ახალი სახელმძღვანელოები.

2014 წლის სექტემბრიდან  დაიწყება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი საბაზო და საშუალო საფეხურებზე. მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება ამ საფეხურების საგნობრივი სტანდარტის რევიზიისათვის. 2015 წლის პირველ კვარტალში დასრულდება საბაზო საფეხურის რევიზია.

2014-2015 აკადემიური წლისათვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში უკვე შესულია დაგეგმილი ცვლილებების ნაწილი: მეორე უცხო ენის სწავლება სავალდებულო გახდა მე-5 კლასიდან, ნაცვლად მე-7-კლასისა; განისაზღვრა სადამრიგებლო საათის თემატიკა დაწყებით კლასებში, ის ორიენტირებული გახდა წიგნიერების დონის ამაღლებასა და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე;  საბაზო საფეხურზე  სადამრიგებლო საათი კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის უნარების განვითარებას დაეთმობა. სექტემბრიდან საშუალო საფეხურზე დაიწყება მეწარმეობის კურსის პილოტირება 100 საჯარო სკოლაში; აბიტურის საათის შინაარსისა და მიმართულების არჩევის უფლება მიეცა სკოლას მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე; სასწავლო გეგმის მიხედვით განისაზღვრა დამრიგებლის მშობელთან ურთიერთობის სავალდებულო ფორმატი და შინაარსი; ამოქმედდება მშობლების განათლების პროგრამა.

**2014 წლიდან დაიწყება ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება და განვითარება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.**

პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების ქსელის გაძლიერების მიზნით დაფუძნდა  2 სასწავლებელი თბილისსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში: ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი და თბილისის ხელოვნების კოლეჯი. მსოფლიო ბანკის დახმარებით შემუშავებული სასწავლებლების განვითარების გეგმის შესაბამისად, წლის ბოლომდე დაიწყება ამ სასწავლებლების რეაბილიტაცია, რისთვისაც 2014 წლის ბიუჯეტიდან დაიხარჯება 3 მლნ ლარი. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ბორჯომში პროფესიული სასწავლებლის დაფუძნებაზე.

აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ საქართველოს მთავრობასთან 2013 წელს გაფორმებული მეორე კომპაქტის ფარგლებში, პროფესიული განათლების მიმართულებით, დაგეგმილია გრანტების გაცემა პროფესიული განათლების პროვაიდერებისათვის. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებშიც აქცენტი კეთდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო და ტექნოლოგიური პროფესიების განვითარებაზე. მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ინდუსტრიასთან პარტნიორობას, რაც მომავალში უზრუნველყოფს მოთხოვნადი პროფესიების მქონე სამუშაო ძალის დასაქმებას კერძო სექტორში. აღნიშნული მიმართულებით მოხდება 16 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება.

**2014 წელს დაიწყო და 2017 წელს დასრულდება ახალი პროფესიული სტანდარტებისა და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება.**

საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა საფინანსო ხელშეკრულებას ,,დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების" პროგრამის განხორციელების თაობაზე. საქართველო ევროკავშირისგან 4 წლის განმავლობაში მიიღებს 27 მილიონ ევროს პროფესიული განათლების სფეროს მოდერნიზაციისა და დასაქმების ხელშემწყობი ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზნით. დახმარება გამიზნულია ევროკავშირის მხარდაჭერით შემუშავებული და პრემიერ-მინისტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის განხორციელებისათვის. აღნიშნული სტრატეგიის შესაბამისად მიღწეული შედეგები ასეთია:

2014 წლის ბოლომდე დასრულდება 165 პროფესიული სტანდარტის გადამუშავება ევროკავშირის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რაც გულისხმობს დამსაქმებელთა ჩართულობასა და მათი მოთხოვნების გათვალისწინებას;

წლის ბოლომდე დასრულდება 50 ახალი მოდულის პილოტირება. დასრულებული მოდულური პროგრამის აპრობაცია წარმატებით მიმდინარეობს პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად (UNDP, SIDA);

მომზადდა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია, მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბებაზე.

**განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა**

სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით მომზადდა სამოქმედო გეგმა განათლების სისტემის ყველა დონის ინსტიტუციონალური ავტორიზაციის და აკრედიტაციისა, რომლის დანერგვაც ეტაპობრივად დაიწყება 2015 წლიდან; სისტემა გულისხმობს შედეგზე ორიენტირებულ შეფასებასა და ხარისხის მონიტორინგის ქმედითი მექანიზმების დანერგვას:

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწის მიზნით მომზადდა აკრედიტაციის პროცესის ინტერნაციონალიზაციის პლატფორმა, რაც გაზრდის სანდოობის ხარისხს და ხელს შეუწყობს საქართველოში გაცემული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების საერთაშორისოდ ცნობასა და აღიარებას. პროექტის განსახორციელებლად მოპოვებულ იქნა საერთაშორისო დონორის დაფინანსება;

მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით სკოლების ავტორიზაციის პროცესი შეიცვლება სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული სისტემით;

პროფესიულ განათლებაში არსებული პროფესიული სტანდარტების განახლებისა და მოდულური მიდგომის დანერგვის შესაბამისად შემუშავდა პროფესიული განათლების

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწის კონცეფცია, მომზადების პროცესშია სამოქმედო გეგმა.

**ჩატარდა წინასწარი სამუშაოები და ამოქმედდა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) კომპაქტი, რომლის მიხედვითაც მიღწეულია პირველი შედეგები. ჩამოყალიბდა 3 ქართული უმაღლესი სასწავლებლის კონსორციუმი და 2015 წლიდან დაიწყება მიღება ზუსტი, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულებებით.**

საქართველოს მთავრობასა და აშშ-ის სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (პროექტი: „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020“), რომლის ფარგლებშიც, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კონსორციუმის სახით (კონსორციუმში შედიან: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) განახორციელებს საბაკალავრო პროგრამებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, საინჟინრო და ტექნოლოგიურ სპეციალობებში.

შეთანხმდა თანამშრომლობის პირობები და განისაზღვრა, რომ პროექტი ითვალისწინებს ჩამოთვლილი პროგრამების ამერიკულ აკრედიტაციას, რის შედეგადაც კურსდამთავრებულებს მიეცემათ ABET-ის მიერ აკრედიტირებული ქართული და ამერიკული დიპლომები.

დაწყებულია პროგრამის განხორციელებისათვის უნივერსიტეტების მომზადება. სტუდენტების პირველი ნაკადის მიღება დაგეგმილია 2015 წლის სექტემბრიდან. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ მოხდება 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება. ნავარაუდევია ყოველწლიურად 500 სტუდენტის მიღება.

**ქართველი მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი გახდა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები.**

საქართველოს ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი ჩართულია „ელსევიერის“ უმსხვილეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში. პროექტი სრულად არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ. შესყიდული მომსახურება, ბაზებით სარგებლობასთან ერთად, მოიცავს „ელსევიერის“ მიერ ქართველი მეცნიერებისათვის სამომხმარებლო მომზადებას, რაც გულისხმობს საძიებო სისტემების ოპტიმალურად გამოყენებას, საკუთარი პუბლიკაციების განთავსებას. ეს ხელს შეუწყობს ქართველი მეცნიერების პროდუქციის ხილვადობას და მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას. ,,ელსევიერის” ელექტრონული ბაზის მეშვეობით ქართველი მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი გახდა:

- მთელ მსოფლიოში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა, არა მხოლოდ მოკლე ანოტაციების, არამედ შრომების სრული ვერსიების დონეზეც;
- ციტირებისა და სხვა ბიბლომეტრული ინფორმაციის მოპოვება.

**მიღწეულია შეთანხმება და შესაბამისად გაფორმდება ხელშეკრულება ქართულ-გერმანულ გრძელვადიან სამეცნიერო თანამშრომლობასთან დაკავშირებით (იულიხის ცენტრი), რაც გულისხმობს ერთობლივი სადოქტორო ხარისხის მინიჭებასაც.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის იულიხის კვლევით ცენტრს (FZJ) შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება უკვე გაფორმდა. შედეგად:

მნიშვნელოვნად გაიზრდება ქართველი სტუდენტებისა და მეცნიერების ჩართულობა იულიხის კვლევით ცენტრში მიმდინარე კვლევებში, რაც ქართველ სტუდენტებს საშუალებას მისცემს ეზიარონ საერთაშორისო გამოცდილებას, დაამყარონ ურთიერთობა თავიანთ კოლეგებთან და გახდნენ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების სრულფასოვანი წევრები;

სამი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ კვალიფიკაციის დამადასტურებელი საერთაშორისო დოკუმენტი;

გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრი და საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმი ხელს შეუწყობენ ქართველი მეცნიერების საქართველოში დაბრუნებას და უზრუნველყოფენ მათთვის ლაბორატორიების აღჭურვასა და სამუშაო პირობების შექმნას.

**სრულდება მოლაპარაკებები ატომური კვლევების ევროპულ ორგანიზაცია - CERN-თან (შვეიცარია, ცერნი) ასოცირებული წევრობის შესახებ.**

**CERN**-თან (შვეიცარია, ცერნი) ასოცირებული წევრობის შესახებ მოლაპარაკებების პროცესში, სექტემბერში დაგეგმილია წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტი, სადაც შედგება შეთანხმება ასოცირებული წევრობისათვის სამოქმედო გეგმის შესახებ.

2014 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით და აშშ-ის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა მეცნიერების აუდიტი. საქართველოს მონაცემები შედარდა აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მონაცემებს, ჩატარდა შედარებითი ანალიზი, მოხდა საქართველოში სამეცნიერო პოტენციალის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და რისკების ანალიზი. კვლევამ აჩვენა, რომ მინიმალური ფინანსური რესურსით საქართველომ შეძლო მსოფლიო კლასის მეცნიერების კლასტერების შენარჩუნება ფუნდამენტურ მეცნიერებაში. კერძოდ, აუდიტის შედეგები საქართველოს სამეცნიერო პროდუქტის მაღალ ხილვადობასა და ციტირების მაღალ მაჩვენებლებზე მიუთითებს.

საქართველოში წარმოებული კვლევის 80% უცხოელი და ქართველი მეცნიერების ერთობლივი პროექტების შედეგია. საქართველოს ძირითადი პარტნიორი ქვეყნები ერთობლივი კვლევების განხორციელების მხრივ არის აშშ, გერმანია, რუსეთი და იტალია. მეცნიერების დარგები, სადაც ქართველი მეცნიერები საერთაშორისო დონის კვლევებს აწარმოებენ არის ფიზიკა, ასტრონომია, მათემატიკა და გარკვეულწილად მედიცინა.

ატომური კვლევების ევროპულ ორგანიზაცია „ცერნში“ დღეს 35 ქართველი მეცნიერი მუშაობს.

სამეცნიერო სფეროში განხორციელებული სხვადასხვა მიმართულების აუდიტის შედეგებისა და კვლევითი დაწესებულებების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შეფასების საფუძველზე, შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით იქმნება კვლევისა და ინოვაციების საბჭო. საბჭოს მიზანია, მიიღოს გადაწყვეტილებები საქართველოში მეცნიერების აღდგენა-განვითარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

**განათლების საერთაშორისო ცენტრი**

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და მაღალი ხარისხის უცხოური განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის. პრემიერ-მინისტრის ინოვაციური პროექტების ფარგლებში, 2014 წელს დაარსებული „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ მიზანია სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება. ასევე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საქართველოს რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის უცხოური განათლების მიღების ხელშეწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი იძლევა შესაძლებლობას საქართველოს მოქალაქეებმა მიიღონ საუკეთესო საერთაშორისო განათლება და სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ მოახდინონ მიღებული ცოდნის რეალიზება სახელმწიფოს სამსახურში. „განათლების საერთაშორისო ცენტრი“ უზრუნველყოფს მსოფლიოს წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო, სადოქტორო, სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების მრავალპროფილიანი პროგრამების დაფინანსებას, აგრეთვე უცხო ქვეყნების სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და პრაქტიკოსების საქართველოში მოწვევას. მიმდინარე წელს ,,განათლების საერთაშორისო ცენტრის” პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 78 აპლიკანტი.

**სოციალურად დაუცველ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი**

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით თბილისში დაიწყო სოციალურად დაუცველი, რეგიონებიდან ჩამოსული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისათვის 300-ადგილიანი, თანამედროვე და კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა. საერთო საცხოვრებელი სრულად ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სოციალურად დაუცველ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი პირველი ნაკადის მიღებას 2015 წლის სექტემბრიდან შეძლებს.

# 20. <u>კულტურა</u>

## ხელოვნება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეების თავისუფალ საქმიანობას კულტურის სფეროში და იცავს შემოქმედებით პროცესებში ჩაურევლობის პრინციპს სახელმწიფოს მხრიდან. ამავე დროს ხელს უწყობს კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნებას ფესტივალების, კონკურსების, კონცერტების, გამოფენების, ახალი დადგმებისა თუ გამოცემების მხარდაჭერით, ეროვნულ უმცირესობათა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემოქმედებითი აქტივობების მხარდაჭერით, მათი მიღწევების პოპულარიზაციით.

საანგარიშო პერიოდში ქართული ლიტერატურის, კინოს, სახვითი და მუსიკალური ხელოვნების  მიმართულებით მომზადდა და გამოიცა 23 დასახელების წიგნი და ალბომი (მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), გაიმართა 9 ფესტივალი, განხორციელდა 7 ახალი დადგმა, გამოიცა ჟურნალების - „მუსიკა“ და „თეატრი და ცხოვრება“ 3-3 ნომერი, ჟურნალების - „არილი“ და „საუნჯე“ 6-6 ნომერი, სხვა ლიტერატურული ჟურნალების 4 ნომერი, გაზეთების „ვრასტანი“, „გურჯისტანი“, „სვობოდნაია გრუზია“ და „ვეჩერნი თბილისი“ 4-4 ნომერი, ხელი შეეწყო ქურთული ცეკვის აღორძინებას, ხელით ნაქსოვი აზერბაიჯანული ხალიჩების ქსოვის ტექნოლოგიის შესწავლას, უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის საქმიანობას, ყრუთა კავშირის პროექტს - „ჟესტური სამყარო“ და სხვა 18 დასახელების პროექტს.

თანამედროვე ქართული ხელოვნების მიღწევები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელოვნებო განათლების განვითარებაზე.  ამ მიმართულებით ხელი შეეწყო 4 უმაღლესი სასწავლებლის 43 მაგისტრანტს სამაგისტრო პროგრამის საფასურით, რეგიონებიდან შერჩეულ 10 ნიჭიერ მოსწავლეს სამუსიკო სემინარიაში სწავლაში პანსიონის ხარჯით, 9 სტუდენტს უცხოეთის წამყვან სასწავლებლებში სწავლის საფასურით, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციას და სხვ.

## კულტურული მემკვიდრეობა

2014 წელი  კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განხორციელებული და მიმდინარე მნიშვნელოვანი ღონისძიებებით გამოირჩევა. აქტიურად და ნაყოფიერად წარიმართა საქართველოს  კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვისა და რეაბილიტაცის პროცესი.  განისაზღვრა პრიორიტეტები, რის საფუძველზეც მიმდინარეობს დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

**მუცოს სარეაბილიტაციო პროექტი**

ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ სოფელს და მის უნიკალურ არქიტექტურას განადგურების საფრთხე აღარ ემუქრება - საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მუცოს 3-წლიანი სარეაბილიტაციო პროექტი 2014 წლის აგვისტოში დაიწყო.

ამ ეტაპზე მუცოში უკვე დასრულებულია ტექნიკური და ყოფითი ინფრასტრუქტურის მოწყობა. მუცოს რეაბილიტაციაზე მომუშავე ჯგუფებისათვის ადგილზე აშენებულია საცხოვრებელი კოტეჯები, ადმინისტრაციული შენობა, სასადილო და მედპუნქტი, დამონტაჟებულია 70-მეტრიანი ბაგირი, რომელიც ურთულეს სარეაბილიტაციო ობიექტზე - სალ კლდეზე სამშენებლო მასალის სხვადასხვა წერტილში გადატანას უზრუნველყოფს.

პროექტის მიხედვით, სარეაბილიტაციო პროცესი ტრადიციული მასალით ხორციელდება - ფიქალის მასიური ქვები ამავე მხარეში მოიპოვება.

მომავალი წლისთვის დაგეგმილია ელექტროსადგურის მოწყობა, რომელიც 2015 წლის სეზონიდან მუცოსთვის დენის მომარაგების უწყვეტი წყარო გახდება.

მსგავსი სირთულისა და მასშტაბის პროექტი საქართველოში არასოდეს განხორციელებულა. მუცოს გადარჩენის პარალელურად, უკვე დაგეგმილია ადგილზე მუცოს მუზეუმ-ნაკრძალის შექმნა და ამოქმედება, რომელიც ქვეყნის განახლებული მუზეუმ-ნაკრძალების მსგავსად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ სისტემაში გაერთიანდება.

**ვარძიის კომპლექსის გადარჩენის 4-წლიანი პროექტი**

2014 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ვარძიის კომპლექსისათვის 570 000 ლარის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით დაიწყო უნიკალური კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის 4-წლიანი პროექტი, რომლის I ეტაპზეც დაგეგმილია მულტიდისციპლინარული კვლევები და მთელი რიგი სამუშაოები: შემუშავდება ვარძიის კომპლექსის კლდის დაზიანებათა და ქვათაცვენის რისკების პირველადი რუკები; მოხდება საკონსერვაციო საჭიროებების პირველადი შეფასება; ვარძიის გადარჩენის კონკრეტული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება ფერდობებზე წყლის მასების ჩამოდინება და შესაბამისად მოხდება ქვათაცვენის რისკების შემცირება.

კვლევით სამუშაოებს ხელმძღვანელობას და კოორდინირებას გაუწევს პროფესორი კლაუდიო მარგოტინი, იტალიის გეოლოგიური კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

იუნესკოს კონსულტანტი, იაპონიის კოიოტოს უნივერსიტეტის მეწყერების საერთაშორისო კონსორციუმის ვიცე-პრეზიდენტი;

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ვარძიის ინფრასტრუქტურის მოწყობა და კომპლექსის დაზიანებული წყალამრიდი არხებისა თუ დამცავი კედლების რეაბილიტაცია.

ვარძიის კლდეში ნაკვეთ კომპლექსზე ვიზიტორების უსაფრთხოების დასაცავად, ასევე ძეგლის მთლიანობის შესანარჩუნებლად მოხდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის, მათ შორის: სავალი ბილიკების, კარიბჭის, ღობეების, მოაჯირების, კიბეებისა და კომპლექსის განათების მოწესრიგება;

სამუშაოებში აქტიურად ჩაერთვებიან ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტები, რაც ხელს შეუწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

**ვარძიის სამონასტრო კომპლექსის დაცვისა და მისი ისტორიულ-კულტურული პოტენციალის გამოვლენის მიზნით:**

- მზადდება ხერთვისი-ვარძიის კულტურული ლანდშაფტის მართვის გეგმა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა კომპლექსის აზომვითი სამუშაოები და დეტალური სკანირება 3D სკანერით;
- ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ,,ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის კონსერვაციის გეგმისა და ქვათაცვენის შეჩერების გადაუდებელი ღონისძიებების შემუშავების შესახებ'';
- დასახულია ძეგლის კომპლექსური კონსერვაციის გეგმის შემუშავება, რაც, თავის მხრივ, ძეგლის მართვის გეგმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია;
- კურტოს ხელოვნების ინსტიტუტის (Courtauld Institute of Art, London) კედლის მხატვრობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს ვარძიის კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის უნიკალური მხატვრობის საკონსერვაციო მდგომარეობის დიაგნოსტიკა - წინასაპროექტო კვლევა და გადაუდებელი გამაგრებები შემდგომი კონსერვაციის მიზნით.

**მომზადდა კულტურული მემკვიდრეობის არაერთი ძეგლის რეაბილიტაციის საპროექტო და წინასაპროექტო დოკუმენტაცია:**

- მცხეთის კულტურული ლანდშაფტის კვლევა, მიმდინარე და დაგეგმილი ახალმშენებლობების ზეგავლენის შეფასებისა და ლანდშაფტის დაცვის, რეაბილიტაციისა და განვითარების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება;
- უჯარმის ციხე-ქალაქის კვლევითი-საფიქსაციო სამუშაოები და რეაბილიტაცია-კონსერვაციის პროექტი;
- სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის პროექტი.

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის მიზნით მიმდინარეობს წინასაპროექტო სამუშაოები შემდეგი ძეგლებისთვის:**

- ბოლნისის სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა გეოფიზიკური მეთოდით;
- თელავი - დაზიანებული ისტორიული შენობების კვლევა-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- ზუგდიდი - დადიანების სასახლის კვლევა-პროექტირება;
- დუშეთის მუნიციპალიტეტი - შატილის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
- დუშეთის მუნიციპალიტეტი - სოფელ მუცოს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ძეგლის სკანირება;
- მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის შენობის ადაპტაცია-განვითარების პროექტი;
- ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის რეაბილიტაციის პროექტი.

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელდა სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები:**

- თბილისში სურბ ნშანის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მოწესრიგდა მცხეთის ჯვრის შიდა და გარე განათების სისტემა.

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით მიმდინარეობს შემდეგი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია:**

- ზემო სვანეთი, უშგულის თემი - სოფელ ჩაჟაშის ნაგებობების რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- დუშეთის მუნიციპალიტეტი - სოფელი ფუძნარის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები (III ეტაპი);
- თბილისი - ანჩისხატის ტაძრის რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- გორის მუნიციპალიტეტი - ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ახალციხის მუნიციპალიტეტი - საფარის მთავარი ტაძრისა და სამრეკლოს რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - გეგუთის სასახლის კონსერვაცია (I ეტაპი);
- მესტიის მუნიციპალიტეტი - სვანური კოშკების რეაბილიტაცია;
- თბილისი - მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის ფასადების რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- მცხეთა, არმაზის-ხევი - პიტიახშთა რეზიდენციის აბანოს კონსერვაცია;
- თბილისი - მწერალთა სახლის რეაბილიტაცია;
- სენაკის მუნიციპალიტეტი - ნოქალაქევის სამეფო აბანოს კონსერვაცია;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტი - სქურის რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- მცხეთა - ბებრისციხის სუბსტრუქციის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი).

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა და კონსერვაცია**

მიმდინარეობს შემდეგი ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა:

- მცხეთა - ბაგინეთი;
- მცხეთა - არმაზისხევის კომპლექსი;
- სოფელი ნოქალაქევის (სენაკის მუნიციპალიტეტი) ორმოცმოწამეთას ტაძარი;
- კასპის მუნიციპალიტეტი - გრაკლიანი გორის სატაძრო კომპლექსი.

**საქართველოს მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-კონსერვაცია**

ბოლო 2 წლის განმავლობაში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა სხვადასხვა სახეობის 600-ზე მეტ ექსპონატს. რესტავრაციისათვის შეირჩა საქართველოს სხვადასხვა რაიონის 14 მუზეუმში დაცული განსაკუთრებით დაზიანებულ ექსპონატები.

**საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვა ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და საქართველოს ხელოვანთა საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ჩართვის მიზნით.

მიმდინარეობს მოლაპარაკება „Creative Europe"-ის სამუშაო ქსელთან საქართველოს ოფიციალური მიერთებისათვის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. პროგრამაში ჩართვა ხელს შეუწყობს ხელოვანთა მობილურობას, მათ სრულფასოვან მონაწილეობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ პროექტებში. აღნიშნულ პროგრამაში საქართველოს ჩართვა ხელს შეუწყობს ქართული კულტურის ინტეგრირებას ევროპულ სივრცესთან.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ჩატარდა კულტურის დღეები გერმანიაში, ბერლინში. კერძოდ, ევროპული კულტურის მუზეუმში, ჩატარდა ქართული ღვინის კულტურის გამოფენა, ანსამბლის „შინის", სახელმწიფო კამერული ორკესტრის „სიმფონიეტას" და ანსამბლ „სულიკოს" კონცერტები, აგრეთვე სსიპ ჩრდილების სახელმწიფო პროფესიული თეატრის სპექტაკლი.

სამინისტროს მხარდაჭერით სსიპ „მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა" 2014 წლის ივლის-აგვისტოში მონაწილეობა მიიღო ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალში.

სამინისტროს მხარდაჭერით ირლანდიაში, დუბლინში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ ,,Dublin Port's Riverfest"-ში მონაწილეობა მიიღეს სსიპ საქართველოს ხალხური

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა ,,რუსთავმა“, სსიპ ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა დასმა, სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა და ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციამ ,,შავფაროსნებმა“.

განხორციელდა პროექტი - „One Caucasus“, რომლის მიზანია შექმნას დიალოგის და თანამშრომლობის უსაფრთხო გარემო და პირობები საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს შორის, საერთაშორისო პროფესიონალურ-კულტურული ინიციატივების ფარგლებში (ამიერკავკასიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების მუსიკალური ანსამბლების და მსახიობების მონაწილეობით). პროექტი ითვალისწინებს ქვემო ქართლში საერთაშორისო პროფესიონალურ-კულტურული ღონისძიებების ჩატარებას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას.

2014 წლის მაისში განხორციელდა პროექტი - „ქოლგა თბილისი ფოტო“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოფენა ევროპელი და ამერიკელი ფოტოგრაფების მოწვევით, რომლებმაც ჩაატარეს საგანმანათლებლო შეხვედრები თანამედროვე ფოტოგრაფიით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან.

2014 წლის მაის-ივნისში გაიმართა თბილისის რიგით მეხუთე საიუბილეო საერთაშორისო ფოტოფესტივალი - ,,Tbilisi Photo Festival - 2014". თავისი არსებობის ხუთი წლის განმავლობაში ფოტოფესტივალი რეგიონალური მნიშვნელობის კულტურულ ღონისძიებად იქცა და ყოველ წელს, გახსნის კვირეულზე, ფართო რეგიონიდან იზიდავს ფოტოგრაფიისა და ზოგადად ვიზუალური ხელოვნების მოყვარულებსა და პროფესიონალებს, რაც, თავის მხრივ, საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარებასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი - „რეგიონალური თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის“. პროექტის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მემკვიდრეობის სექტორის მმართველობის დახვეწა. პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა პედაგოგების სახელმძღვანელოს - „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა“ - 2500 ეგზემპლარი, რომლითაც მომარაგდება 2300 საჯარო სკოლა, ეროვნული მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში შემავალი მუზეუმები და მუზეუმ-ნაკრძალები.

სამინისტრო მხარს უჭერს ააიპ „შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებისა და განვითარების ფონდს“, რომელიც მართავს ძმები ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების მე-6 საერთაშორისო ფესტივალს - "FEST I NOVA 2014". პროექტი მნიშვნელოვანია თანამედროვე ხელოვნების, ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურების თვალსაზრისით.

სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა ააიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროექტზე - „ქართული ხალხური სიმღერები ბერლინის ფონოგრამარქივიდან: გეორგ შუნემანისა და ადოლფ დირის აუდიოჩანაწერები პირველი მსოფლიო ომის ტყვეებისაგან“, რომელიც ხორციელდება ბერლინის ფონოგრამარქივთან ერთად. პროექტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ჩანაწერების ამ კოლექციაში 90-ზე მეტი აქამდე უცნობი ქართული ხალხური სიმღერის ან ნაცნობი სიმღერის ახალი ვერსიის აღმოჩენა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, საფრანგეთში, პარიზში, მაიოლის მუზეუმში 2014 წლის 17 სექტემბრიდან 2015 წლის 15 თებერვლამდე გაიმართება ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის ნამუშევრების რეტროსპექტივა. ნამუშევრები, რომლებიც პარიზში გამოიფინება, ავტორის საფრანგეთში მოღვაწეობის პერიოდშია შექმნილი.

2014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილია ქართული კინოს ყველაზე მასშტაბური ღონისძიებების ჩატარება. იგეგმება 45-50 ქართული ფილმის ჩვენება 3 თვის განმავლობაში. ამერიკული მხრიდან ამ პროექტის ორგანიზატორები არიან თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი MoMa და UC Berkley Pacific Film Archive.

სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი - „CineDOC-Tbilisi საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი სამხრეთ კავკასიაში“, რომლის მიზანია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემოქმედებითი დოკუმენტური კინოს პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია როგორც შეხვედრები, მასტერკლასები, სემინარები და დისკუსიები, ისე საერთაშორისო კინოინდუსტრიის, ტელევიზიებისა და ფონდების წარმომადგელების მოწვევა.

**რეგიონალური პროექტები და ღონისძიებები**

საქართველოს რეგიონებში კულტურული ცხოვრების აღორძინებისა და განვითარების მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა პროექტები:

დასრულდა 9 მუნიციპალიტეტში (ლაგოდეხი, თიანეთი, ხაშური, ნინოწმინდა, ახალგორი, ონი, ოზურგეთი, ხარაგაული, დუშეთი) კულტურის ობიექტების კინოჩვენებისათვის საჭირო ტექნიკური აპარატურით აღჭურვა. რეგულარული კინოსეანსების გამართვისათვის მუნიციპალიტეტებს გადაეცათ 70-მდე მხატვრული და დოკუმენტურ-საგანმანათლებლო ფილმი.

მიმდინარეობს მეორე ეტაპის სამუშაოები დაბა თიანეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურის პარკში არსებული კინოთეატრის აღდგენისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის.

ფოლკლორული ანსამბლების საქმიანობის ხელშეწყობის, სახელოვნებო-სამუსიკო სკოლების, კულტურის ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების

მიზნით, შეძენილია და 23 მუნიციპალიტეტის 27 ფოლკლორულ ანსამბლს გადაეცემა ხალხური მუსიკალური საკრავები; 8 მუნიციპალიტეტის 10 სამუსიკო-სახელოვნებო სკოლა და 8 მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული 8 საესტრადო-მუსიკალური ჯგუფი აღიჭურვება კლასიკური და საესტრადო მუსიკალური ინსტრუმენტებით.

დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში (მეტეხი, გორი, წილკანი, თელიანი, შავშვები, სკრა, კარალეთი, ხაშური, მოხისი, ახალსოფელი, წეროვანი, კოდა) სახელოვნებო სკოლების ფუქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დასაქმდა 76 დევნილი პედაგოგი და 1200-მდე დევნილი ბავშვი გადის უფასო სწავლებას.

რეგიონებში კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციისა და სახელოვნებო სამუსიკო სკოლების პედაგოგთა და მოსწავლეთა მეთოდური დახმარების მიზნით, 95 სამუსიკო და სახელოვნებო სკოლის 1000-მდე პედაგოგისათვის განხორციელდა ტრენინგ-სემინარები სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლების მიერ ოთხ სამუსიკო სასწავლო დისციპლინაში; პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის ჩატარდა მასტერკლასები.

რეგიონების სამოყვარულო თეატრალური დასებისა და სტუდიების ხელშეწყობის მიზნით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარში ჩატარდა თოჯინების სახალხო თეატრების პირველი ფესტივალი - „ტიკინები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თოჯინების სახალხო თეატრებმა საქართველოს ათი მუნიციპალიტეტდან.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა მურმან ჯინორიას მონო-სპექტაკლი და ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის სპექტაკლი, რომელიც მიეძღვნა ქართულ-ებრაულ 26-საუკუნოვან მეგობრობას.

საქართველოს რეგიონებში „ჩემი საქართველო აქ არის“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 30 გაცვლითი კონცერტი.

**პოლიტიკა**

2014-2015 წლებში კულტურის პოლიტიკის შემუშავება აღიარებულ იქნა პრიორიტეტულ მიმართულებად. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მუშაობს კულტურის პოლიტიკის შემუშავების სტრატეგიაზე. ამ დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდება მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა. კულტურის პოლიტიკის შემუშავების პროცესში საქართველოს მთავრობას დახმარებას უწევს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამა.

**კანონმდებლობა**

კულტურის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაწყებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ეტაპს. ამ ეტაპზე მიმდინარე

ანალიტიკური სამუშაოს მიზანია მოქმედ კანონებში არსებული იმ პრობლემური საკითხებისა და ნორმების იდენტიფიცირება, რომლებიც ქმნიან შეუსაბამო ან არახელსაყრელ გარემოს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში საქმიანობისათვის. აგრეთვე ხორციელდება კულტურის სფეროში მოქმედი კანონების შესაბამისი უცხო ქვეყნების გამოცდილებების ანალიზი და წარმატებული პრაქტიკების მიხედვით რეკომენდაციების შემუშავება.

# 21. <u>სპორტი და ახალგაზრდობა</u>

## სპორტის მიმართულება

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განახორციელა მრავალი პროგრამა; სპორტის 45 სახეობაში დაფინანსდა 36 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 34 სასწავლო - საწვრთნელი შეკრება. მონაწილეობა იქნა მიღებული 41 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 98 მედალი, აქედან - 25 ოქრო, 32 ვერცხლი და 41 ბრინჯაო.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა კალათბურთში მიმდინარე წელს მესამედ ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა და ევროპის შესარჩევ საკვალიფიკაციო ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

2014 წლის 15-16 აპრილს თბილისში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა წარმომადგენლობითი კონფერენცია - „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა“. კონფერენციის ფარგლებში მომზადდა დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოაწერეს პრემიერ-მინისტრმა, მინისტრთა კაბინეტის წევრებმა, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ეროვნული ფედერაციების, ასევე სპორტული კლუბების წარმომადგენლებმა და კონფერენციის სხვა მონაწილეებმა.

შემუშავდა სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი.. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სპორტის განვითარების გრძელვადიან სამოქმედო გეგმაზე, სამი ძირითადი მიმართულებით - სპორტული ინფრასტრუქტურა, სასპორტო განათლება და მეცნიერება (მათ შორის, სპორტის მედიცინა), საკანონმდებლო ცვლილებები სპორტის სფეროში.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში სამინისტრო აქტიურად მუშაობს სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის.

სპორტის სფეროში რეფორმების განხორციელების მიზნით, ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა „სპორტის შესახებ“ ახალი კანონის პროექტზე.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული სპორტული ობიექტების ინვენტარიზაცია, რის საფუძველზეც შეიქმნება მონაცემთა ერთიანი ბაზა. იქმნება ელექტრონული რუკა, რომლის მეშვეობით ნებისმიერ ადამიანს შეეძლება ელექტრონული რუკის მეშვეობით მოძებნოს მისთვის მოსახერხებელი უახლოესი სპორტული ობიექტი და

მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მის შესახებ. აღნიშნული რუკა ხელს შეუწყობს სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

საქართველო ემზადება მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სპორტული ღონისძიების მასპინძლობისათვის, რომელთა რიცხვს დაემატა 2018 წელს საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობა ქალაქ ბათუმში.

## ახალგაზრდობის მიმართულება

ახალგაზრდობის სფეროში კანონმდებლობის მოწესრიგების მიზნით სპორტისა და ახალგარდობის საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს „ახალგაზრდობის საქმეთა შესახებ“ კანონზე მუშაობა, რომელიც სხვა მრავალ საკითხთან ერთად დაარეგულირებს ახალგაზრდობის მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაიწყო საპილოტე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება კონკრეტული მექანიზმები ახალგაზრდობის ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. 2-წლიანი პროგრამის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 500,000 ამერიკულ დოლარს და კახეთისა და იმერეთის რეგიონში ხორციელდება.

პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა: არაფორმალური განათლება, კომპეტენციების ჩარჩო და მოხალისეობა.

საქართველოს მასშტაბით, რეგიონებში ახალგაზრდული სფეროს განვითარების მიზნით შესწავლილი იქნა რეგიონალური ახალგაზრდული ცენტრებისა და სახლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა. მომზადდა რეგიონალური ახალგაზრდული ცენტრის საპროექტე მოდელი.

რეგიონში მცხოვრები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ახალგაზრდების გააქტიურებისა და ინტეგრირების მიზნით, რეგულარულად ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ტურიზმისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა, სხვადასხვა სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებები და ბანაკები, ასევე სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდული ფესტივალები.

ახალგაზრდობის თვითრეალიზაციისა და ნიჭის გამოვლენის მიზნით, განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: სტუდენტური დღეები, ინტელექტის დღე, ნარკომანიისა და თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის აქტივობები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა, მედიაპროექტი ,,ეტალონი“ და პროფესიული ორიენტაციის პროგრამა.